



မိမိတို့အတွက်

2022

ISSN 374-7741-4-0763-3



9 787741 649653 >



EU4Energy



Covenant of Mayors
for Climate & Energy
Eastern Partnership

„თიერე 2022“



თბილისი
2022



გამომცემელი

ბოჩა ღვინიაშვილი

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო (www.eecgeo.org) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

პუბლიკაცია გამოიცა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: „მერების შეთანხმება აღმოსავლეთ პარტნიორობა - ფაზა III“ ფარგლებში.



წიგნი მომზადდა და დაკაბადონდა
<https://www.facebook.com/designcentreKB>



ISBN 978-9941-8-4963-3

სარჩმვი

წინასიტყვაობა. 5

მიხო მოსულიშვილი

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე... (მკვდრის მოთხრობა) 10

პულუხეა

სამი ბიჭი, სამი მამა (მოთხრობა) 27

თამარ ბოლქვაძე

ნამჯის სახლი, წითელი კაბა და შავი შარვალი 33

ლევან ლორია

ხანდახან ღმერთებიც ტირიან 39

ნათია როსტიაშვილი

ღმერთის კაცი 51

ქეთი ბარნაბიშვილი

ბაბუაჩემის ბაბუეს დანატოვი. 61

კახაბერ მჭედლიშვილი

პლანეტის გადასარჩენად (ჯადოსნური მოთხრობა) 69

ირაკლი კალანდაძე

მკვდარი და ცოცხალი თევზები 77

ირაკლი ლომოური

„...სურვილი ჩაიფიქრე! სურვილი ჩაიფიქრე!“ (წარმოსახვით-დოკუმენტური მოთხრობა) 86

მზია თვალაბეიშვილი

პატ. მასწ. 103

მარიკა ზარნაძე

* * * 106

ლალი მიქაია

ქართული ნავთობი 109

წინასიტყვაობა

კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები უფრო და უფრო ფართო განხილვის თემა ხდება საზოგადოების ყველა ფენისთვის, მიუხედავად მათი ეროვნებისა, მრწამსისა, სოციალური სტატუსისა და სქესისა.

შესაბამისად, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს მდგრად განვითარებასთან, განსაკუთრებით ენერგეტიკასთან მიმართებაში, რამეთუ სწორედ ენერგეტიკა წამოადგენს სათბური გაზების ყველაზე დიდ ემიტორს ატმოსფეროში.

ამიტომ ენერგეტიკის მდგრადი განვითარება, რაც გულისხმობს მწვანე (განახლებადი და ენერგოეფექტური) ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას და დანერგვას, პირდაპირ არის დაკავშირებული განათლებასთან და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან. სწორედ ამ მიზნით „ენერგოეფექტურობის ცენტრი“ უკვე რამდენიმე ათეული წელია ცდილობს ხელი შეუწყოს საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას და მათი აქტიური ჩართულობით კიდევ უფრო გაზარდოს ინტერესი განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიების მიმართ.

უკვე ტრადიციად ქცეული ლიტერატურული კონკურსი „ლილე“, სწორედ ამის დასტურია და 2022 წელს „ენერგოეფექტურობის ცენტრმა საქართველომ“, კიდევ ერთხელ გაუკეთა ორგანიზება ამ კონკურსს, სადაც პროფესიონალ და მოყვარულ მწერლებს შესაძლებლობა ჰქონდათ წარმოედგინათ თემატური ნოველები, დაკავშირებული განახლებად ენერჯისა და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ წლებანდელი „ლილე - 2022“-ის შედეგების პუბლიკაცია განსხვავდება წინა წლებისგან იმით, რომ კონკურსში წარმოდგენილ

ქართულენოვან მოთხრობებთან ერთად წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ხუთი საუკეთესო (ჟიურის შეფასებით) ნაწარმოებები:

1. „ზეცას ვიყავ ზეცა ვნახე“ („I Was in the Sky, I Saw the Sky“) - მიხო მოსულიშვილი;
2. „სამი ბიჭი, სამი მამა“ („Three Boys, Three Fathers“) - თამარ ფხაკაძე;
3. „ნამჯის სახლი, წითელი კაბა და შავი შარვალი“ („A Straw Barn, Red Dress, and Black Pants“) - თამარ ბოლქვაძე;
4. „ღმერთის კაცი“ („A Man of God,) - ნათია როსტიაშვილი;
5. „ხანდახან ღმერთებიც ტირიან“ („Even Gods Cry Sometimes“) -ლევან ლორია.

ელენე გვილაგა

არასამთავრობო ორგანიზაცია „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს“ და ლიტერატურულ პორტალ „ურაკპარაკის“ ერთობლივი ლიტერატურული კონკურსი „ლილე 2022,,“ უდავოდ საუკეთესო იყო „ლილეს ,, არსებობის მანძილზე.

საკონკურსოდ წარმოდგენილმა ნაწარმოებებმა რამდენჯერმე ლამის დამევიწყა, რომ ჟიურის თვალთ უნდა წამეკითხა და ვისიამოვნე, როგორც უბრალოდ მკითხველმა.

კონკურსის მონაწილეთა შორის 21-ე საუკუნის ქართული პროზის საკმაოდ ჟღერადი ავტორების აღმოჩენაც კარგი სიურპრიზი იყო.

ნიშნადობლივია ისიც, რომ აშკარად უკეთესად გვესმის ენერგოეფექტურობის არსი მწერალსაც და მკითხველსაც.

კონკურს „ლილეს“ სხვადასხვა წელს გამოცემული კრებულები უკვე ერთგვარ აღმანახად იქცა და წლების შემდეგ, როცა ჩვენს ირგვლივ ენერგოეფექტური ტექნოლოგიები ჩვეულებრივი ყოფითი მოვლენა იქნება, „ლილეს“ კრებულები გაგვახსენებს იმ დროს, როცა მზის პანელებიც გვაკვირვებდა და ქარის ენერგოდრავებიც.

ისიც აშკარაა, მომავალი „ლილე“ წლევანდელზე უკეთესი რომ იქნება. ჰოდა, „ლილე 2023-ს“ დაველოდოთ.

ირმა მარდალეიშვილი

მოხდა ისე, რომ – ლიტერატურული კონკურსი „ლილე“ ერთგვარ ახლობელ სხეულად ჩამოყალიბდა ჩემთვის! – ერთხელ მომიწვიეს ჟიურის წევრად, მეორედ, მესამედ... და ასეთი შემთხვევითი პერმანენტული სიახლოვე, როგორც წესი, ბოლოს სიყვარულით მთავრდება.

არა, ჩემთვის ეს სიყვარული მხოლოდ ლიტერატურის სიყვარულით არ იზომება. ამ კონკურსს თავისი უცნაურობები აქვს და მე სწორედ ამ უცნაურობების ლიტერატურაში ჩასახვა-განვითარების პროცესი მსიბლავს...

„ლილეს“ უზარმაზარი მისია აკისრია, – იგი მომავლისკენ იყურება და მეც, როგორც ერთ რიგით ლიტერატორს, მასთან ერთად მიწვევს სამყაროს ხვალისდელი დღის ისტორიის წერა!

წლებანდელი კონკურსი აშკარად გამორჩეული იყო თავისი წინამორბედებისაგან: სერიოზული ლიტერატურული ძალა შემოუერთდა შეგობრს და ძველმა ფავორიტმა ავტორებმაც უფრო ოსტატურად, უფრო იოლად აუღეს ალღო შემოქმედებითი მარათონის უმთავრეს პირობას, – საკონკურსო თემას (მოგვხსენებათ, თემატური კონკურსები მაინცა და მაინც არ უყვართ მწერლებს!).

ერთი შეხედვით, სად ენერგოეფექტურობის თეორიული პრობლემატიკა და სად თავისუფალი მხატვრული აზროვნება? – თუმცა, მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან როცა ამ კრებულში თავმოყრილ მოთხრობებს ჩაიკითხავთ, თავად დარწმუნდებით, – რაოდენ მნიშვნელოვანია ერისთვის ავტორი (შემოქმედი), რომელიც ეროვნულ სატიკვარზე ფიქრიანი ამბებით გესაუბრება!

მიშა რატიანი

თანამედროვე სამყაროში ადამიანის ჯანმრთელი, ხანგრძლივი სიცოცხლისათვის სათანადო გარემო, სამწუხაროდ, დღითიდღე ვიწროვდება მასზე თავად ადამიანის ნეგატიური გავლენით. ეს კარგა ხანია გააცნობიერა მსოფლიომ. კონკურსი, რომელიც „ევროპის მდგრადი ენერგეტიკული კვირეული 2022“-ის ფარგლებში ჩატარდა, საპასუხისმგებლო და საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის, როგორც ჟიურის წევრისთვის, რადგანაც კონკურსი (თემა, მთავარი და აუცილებელი მოთხოვნები...) სწორედ ზემოთხსენებულ აქტუალურ საკითხს ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო ტექსტები სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით დაიწერა, ლიტერატურული ღირებულებით საკმაოდ მაღალი მეჩვენა, რაც ქულებით დავაფიქსირე. მოთხრობებს მკითხველი თავად გაეცნობა და შეაფასებს, მე კი აქ მინდა მოვიტანო რამდენიმე მინაწერი,

რომელიც ტექსტების წაკითხვისას გავაკეთე და ვფიქრობ, კარგად გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას კონკურსისა და საკონკურსო ნაწარმოებების მიმართ:

იდეა საინტერესოა – დიდი იაკობი ახალი ეპოქისათვის შესაფერისი და-
მოძღვრით... მაგრამ იაკობის საუბარი ხელოვნურია, ყალბია – ძნელი დასა-
ჯერებელია, იაკობს მაშინ სცოდნოდა ეკოლოგიის მიმართულებით იმდენი
რამ, რაც დღისთვის არის ცნობილი და თანაც ამ ლექსიკითა და ტერმი-
ნოლოგიით. ვფიქრობ, ლიტერატურაში დროში მოგზაურობა ნორმალურია,
მაგრამ მხატვრული სახე ლექსიკის თვალსაზრისით აცდენილი არ უნდა იყოს
ეპოქას. სხვა შემთხვევაში, იგი ფერმკრთალდება. („ახალი წიგნი“)

დუმბაძე გამახსენდა, განძის ძეგნაში მთელი ეზო რომ გადაბარა ილიკომ
და რაც ნახა, კი ახსოვს მკითხველს... ისე, სიზმარი არ უნდა სჭირდებოდეს
კაცს იმისთვის, რომ სოფელში მოხუცებულ ბებიას ააკითხოს ან სოფელი
თუ აქვს, მიხედოს... („ბაბუაჩემის ბაბუეს დანატოვი“)

90-ანები, პოლიტიკური ცვლილებები, ჩონხატაურელი „მაღენა“ (იმ თვალ-
საზრისით, რომ ქალაქის ყველა ასაკის მამაკაცს იზიდავს და მის გავლაზე
ლამის საპატიო ყარაულივით გაშტიკინებულები დგანან), ადამიანური ურთ-
იერთობები, რომელიც რჩება ადამიანურ ურთიერთობებად თვით პროვინ-
ციაშიც კი, გინდ დაბა დაარქვი და გინდა – ქალაქი, დიდი სახელისუფლე-
ბო ცვლილებების მიუხედავად, ცოტა ფიზიკა და ელექტრობა, შექმნილი
თევზები და ეს ყველაფერი გურული იუმორით. ცუდი არ იყო... მომეწონა...
(„მკვდარი და ცოცხალი თევზები“)

„ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“ გამახსენდა... თანამედროვე ას-
პექტებით („ნამჯის სახლი, წითელი კაბა და შავი შარვალი“)


მტიკენეული თემა- ემიგრაცია, ევროპული (უცხოური) გრანტები და
ეკოლოგია – საინტერესოა სინთეზია გურული ბაღნების თანხლებით, იუმორ-
ით, ლექსიკით... მომეწონა.. („სამი ბიჭი, სამი მამა“)

ადამიანი თავად ანადგურებს იმას, რითაც უნდა იცოცხლოს და იცხოვ-
როს – ბუნებას, გარემოს... ეს ძალიან კარგადაა ნაჩვენები ამ პატარა მოთხ-
რობაში. („იათე“)

დავუმუნჯდი... კარგა ხანია კითხვისას ასეთი ემოცია არ მქონია... („ზეცას
ვიყვ, ზეცა ვნახე...“)

ვფიქრობ, კონკურსი წარმატებული იყო, მითუმეტეს, რომ შემეცნების
თვალსაზრისითაც და ლიტერატურული ღირებულებითაც თავის სიტყვას
ეტყვის დაინტერესებულ მკითხველს.

ფიქრია ჩხარტიშვილი



მისი მოსულიწვილი



- რაგინდრე 1962 წლის 10 დეკემბერს. 1986 წელს რავამ-
თავრე თმირთისმს სხელომწიფე რწიერისსტრეცის (თსო) უეკუჩა-
ფია-უეკოკუიბს ფაკულტეტი. უსწავლომბრი რწიერისსტრეცის ტუჩარ
ფაკულტეტებუ, სურწარლომბით - კინრჩამტუხუთუა.

უამტრეოლოი მარეს ზამნეიბმს, მ.თხზამბმს, თსოუმწინდმს რა
პიილენმს რწებუ მეტი წიენი, ზამლოთავზ ზამმმ: „უკა-ფმავკოა“
(იროუმწრწიხიემოლოი დიკუჩაფია) ლოსტრეწრეწოლოი შოუმთს „უკოა“
რამსსხუთს 2011 წელს; კინრჩამმნი „პელოლს“ (ჩაკოკე მხამუთარ
რწითოლოი სინრამსიბით) 2012 წელს უკრწნოს შრინბით რაქორდრე
ჩაკოაქ მსწლოერმბი (სოკუანი, აშშ) უეუქსუთი მრეკრეცინეის ჯელორს
კანფეოწრწინებუ (The Summit Marketing Effective-
ness Award) ნმინწინამბი „მწიხუ დიოქტეტი“, ხლო მამეყმნი
წელს კი რს ზამნი იკო ლოსტრეწრეწოლოი შოუმთს სანს ნმინწინწი.
წემბი პიილენმს თხეკვიით სარწითეკოლს სხუარანხევა თესტრემბი,
სმნეკარეწრწიხი ზარილს ზარილთესწრწი რა ტრეკოკეწინამბი რაქუმოლოა
რწამბე სურწკაკოი.

წემბი ნარწამბეწიენი თსოუმწინოთს: ლოსტრეწოთი, ინგოლთსუთი,
უეწინმნეოლ, სმნოთი, ხოლსოლო, თოთქელოლ რა იამნოთი რწინებუ.

უეგზი უწიწოარ ინოლოთი მბოლონუ:

* https://ka.wikipedia.org/wiki/მისი_მოსულიწვილი

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე... (მევერის მოთხრობა)

1

ადე, ბიჭო, ლევანო, ადექი მეთქი. აი, წითელი კვერცხები გაგვიგორეს საფლავეებზე. ჰო, ჰო, აღდგომა დღე გათენდა და მაგისი მაღლითა. ესა, აქ რო მოხუცი გვიდგას, ეს არი ამ ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარი დედა კვირილა. ესენი კიდევა, წითელი კვერცხები რომ დაგვიგორესა და საფლავეებს გვიწმენდენ, ანგელოზები ჯერ ვერა, აქაური მორჩილები არიან: ფილოთეა, სოფია, თაისია და ევანთია...

რა უნდა გითხრა და, რა ვიცი... რაც წამომავიწყდება, ცოტ-ცოტაობით მოგიყვები, გრძლად რო არ გამოვიდეს მერე. დიდი ხანია არ მინახიხარ, თორემა მე ლაპარაკის ხამი კი არა ვარ.

აი, კავკასიონის მთაგრეხილის დაბლა, ორი ქედი რომ წამოვა აქეთ-იქიდანა და შუაში ერთდება, ჩადაბლებულში, მანდ მოდის ლიახვი.

ეგ მწვანე ტყე არი სარჩული დედამიწისა, მაგ გორებს რომ ჩამოსდევს აქეთა და აქეთ. მერე ხო ეს ვრცელი სერია, აქა-იქა ბუჩქებით და ისე კი სულ მწვანე მინდვრიანი, ძაან საძოვრიანი და ყვავილიანი. ჩამოდის ეგაცა ლიახვამდისა.

აქეთ კიდევ, ხანის მთის ტყიან ფერდობზე ხო ეს ჩვენი წმინდა ღვთისმშობლის დედათა მონასტერია, თავისი მწვანე ეზოთი, შენი და ჩემი საფლავის ქვებით გალავანთანა, მუხების ძირში... მინდოდა დედაშენის გადმოსვენაბაი და არა მეთქი, იწვევს იქ, ჩვენი ეზოს კა-



კლის ძირში და ერთხელაც ხო მივალთ იქა...

აქვე ჩამოუდის ეს პატარა და ჩქარი მდინარე ხანისხვევი. აგე, დაეშვება ხანისმთის კალთებიდანა, რომ აქ ჩამოგვიბინოს მხიარული რაკრაკითა და მერე ლიახვს მიუტანოს ჩვენი ამბავი ქვემოთა, როცა შეუერთდება...

საით იყურები, ბაღლო? შორიდან იცი ეს ალაგები, ახლოდან ხო ეხლა ხედავ...

ვაი, მაგათი სახსენებლი გაწყდა მაგათი...

მოხირდებიან იმ თავიანთი ჯაყჯაყა მანქანებითა, ცხრა-ათი სამხედრო. ჯერ ძველ საზღვარს მოშლიან, დააძრობენ რკინის სარებსა. წამოვლენ, წამოვლენ მერე და აქეთ ჩაარჭობენ, გაუჭიმავენ მავთულხლართებსა და დაამაგრებენ რკინის აბრასა, საზღვარი აქ არიო და ახლოს არ გაეკართათო.

ატოცში, ხურვალეთში, ზემო ნიქოზში და რა ვიცი, სად აღარ მოაჩოჩებენ ეგრე. მერე იქით ვისაც მოატანენ, იტაცებენ და ითხოვენ გამოსასყიდსა. ჩვენი სოფლის ნახირი რომ დაუდის, ხო იცი „უჩხუბარი“, ადრე საქონლიანად გაიტაცეს ეგა და მერე ძლივს-ძლივს ფული შეუგროვებით, ეგრე გამოუხსნიათ ძლივსა.

მოტრილდება წელიწადი და გადმოსწევენ კიდე მავთულხლართებსა. კიდე და კიდე, მოდიან და მოდიან, სულ აქეთა და აქეთა.

იმათ მხარეს მოჰყვა სოფელ გუგუტიანთკარის რამდენიმე კომლი. ეგრევე გაიყო ზარდიანთკარი, ღოღეთი, დვანი, დიცი, ციცაგიანთკარი, აძვი, ქვეში. მერე ახლა ჯარიაშენი თითქმის მთლიანად მაგათი მავთულხლართებით შემოიღობა და საზღვრის იქით მოხვდა ისიცა...

ოცდათხუთმეტი ჰექტარი აქეთ წაღებულნი ესე, თორმეტი ათასი ფეხბურთის სტადიონის ტოლა მიწებიანო, ამბობენ.

აი, ვინა ხარ, შე ქვითსაქცევო, წუნკალო მამაძაღლო, ვინა?!

უნაცილო ნაცილი ხარ, უსაკლისა და უჭერ-მაჭერა, წადი და ეგდე იმ შენ სტეპებში, რა გინდა აქა, აქ რა დაგკარგვია, შენი რა არი? მიიღებ, რასაც ეძებ...

ერთხელაც იქნება, გიკრიფავ ყველაფერსა და სოსიპატრე მარიამიმე არ ვიყო, მეფუტკრე ფილიმონას ბიჭი, თუ სულ წმინდათ არ მოგამკვივინო, რაც ჩემთვის დაგიეთესია...



2

ეს მაღალი ადგილია და აგე, გახედე, როგორ სჩანს აქედანა. აი, ამ ღიახევის აყოლებასზე ჯერ ხო ქვემო ხვითია, მერე ზემო ნიქოზი, ცხინვალის და ცხინვალზეთ კიდევ ჯერ ფრისი და მერეა თამარაშენი. იყო, უფრო სწორედ. სადღაა ეხლა. ან ეგ, ან კეხვი, ან ავნევი, ან ნული...

აჩაბეთიდან თამარაშენამდე სულ ცეცხლში იყი გახვეული ყველა სოფელი...

შინ ვიყავი და უცაბელად იფეთქა. დედაშენი ეზოში ტრიალებდა, ქათმებს აჭმევდა და გავვარდი გარეთ მაშინათვე. ურემთან ეგდო. მუცლიდან ნაწლავები ჰქონდა გადმოყრილი, ორივე ხელის თითები კიდევ — მოგლეჯილი. მკლავებზე სულ ჭრილობები და მარცხენა მკლავი ცოტაოდენი ხორციოდა ეკიდა, თითქმის რა, თითქმის სუ მოწყვეტილი ჰქონდა.

აი, ამ ხელებში დალია სული...

ჩემს თავსდა ვჩიოდი?

მუხლებზე რომ ვცადა დაჩოქება მომაკვდავ დედაშენთანა, მეტკინა ძალიან, ვედარ მოვხარე ფეხი. მარცხენა ბარძაყში მქონდა მოხვედრილი ჭურვის ნამსხვრევი, მარცხენა მკლავშიც და მარჯვენა ფეხის ოთხი თითიც მოგლეჯილი. გადავიხვიე ეს ჭრილობები და სახლი კიდევ იწვოდა ისე, რომ ვედარაფერს ვუშეველიდი.

გაჭირვებით გაუთხარე საფლავი, დროებით იყოს მეთქი აქა, სახამ მოვალ და გადავასვენებ...

მოვდივარ და იწვის მთელი სოფელი. ბურბურებს სულა. დაგვტრიალებენ მაგათი თვითმფრინვები მაღლიდანა და გებომბავენ ისევა.

ბედად იმან გამოიარა, ვარიანელი „სწორე“ როა, ტაქსაობდა ხოლმე ეგა და, — დაჯექიო, ეხლა ხალხს ვეხმარები უფასოდ, რომ აქედან გაგიყვანოთო.

ორნი ესხდნენ მანქანაში, ასაკიანი ქალები და ჩამისვა მეცა, ვარიანამდე წაგიყვანო.

და — ტრა-ტა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა-ტა... — რომ დაიწყო თედოწმინდის აღმართზე, მტრისას... გაღმიდან, გზისპირა იფნებიდან ისროდნენ. „სწორემა“ სცადა, მარცხენა მხარეს შეეტრიალებინა თავისი „ოპელი“, მაგრამ ისიც უკვე დაჭრილი იყო მხარში, ძალა აღარ ეყო და კლ-



დეს შეეჯახა. ერთი ტყვია გულის მხარეს მოხვდა, მეორე კიდევ ჯერ მარჯვენა მხარში ეცა, დატრიალდა და სახის მარჯვენა მხარე გადაუსისხლა სულა. არის ეგეთი ძვლებში ბზრიალა ტყვიებიც, თურმე... ის კი მოვასწრი, რომ აქეთ კარები გამოვგლიჯე ფეხის რტემევიტა და როგორც კი გადმოვფოფხდი მიწაზე, მანქანას „მუხა“ ესროლეს, წინა კარებს მოხვდა, მარჯვნივა. აფეთქებამ ჰაერში ააგდო მანქანა და ეს „სწორე“, უკვე მკვდარი, მიასკდა კლდესა.

მე კიდევა ისევ ჭურვის ნამსხვრევები მომხვდა სახეში, მარცხენა ხელშიც და აფეთქების ტალღამა მთელი ძალით დამაფერთხა გზაზე...

სროლები რომ შეწყდა, ძლივსლა წამოვწიე თავი, ბუნდად ვხედავდი ძალიანა.

სამხედროები დავინახე, იმ თავისი დაფოთლილი ფორმებითა და ავტომატებითა.

მანქანას კიდევა სულ გადაცხრილული იყო და იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ვაგდივარ ეგრე გზაზე, ვაგდივარ და სად რა მტკიავა, რომ ვეღარ ვიგებ...

მოვიდა ამ დროს ერთი იმათი სამხედრო, იმასაც ის გაფოთლილი ფორმა აცვია, მაგრამ ტყავის ქამარზე მხარილლივ თასმა აქვს გადაჭერილი, პორტუპეი რა. ხელეპში ხო ავტომატი უჭირავს და მაკაროვის პისტოლეტიცა ჰკივია ქამარზე.

იქნებოდა ეგრე შენი ტოლი, არა, შენზე დიდი. რახან საყელოზე ერთი დიდი ვარსკვლავი დავუნახე, ესე იგი, მაიორია. იყურება, როგორც იმ ჩვენმა მეზობელმა „გუდასისხლამ“ იცოდა ხოლმე მთვრალმა, აგდებულად და სულ ფეხებზე რომ კიდიხარ. ხო იცი „გუდასისხლა“, კაცისკვლა იმას არ ეზარებოდა და ვირის აბანოების ხეხვია კიდევა.

ისევ ავწიე თავი, ვუყურებ ჭროლა თვალეპში. ჯერ ავტომატი მომიშვირა. მერე გადაიფიქრა, შეტრიალდა და საიდანაც ისროდნენ, იქით გასძახა დაბეჟილი და უჟმური ხმითა, — ცოცხალი ვიპოვეო, — და გავიდა იქით. უკან დაბრუნდა სამ ჯარისკაცან ერთად, სიგარეტს ეწეოდა წკიპითა და გაიყურებოდა სულ სხვაგანა. ბოლოსა მკითხა, — ცოცვა შეგიძლიანო?

წავალ როგორმე, ოღონდ არ მესროლოთ მეთქი.



აბა, მიდი, დროზე, სანამ გადამიფიქრებიაო.

ამ ჯანსაღი ხელით დავეყრდენი მანქანასა და წამოვიწიე წვალებით, წამოვიწიე და წამოვდექი როგორც იქნა. მაინტერესებს, ის ქალები რა დღეში არიან. შევიხედე შიგნითა. ორივე სულ სისხლში ცურავენ. არც სუნთქვა ისმის მაგათი, არც კენესა.

შიშმა ამიტანა. შემოვტრიალდი და რომ მოვდიოდი, იმისმა ჯარისკაცებმა, სულ კოთხუნჯებმა, ღრეცელებმა და ღრეჭლებმა, მობრეცილი ლაშებითა და მჭვიტაკა ხმებითა, მაგ ვირთამამებმა ეს დამადვენეს, — მაღლობელი იყავი ტავარიში მათორ გლებ უსმანოვისაო, თორემა ვერც შენ გადგვირჩებოდიო...

რა ვიცი, აბა, ეგრე კი მითხრეს, მაგრამა შიგნი შიგან რა ჰქონდათ აზრად, რას აპირებდნენ, განა ვიცოდი?..

უსასობისგან გავხედე მაღლა შავ ღრუბლებში გახლართულ ჩრდილის მხესა და არა, სულაც არ მიყურებდა ავადა...

ყოყმანა და ნაყე-ნუყე ვინმე ეგება კაი ხანს ვერც დაძრულიყო იქიდანა, არ მესროლონო. ამისი შემთხვევებიც ხომ ბლომად იყო, ვითომ გაუშვესა და ზურგში მოაყოლეს კალაშნიკოვის ჯერები ბევრსა.

მაინც წამოვედი, მაინცა, რომ ერთი ამათიც და, ბოლობოლო, ოთხი ფიცარი სადღა გამექცევა მეთქი... როგორ მივედი ჩვენებამდე, აღარ მახსოვს, მაგრამა აი, ის მათორი გლებ უსმანოვი, ეგ ვეძა-კაცი, ეგ, ეგ მაკვირია და სისხლისგულა აღარ დამვიწყებია არც როდისა.

3

გზაზე ვუპოვივარ ჩვენებსა, გონდაკარგული და რაკი კიდევ ვსუნთქავდი, ჩავუსვივარ სასწრაფოს მანქანაში და გორში ჩავუყვანივარ.

ეს მარცხენა ხელიც გორის ჰოსპიტალში მომკვეთეს, განგრენა იყო დაწყებული. დანარჩენისა რა გითხრა, არა მიშავდა, მიმკურნალეს...

ბოლოს კი დავრჩი ეგრე, მარჯვენა ფეხითა ვკოჭლობ და მარცხენა ხელი აღარა მაქვს მხრამდე ლამისა.

ერთი დღეც არი, გამოვედი ჰოსპიტალიდან და ვეწვევი ჩემთვის. ვფიქრობ, ვფიქრობ, ვერ გამიშვია დარდი, უკვე სულ გამოთხოვებული ვარ სიცოცხლესა და მგონია, რომ აღარც რო ცოცხალი ვარ საერთოდ.

შენ აღარ, ცოლი აღარ, სახლი აღარ... მეც აღარ...



ამ დროს მოვიდნენ შავებში ჩაცმული მონაზვნები. ქალებს კი არა, რომელი როგორა და, აი, სულ ანგელოზებსა ჰგავდნენ. არკი იყვნენ ჯერა, მაგრამა აღარაც რო არაფერი უკლდათ თითქოსა.

აბა, მაშინ რა ვიცოდი და, დიდი ჯვარი რომ ჰქონდა მკერდზე, ის გადამწლეულ-გაღეული მოხუცი ამ ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღოლი იყო, დედა კვირილა. თეთრი თმა მოუჩანდა სამონაზვნო თავსაფარის ქვეშა და სათნო, სათნოდ სანახავი იყო ძალიანა. ჯერ არ ვიცოდი და, ფეხსაცმელს არ იცმევდა, ფრატუნებით დადიოდა თურმე სულა, ზამთარ-ზაფხულსა. ეს გარჯილა მორჩილები ახლდნენ კიდევა, მეტ-ნაკლებად ახლგაზრდები უფრო: დედა ევთანია, დედა ფილოთეა, დედა თაისია და დედა სოფია.

ჰოსპიტალში ჩემი ქირურგი რომ იყო, ძალიან სახელიანი და დიდი კაცია ისა, პროფესორი მაისურაძე, ბატონი მიშა, იმას ეთხოვნა, — წაიყვანეთ მონასტერში, რამე ცოდვა არ მოიწიოსო...

ის დღე იყო და ის დღე, რომ ღმერთთან ახლოს მეც ვიგრძენი თავი. რამდენი წელი გავიდა მაგ ომიდანა, თორმეტი თუ უფრო მეტი უკვე და სულ ეგრე ვარ. განა აღარ ვდარდობდი, მაგრამ ნელ-ნელა იმასაც მივხვდი, რომ რაც ხდება, ის უფლის ნებითაა და არა ჩვენითა. ამქვეყნიური გამოცდაა ეგენი სულა და როგორც შეგამთხვევს, ისე გადაგატანინებს. ეს ამ დროებით სოფელში და იქა, იმ მარადიულ სოფელში კიდევ, ზეცისა როა, ადგილსაც გიწყალობებს, თუ სწორად იცხოვრებ მანამდე.

ჰოდა, მეცა ვცდილობდი. მონასტერში მე ვიყავი დარაჯადაც, მე-ბაღედაც, მეფუტკრედაც, ამ მორჩილების გალობის მსმენელადაც; ჩვენი წინამძღვარის, დედა კვირილას ძან დამჯერადაც. ამათ კიდევ ეს თავიანთი მორჩილებები განაწილებული აქვთ. დედა ევთანია სულ ლოცვით ხატავს ხატებსა, ისე არ დაიხატებაო. დედა ფილოთეა მორჩილად აკეთებს სანთლებსა, თუ მორჩილი არა ხარ, არც თავმდაბალი იქნები და თავმდაბლობის გარეშე კიდევ უფლის სიყვარული არ იქნებაო. დედა თაისია მგალობელია, ამათაც ასწავლის და კვირაობით რომ ბაღლები მოდიან გაღმა სოფლის სკოლიდანა, იმათაც. დედა სოფია კიდევ სახარებასა სწერამს კალამ-მელნითა და ისეთი ასოებითა, სულ უფლის ჩიტები გეგონება.



ჩვენი წინაძღვარი დედა კვირილა გვასწავლის მორჩილებასა, რასაც კი ვაკეთებთ, უნდა იყვესო სადიდებლად ღვთისა და საცხოვრებლად სულისაო. ვაზსაო რომ სარი არა ჰქონდეს შეყენებული, ხომ წაიქცეოდა და გაფუჭდებოდაო. ესევე ერიც, ბერ-მონაზვნობა რომ არა ჰყავდეს მშველელადა, წახდებოდა და გადაშენდებოდაო.

ვართ ესე, ლოცვაში და გარჯაში. ტრაპეზზე ვკითხულობთ სახარებასა, წმინდა მამების ცხოვრებასა, განმარტებებსა. ამ მონასტერსა თავისი განაწესი აქვს, ცისკრის ლოცვა შვიდ საათზე იწყება, საღამოს ლოცვა რვაზედა. შუაღელში კიდევ პარაკლისია ხოლმე წმინდა ღვთისმშობელ მარიამის სახელზედა.

ხატწერის ოთახია, გადამწერისა, სატრაპეზოი, სამლოცველოი... იქით ბოსტანი, სკებია კიდევ და რა ვიცი... აბა, მაშ, როგორ? მეფუტკრე ფილიმონას ბიჭი არ მოუვლიდა ფუტკარსა? ვუმატებდი და ვუმატებდი სკებსა. სატრაპეზოდ ბაღჩეულიც მომყავდა ისე, რომ ცალი ხელითა ვბარავდი და ცალი ხელითვე ვთხოვნიდი. აგე აყვირებული სიმინდია უკვე და ჩემი მოყვანილიც მასეთი იყო ხოლმე.

არც მორჩილებს ეხარებოდათ შრომა და კარგად მოვლილი მონასტერი გექონდა უფლის მადლითა და სიყვარულით, გექონდა, გვაქვს და სულ გვექნება კიდევაცა.

ახლა როგორი გალობა იციან ამ მორჩილებმა, სულ განაბულები ვუსმენთ ხოლმე მე და დედა კვირილაი.

ღმერთო, შენითა და არა ჩვენითაო... — აი, ეგრეა აქა და ისედაც, ყველაგანა...

4

მარიამობას იციან ხოლმე აქ ამოსვლა და ერთხელაც ჩემი სამხედროები იყვნენ, სულ ტალიკ-ტალიკი ბიჭები, ვენაცვალე, მაგათ ამომასვენებინეს შენი თავი და დამამარხინეს აქა... მაშინ ერთი ვიდევო მაჩვენეს მაგათა. ჰო, ეხლა რო ტელეფონებია, ეგეთითა...

ვუყურებ, ვუყურებ და ვაჰმე, როგორ ცუდათა ვარ ამისი მნახველი...

დატყვევებულ ქართველ ჯარისკაცსა აწამენებ ოსი „ბოვიკები“ და რუსი ოკუპანტები. შვიდი-რვა სამხედროა. ორი კაცია რუსული



საველე ფორმებით და ეს ოსი „ბოვეიკები“ კიდევ, რაც ხელში მოხვდათ, იმ ფორმებით არიან. ერთი ჯინსის შარვლითაც არის. მიმწევდელია ეს საწყალი ტყვე ღობესთანა და სულ ფეხებით ურტყამენ. მერე გამოათრევენ მოშორებით...

ღია ნაცრისფერი, უდაბნოსთან შეხამებული ამერიკული ლაქებიანი ფორმა და ღია ფერის მაღალყელიანი ფეხასმელები აცვია ტყვესა, მიწაზე ზის. სამხედრო ხალაით ნახევრად გაუხდიათ, მხრები და წელი მოუჩანს. სახე ბევრი ცემისგან სულ გაშავებია და პირიდან სისხლი სდის. ძნელია ამისი ცნობაი, ძნელი...

„შენი პრეზიდენტი ვინ არი? ბოზი არი. ჰა? არ არი?.. არი, არი, არი!.. იკოცე. იკოცე. იკოცე ეხლა. იკოცე. იკოცე მიწა. შენი დედა შენი. იკოცე, შენი გამზრდელი შენი!“ — დაღობილი და უგემური ქართულით დასძახის ვიღაცაი და არ შემეშლება ეს ლაპარაკი, ოსები ლაპარაკობენ ეგეთ ქართულს აქა.

ზურგზე შეადგება შავი ბათინკებით ვიღაცა, კადრში სახე არ უჩანს. აიწევა და დაიწევა, მთელი ძალით აწევა, ხერხემაღს მიწამდე ახრევენებს, რომ მიწისთვის აკოცინოს. ეს ტყვე კიდევა წამოწევასა ცდილობს და ამ ქანაობაში გადმოაგდებს მტანჯველსა.

ლაპარაკობენ ოსურადაც და შიგადაშიგ რუსულადაც.

მარჯვნიდან რუსული „ბათინკით“ ტყვეს ისევ კისერზე აწევა ვიღაცა, რომ მიწას აკოცინოს. დაახრევენებს თავს, მაგრამ ეს ურჩი თავი მიიწევს, მოიწევს და სწორდება ისევა, მტარვალის ფეხს გადაიგდებს კისრიდანა. ახლა მარცხნიდან ცდილობს სხვა იგივეს. ახლა სხვა და ყოველთვის სწორდება ნაწამები სამხედრო. ქვის ნატეხია, ვინ არი, ვერა ვცნობ. არ უჩანს კარგად ის გაშავებული და გასისხლული სახეი.

ისმის ოსური ლაპარაკი. რუსული ბრძანებები ერევა. და ისევ მოფაფალებული ქართულით ეკითხება ვიღაცა:

„გუშინ რა ადგილას იყავი, ლევან?“

„არ ვიცი... აზრზე არა ვარ...“ — ამოილულულეებს ტყვე და...

მე ეს ხმა არ შემეშლება, არა... შენ იყავი, ლევანო, შვილო...

„როდის იქნები აზრზე ეხლა?“ — ისევ ოსური ქართულით გეკითხება ვიღაცა მტარვალი.

პლასტმასის ბოთლიდან თავზე და კისერზე გასხამენ წყალსა.



ჩამოგდის წყალი სახეზე, ცხვირზე, პირზე და სულ სისხლიანი აღწევს მიწამდინა.

„ლევან, გუშინ სად იყავი, გუშინ?“ — ისევ გამეორებს ის ცბიერი ხმაი, ისევა...

ეს მტარვალები რიგრიგობით ზურგზე გახტებიან, ლევანო, შვილო... ადი-ჩადიან და ბუქნაობენ შენ ზურგზე, რა არი, რომ როგორმე გაკოცნინონ მიწისთვისა.

ხო როგორ შავ დღეში ხარ, ლევანო, სისხლი მოგდის პირიდანა, ლულულდითა ლაპარაკობ, მაგრამა ვერ გიმორჩილებენ, ვერა! ბოლომდე მაინც არ იხრები მიწისკენა...

და აქ ისმის მაგ ბრეცელა და ბლენძი მაიორის, გლებ უსმანოვის დაბეჭილი ხმაი რუსულადა — კიდე შეეკითხეთ, სად ეგდო გუშინაო... აბა, მაგის ხმას რა დამავიწყებს...

5

წამო, წამო, ეხლა ამ ჩენი მდინარისა გითხრა.

წყალია მდინარე, ოღონდ მიმავალი.

თუ მიმავალი არაა, ჭაობია მაშინ და გველ-ბაყაყების ბუდეი.

და რომ მიდის, მდინარეა.

წავა, წავა, მზითა, მივა მიწასთანა და გაახარებს ბალახ-ყვავილებითა, ბუჩქებითა და ხე-ხილითა.

წავა, წავა, ისევ მზითა, ცაში ავა, ღრუბელთან მივა და ისევ აქ ჩამოვა წვიმადა თუ თოვლადა.

აი, ეგრე დაატარებს მდინარესა მზეი.

ჰოდა, რაღაცა ის იმის დათბობის ხალხი იყო აქ მოსული სამი წლის წინა, ენერგო იმისაო, სარგებლიანობისაო, მაგის ცენტრის ხალხი, რაღაცეები მოგვიყვანენ და მე ჩემი სიტყვებით ესე გეტყვი, ეს ტემპერატურაი რომ მატულობს, გვალვა რომ სჭამს დედამიწასა და ვაშლი ვეღარ მოგვიყვანია წესივრადა, რისი ბრაღია?

რისი და იმისი, რომ ეწვათ ნავთობსა, ქვანახშირსა თუ შეშასა. იმ დამწვარსა ხო გაზი აქვს, ადის ცაში და იქ ათხელებს ოზონის ფენასა. ეს ოზონი კიდევა ისეთი რამეა, რომ მზის ცუდი სხივები უნდა დაიჭიროს და კარგები გამოატაროს აქა, მაგრამა ვეღარ ატარებს ისიცა და აჰა, ეს ღვარცოფები, ტყის ხანძრები, წყალდიდობები, გვალვები



და ეგეთი უცნაური ცვლილებები ამ ერთი ციდა დედამიწაზე.

უყურე ეხლა, რა მასწავლეს იმათა:

ამ ხანისხვევის წყალი ხან იკლებს, ხან იმატებს, მაგრამა იმას კი ჰყოფნის, რომ ერთ-ნახევარ კილოვატიანი მიკროჰესი აამუშაოს და გადიქცეს უფასო დენადა. იმათი ნაჩუქარი ბროშურაცა მქონდა აქა სადღაცა და იქ ეწერა, — ერთი მეტრი სიმაღლიდანაო ყოველ ერთ წაშში ვარდნილ ერთ ლიტრ წყალსაო მიკროჰესში შეუძლიაო, რომ გამოიმუშაოს ოცი-ოცდაათი კილოვატსაათი ელექტროენერგიაი წელიწადშიო.

ჰოდა, სამი წლის წინ მოვაწყეთ ეს მიკროჰესი „ლევანო“. ლევანო რატო და შენი სახელი დაარქვა დედა კვირილაძე, შვილო. მორჩილების თანხმობითა, განა ისე...

ამისი სიმძლავრე კილოვატნახევარია და მშვენივრად ჰყოფნის მთელ ამ ჩვენ ღვთისმშობლის მონასტერსა. ასიოდე მეტრშია აქედანა და დენი კიდევ კაბელით არის გაყვანილი-გადაჭიმული ათ ბოძზედა. ეს ბოძები და კაბელი გორის უნივერსიტეტიდან იყვნენ სტუდენტები, იმათი დაფინანსებითა და შრომით არის გაკეთებული.

ეს დენი რომ დაზოგვით მოვიხმართ, მონასტერში გვინთია ხოლმე თორმეტი ეკონომიური ნათურაი და დენი სხვა რამეებისთვისაცა გვეყოფნის, მაცივარი გინდა, უთოი თუ რა ვიცვი, რაც იქნება.

მორჩილი დედა სოფია იტყვის ხოლმე, — ადრე განათება რომ არ იყო, ფანარებით ანდა სანთებელას გასანთებელი რომ არის, მაგით დავბორძიკობდით ხოლმეო.

მორჩილი დედა ფილოთეა დასძენს, — ჰესის ამუშავებამდე სენაკებს ჭრაქით ან დიზელის გენერატორით გამოიმუშავებული დენით ვანათებდითო.

მორჩილი დედა თაისია ამბობს, — ის გამონაბოლქვი ხომ გარემოსაც აბინძურებდა, ჯანმრთელობასაც ხომ ვნებდა და ვნებდაო...

და მონასტრის ბიუჯეტსაც ტვირთად აწევბოდაო, — ჩივის მორჩილი დედა ევანთია, რომელიც ხარჯების სწორად განაწილებასაც ცდილობს ხოლმე...

მოძღვარი დედა კვირილა შეაჯამებს ხოლმე, — ჰაერიც იწამლება ისე, რომ საშიში ხდება ძალიანო.



სულ ბოლოს, გავბედავდი და მეც ვიტყოდი ხოლმე ცოტასა, — ამ კიბოთი დაავადებულების რაოდენობა რომ მატულობს და მატულობს, ნეტავი, რადა? რადა და იმადა, რომ მოწამულილი ჰაერითა სუნთქავენ სულა. განა შეიძლება, რომ ვიღაცეები, თან ბევრნი, ხსნიდნენ მანქანებს კატალიზატორებს და ყიდიდნენ წაღმა-უკუღმა? ემაგ კატალიზატორმა თუ არ დაიჭირა და გაფილტრა, მანქანის მაყუჩიდან გამოსული გამონაბოლქვი ძალიან საშიშ აირებს შეიცავს და რამდენმა ადამიანმა, ბავშვმა და ქალმა უნდა ისუნთქონ იმითა? მერე უკვირთ, საიდან სიმსივნეო. საიდანა და, მოწამლული ჰაერიდანა მეთქი...

აი, მოდი, მივიდეთ ამ მიკროჰეს „ლევანოსთანა“. ეს როგორაა და, მიკროჰესის სადაწნევო მილიდან გამოძავალი წყალი ატრიალებს პელტონის ტიპის ტურბინასა, ეს ტურბინა კიდევ გენერატორს გადასცემს ბრუნვასა... გენერატორი კი გამოიმუშავებს დენსა. სწორედ ეგეთი პელტონის ტიპის ტურბინებია გამოყენებული დიდ ჰესებზეც, ზრამჰესი-ერთი გინდა, შაორის ჰესი, ბუჟუჰესი და ასე.

„ზრრ-ზრრ-ზრრ...“ — ეგე, როგორ დასძახის ეს ტურბინაი, იმისი, რა ჰქვია, კაცო... ჰო, პელტონი... პელტონის ტურბინაი... აი, შენ კი გენაცვალე მაგ ხმაში...

მოდი, ბარემ კარგად გითხრა, როგორ არის ესა: მაღალი წნევისას წყალსა აქვს დიდი სიჩქარეი. ეს სადაწნევო მილსადენი უერთდება აი, ამ საქშენსა. ამას ცალ მხარესა აქვს წვრილი კვეთი და ამ წვრილ კვეთში წყლის სიჩქარე ძალიან დიდია მეთქი.

ამ პელტონის ტურბინის დისკზე კიდევ დამაგრებული არის ჩამჩასავით ფრთები. აი, როგორც რომ ეს ჩემი პეშვი, სულ ეგეთები. წყალს რომ მიუშვებ, ბრუნავს და ბზრიალებს სულა...

სანამ ჰესის კეთებას შეუდგებოდი, წყლის ხარჯი გაეზომე ჯერა. ისე გაეზომე, როგორც მაგ ენერგო იმის, სარგებლის ცენტრის ხალხმა მასწავლა...

როგორა და, ეს აუცილებელი ზაფხულში უნდა გაკეთდეს, როცა წყალი ყველაზე ნაკლები მოდის, სხვა დროს არა, რახან ზუსტი არ გამოვა გათვლაი. წყლის ხარჯის ანგარიშია ესა, რა რაოდენობის წყალი მოდის მდინარეში.

აი, დავინიშნე საათზე დრო, რამდენ წამში გაივსება ეს პლასტ-



მასის წითელი ვედრო. შვიდი წამია, არა? ეხლა კიდევა ლიტრიან-ით ამოწოთ ვედროდანა წყალი, — ერთანამ, ორი... ორანამ, სამი... სამანამ, ოთხი... ოთხანამ, ხუთი და ესეც ნახევარი ლიტრი კიდევა. ხუთ-ნახევარი.

ახლა ეს ვედროს ტევადობა, ხუთ-ნახევარი ლიტრი გავეყოთ იმ შვიდ წამზე და, უკვე თავისთავად, გამოვა ისა, რაც ჩვენ გვანტერ-ესებს — ნული მთელი, ცხრა მეათედი ლიტრი წამში.

ეს კი იოლია და, მერე უნდა უფრო ძნელი გამოთვლები, რომ ზუს-ტად დადგინდეს ჰესის მოსაწყობად საჭირო თითოეული დეტალი — ტურბინა გინდა, მილსადენის სიგრძეი თუ იმისი კვეთი კიდევა...

ამაშიც იმ ენერგო იმის ცენტრის ხალხმა გაგვიწია დახმარება. ჩამოვიდნენ, ხაზეს და ხაზეს, რაღაცა საბუთები წერეს, ისე გაზომეს და ასე გამოზომესა, დაიანგარიშეს და ისე გამოვიდა, რომ ეგეთი იო-ლად გასაკეთებელი პატარა ჰესის მოწყობა, დიდი-დიდი, ათას ხუთა-სი დოლარი ჯდება...

უკვე რამდენი წელიწადი იყო, რომ ფუტკარი გვეყავდა, მოტრი-ალდებოდა წელი და ემატებოდა სკები და ემატებოდა, თაფლი ხო თა-ფლადა და ცვილითა კიდევ სანთლებს აკეთებდნენ ჩვენი მორჩილები, აქაცა ვხმარობდით და საეპისკოპოსოშიც მიგვექონდა გასასყიდადა. ზოგჯერ კიდე ბოსტნეულიც, ხან რაი და ხან რაი. ესენი ხო გროვდე-ბოდა სულა და იმდენი თანხა კი არ იყო, მაგრამა ჩვენი მოძღვარი, დედა კვირილა იყო ეპისკოპოსთანა, მეუფე ისაიასთან, იმან შეგვივსო დანაჩენი, მოვაროვეთ ეგ ფული და იმისი ლოცვა-კურთხევითა... და, უფლითა და არა ჩვენითა, გავაკეთეთ ეს მიკროჰესი.

მოვიდნენ იმ ენერგოს ცენტრის ხალხი ისევა, იანგარიშეს, გა-მოთვალესა და გამოვიდა, რომ რაც ეხლა ენერგიასა ვხარჯავთ ამ მონასტრში, ამას რომ ვყიდულობდეთ ჩვენა, წელიწადში გამოვივლო-და ორი ათასი ლარი გადასახადი. სამი წელია ეს მიკროჰესი მუშაობს და ექვსი ათასი ლარი ხო დაიზოგა უკვე, ხო ანაზღაურა ის ათასხ-უთასი დოლარი, ამ მოწყობილობებში რომ დაგვეჭირდა და მოგებაზეც გავიდა უკვე.

მორჩილი დედა ფილოთეა ჩახედავს იმ თავის საანგარიშო ფურ-ცლებსა, ხარჯებისასა და იტყვის, — სწორედ ამდენი იქნებოდა მონას-



ტრის ხარჯი, დიზელგენერატორისა და ჭრაქის გამოყენება რომ გაგვეგრძელებინაო.

მორჩილი დედა სოფია უფრო შორს მიდის, — თუ გავითვალისწინებთ, რომ საწვავისა და, ზოგადად, ენერგომატარებლების ფასი სულ უფრო და უფრო იზრდება, მონასტრის დანაზოგიც ხომ უფრო და უფრო მატულობსო.

მორჩილი თაისიას კიდევ უხარია, — მაწუნ გამონაბოლქვით აღარ დაბინძურდება გარემო, სენაკებში კიდევ ჰაერიო.

მორჩილი დედა ევანთია კიდევ მიუგალობებს, — ისეთი კარგი განათებაა, ხატებს ღამითაც ვხატავ უკვეო.

მოდგარი კი, დედა კვირილა დაასკვნის ხოლმე, — საღვთოდ კეთილი საქმეა ეს, სიცოცხლის დასაცავად და მაღლი ვუთხრათ ყველას, ვინც ამ მიკროჰესის მოწყობაში ხელი გავვიმართა და ვინც მოაწყო. უფალო, შენითა და არა ჩვენითაო.

აი, ხო, ხედავთ, როგორ გამოვიდა...

ეგეთი პატარა ხევეებითა და მდინარეებით ძალიან მდიდარია ეს ჩვენი ქვეყანა და წყალი კიდევ, თუ ღინებას მიუშვი, თავის გზას არ დაკარგავს და თუ არა და, გადააქცევ უფასო ელექტროენერგიად და ეგაა. თან არცა წყდება, სულ არის და არის. პოდა, როგორც მამაჩემი იტყოდა ხოლმე, მეფუტკრე ფილიმონაი, — დარდი გაუშვი შენა...

მეც ახლა იმ ენერგო იმის ცენტრის ხალხივით ვეტყვი ხოლმე აქ მომსვლელებსა:

გამოიყენეთ წყლის უფასო ენერგია! გაუფრთხილდით გარემოსა და გაუფრთხილდებით სიცოცხელსაცა და გაუფრთხილდებით თქვენ ჯანმრთელობასაც!

ერთი ბეწო პლანეტაა ეს ჩვენი დედამიწა და აი, რატომ ვერ უნდა მოვუაროთ, რატომ?

6

მიიღებ, რასაც ეძებ მეთქი და...

ისე გამოვიდა, როგორც დაგიბარებია.

ერთხელაც, მოვედი აქა და სადღაა ჩემი გენერატორი? პელტონის ტურბინა ამოუღიათ, მოუგლეჯიათ სამაგრიდან და აგდია ოხრად. ეს ქოხიც სულ მიღვეწ-მოღვეწილია, კაბელებია გადაჭრილი და



მიმღებ-გამანაწილებელი დაფა ჩამომტვრეულია, ერთი ჩამრთველი აღარა აქვს ზედა.

გამოვარდი გარეთ, ამ ამალგებაზე ამოვედი, ვიყურები ღურბინდში და საზღვარი მაშინ აქვე, ამ გორაკის ძირასა ჰქონდათ და იქ მიაცუხცუხებდნენ ორი ჯარისკაცი ჩვენ გენერატორსა, მერე შეიდი, რვა სული მისდევს და სულ უკან ვიდაცა ოფიცერი მიიზღაზნება გაჯგომული. მიდიან ეგრე გეზადა, რუსული ბლოკ-პოსტისკენა. ვუყურებ ამ ღურბინდში და ის ოფიცერი რამდენიმე წლის წინანდელ მაიორ გლებ უსმანოვსა ჰგავს სიფათზე.

აბა, მივვარდი მონასტერში, ვუთხარი ეს ამბავი და დედა კვირილამ არავინ გაიყოლა, ჯერ ჩვენს ეპისკოპოსს, მერე საპატრიარქოს შეატყობინა, ვინ აღარ ჩარიეს, მაგრამ ვეღარ დავიბრუნეთ ის ჩვენი გენერატორი. დაგვტოვეს უდენოლა...

სად აღარ ვიარეთ, ძლივს მოვაგროვეთ ფული, ისევე ვიყიდეთ ყველაფერი, რაც გაგვიოხრეს და თავიდან გავმართეთ მიკროჰესი.

მაგ ოფიცრის ოხტში უნდა ამოვიდე მეთქი, ჯერ ჩვენ სამხედროებში ვიშოვე იარაღი, რაც საჭირო იყო და ვუარე ეული მგელივითა მაგათ ბლოკ-პოსტსა რამდენიმე დღე შორითა, ვათვალთვრე ღურბინდითა და გლებ უსმანოვია ნამდვილადა, ოღონდ მაიორი აღარ არი, კაპიტანად ჩამოუქვევებიათ.

ერთ დღესაც წასული ვიყავი, თაფლი წავუღეთ ჩვენს შემსყიდველს, ვერ ახერხებდა ამოსლასა. უკან რომ ამოვედი, უკვე სადმოღვევა და რასა ვხედავ, რასა?!

ის მავთულხლართები, იქით, გორისძირში რომ გადიოდა, ახლა აქ გადმოუტანიათ და ზედ მიკროჰესზე გადაუტარებიათ. ისე, რომ აქეთ მხარეს მარტო ჰესის საგუბარილაა დარჩენილი, სადაწნეო ავზი და მთელი დანარჩენი ჰესი, — წყალმიმღები გინდა, სადერივაციო არხი, სადაწნეო მილსადენი, სადგურის შენობაი, ჰიდროაგრეგატი, თავისი ტურბინაგენერატორითა და ეს წყალგამყვანი არხიც, — ყველა საზღვარს იქით, დაპყრობილ სამაჩაბლოშია.

ავდექი და, ამ მავთულხლართებზე სულ გადავიგლიჯე ეს ცალი ხელი, მაგრამა მაინც გადავიტანე საზღვარი გადაღმა, ისევე ჩვენსკენ მოვაცილე მიკროჰესი.



ხო ვიცი, რომ მოვლენ. მაგრამ მორჩა. აღარ მეშინია მე მაგათი. აღარა.

მოვიდნენ თუ არა და, აბა, გიყვარდეს, შევუკეთე და შევუკეთე ეს „ლიმონკები“ ამ ცალი ხელითა. აბა, აქედან და აბა, იქიდან! აბა, ფხ-აჭი! და აბა, გლეჯი! ვინც გადარჩა, ხომ გარბის თავქუდმოგლეჯილი და ვინც ვერა, აგდია იქა, მავთულხლართთანა და გაჰყვირის ვედრების სიტყვებსა.

ავიდე ეს ჩემი მაკაროვის პისტოლეტი, მივირბინე და მაიორი გლებ უსმანოვი, ოღონდ კაპიტნის ოთხი პატარა ვარსკვლავითა!.. დაჭრილა ფეხში და იკრუნჩხება ტკივილისგან, გასდის სისხლი, მაგრამა ქამარი შეუხსნია უკვე და იჭერს ჭრილობის მალლა...

ჩემს თვალწინ რომ ის ქალები ამოხოცე ტაქსიში, თავის შოფრინანდა, ეგეც ხომ მახსოვს მეთქი და მე რომ გამიშვი, ეგ კი ახლაც გამკვირვებია.

სიკეთე ვქენი და იმიტომ გაგიშვიო.

მერე ხო ჯერ ჩვენი გენერატორი მოიპარე და გაყიდე თუ გაცვალე სასმელში მეთქი...

არა, არა, ეგ ჩემი ბრალი არ იყო, უფროსმა დამავალაო.

ახლა ისევ იქით მოაყოლე ჩვენი მიკროჰესი, რომ ამ ღვთისმშობლის მონასტერსა დენი წაართვა მეთქი და ღმერთისა მაინც არ გეშინია?..

მეშინია, მაგრამ ისევ ბრძანება შევასრულე, პატარა კაცი ვარ, რა მექნაო?

ჩემს შვილსა ხომ შენი ბრძანებით ადგებოდნენ კისერზე, ხერხელ-მალში ამტვრევდნენ და მიწას აკოცეო, დაჰყვიროდნენ და ეგეთი წამებით რომ მოაკვლევინე, მაშინა მეთქი?

ეგეცა ბრძანებაი იყო, ბრძანებაიო...

რა ვქნათ ესლა? ჩემი შვილის მკვლელები ხარ და შენ მითხარი, აბა, რა ვქნათ მეთქი? — მაკაროვს უუმიზნებ შუბლში.

უუმიზნებ, უუმიზნებ და დამიდგა გონი, გული და ხელიცა. თვალწინ წარმომიდგნენ ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღოლი, დედა კვირილა, მორჩილები: ფილოთეა, სოფია, თაისია, ევანთია... ღმერთო, შენითა და არა ჩვენითაო. მიგალობდნენ ამასა. მიგალობდნენ და...

მაიორო, ხოხვა შეგიძლია მეთქი? ხოხვაი?

შენ ნუ მესვრიო და შემიძლიანო.



წადი მაშინ, სანამ გადამიფიქრებია მეთქი.

ჰოდა, დაიწყო და დაიწყო ხოხვით წასვლა, მიიყოლებდა სისხლის კვალსა...

მერე ვთქვი, როდემდე გიყურო, შენი პატრონის ცოცხალ-მკვდარის დედაცა მეთქი და რომ გამოვბრუნდი, ორი ნაბიჯი არა მქონდა გავლილი და ჯერ ზურგი ამეწვა, მერე გავიგონე სროლის ხმაი. მოვისვი ხელი მკერდზე და სულ სისხლიანია...

მივუტრიალდი და უსმანოვმა მეორედაც მესროლა, მესამედაცა... პირზე შემაშრა სიტყვები, — მომკალი, შე შობელძალლო შენა?

პისტოლეთისკენაც ვცადე ხელის გაქნევა, მაგრამ ვეღარ...

აი, როგორც ძირში გადაჭრილი დიდი მუხა დაიძახებს ერთ მაგარ ჭახანსა, კენესით შებრუნდება ოდნავა და დაასკდება მერე თავის მშობლიურ მიწასა, მეც სწორედ ეგრე...

ჰოდა, როგორც პატრაობაში ალილოზე ვმდეროდით ხოლმე „ჭონას“, ისევ ის სიმღერა მომესმა სულ ბოლოსა:

„ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, ვარსკვლავებსა დავენახე,

მთვარემ კაცი მომიგზავნა: — თუ აქ იყავ, რათ არ მნახე?!“

7

წლებანდელი მარტის თვრამეტი იყო, უკრაინულმა გაზეთებმა დაწერეს ჯერა, მერე აქაც გადამოთარგმნეს, რომ რუსეთ-უკრაინის ომში მოკლეს მაიორი გლებ უსმანოვი და რუსეთის გმირის წოდებაც მიანიჭესო. ისევ მაიორი გამხდარა იქა, კიევის ალბაში მონაწილეობდა მაგისი ნაწილი და უკრაინის ქალაქებში: ბუჩაში, ირაპენში და გოსტომელში რომ შეაჩერეს, მერე უდანაშაულო ქალებს და ბავშვებს აწამებდა, აუპატიურებდა და ხვრეტდა თურმე. სწორდ ეგ მეთაურობდა კოსტრომის საჰაერო-სადესანტო პოლკსა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში და მათ შორის, კაპრალ ლევან სოსიპატრეს ძე მარიამიძის წამებაშიც დებულობდა მონაწილეობასო.

აჰა, ურმით დადის და მაინც მოგაკითხავსო, სამართალი. აკი მეც ვიმეორებ ხოლმე, შვილო ლევანო, რომა, — ღმერთო, შენითა და არა ჩვენითა მეთქი...

ეს ჩემი არეულ-დარეული ამბავიც ეგ არი...

სამი ბიჭი, სამი მამა (მოთხრობა)

სამი ბიჭი სოფლის აღმართს მიუყვება. თერთმეტ-თორმეტი წლისანი. ერთნაირად გაკნაჭულები, აღერილები, სუფსის ტალღებივით ერთნაირად გამკვრივებულ-გაპრიალეულები, გურიის მზით ერთნაირად გარუჯულები. მარჯვედ, გაჩვეულად ახტებიან დელე-დულებს, ეკლიანებს გაჩვეულად არიდებენ შიშველ წვივებს. ალაგ შემწიფებულ მაყვალს წაეჭანებიან, ალაგ ვინმეს ღობიდან გადმოხნიეკილ ტოტს ტყემალს შეაწყვეტენ. სველ ტანზე ჩაცმული, გახუნებული შარვალ-მაისურები ზედვე აშრებათ. მდინარეში დგაფუნით დაღლილები, არაქათგამოცლილები სოფლის ფურნიდან მონაქროლ, ახლადამოყრილი პურის სუნელს ხარბად ყნოსავენ ერთნაირად მზეჩამკვლარი, დაჭორფლილი ცხვირებით. შიათ, აბა, რა! მდინარე აშიებს. მდინარე ცხელ მჭადს, ყველს, ღობიოს და კიტრს განდომებს! კარგი პირის გემო აქვს მდინარეს! არც ნიორწყალში ჩალაგებულ ბარკალ-კუტუმოზე გათქმევინებს უარს! სულ უბრალო, — აი, ამ ახლადამოყრილ, ცხელ პურს გაგაღეჯიებს შუაზე და მის ოხშივარში დამშვეულად ჩაგარგვევიებს ცხვირს! ჭის წყალიც თუ იქვეა და, — შეეწიოს ყველას მდინარის, ცხელი პურის და ჭის კამკამა წყლის მადლი!

მოდინ, მოუყვებიან თაკარა მზით გახურებულ ბალახ-ბულახს ბიჭები. ერთს, რეზიკიეს, ჯოხი წაუტეხია სადღაც, მოდის ბალახ-ბულახის ჩხრეკით, იქნება გველი დაუხვდეს სადმე, მყუდროდ მოგრაგნილ-მთვლემარე! არ მოკლავს, ცოტას გაეთამაშება და გაუშვებს მისი გზით. არაა გველის მოკვლა კარგი, — ასე იცის, — მისი წყევლა არ მოგცემს მერე საშველს, გიპოვის. იცის ეს რეზიკიემ, წყნარი სტვენით უჩხიკინებს ჯოხს ბალახს.



ორნი ჩუმად მოდიან, დიდი კაცებივით ფიქრებში წასულები.

— შაბათს სოკოზე წავიდეთ, — ამბობს რეზიკიე, — მანჭვალააო ბევრი, ნაზიკიემ. ყოფილა გუშინ.

— შაბათს ვერა, — ამბობს დათუნი, ყველაზე ჭორფლიანი, ყველაზე გაჩხიკული, — მამაჩემი მიდის შაბათს. არ იცი ვითომ.

— მაი კი ვიცი, — ამბობს რეზიკიე. — მარა დამავიწყდა... თურქრთში მიდის, მაი კი ვიცი.

— რიზეში. პლანტაციებში. — ამბობს დათუნი, — ჩაის საპუტად! — რაღაცნაირად, ბრაზიანად ამბობს.

— რას მოჯღუნულხარ მერე, ბიჭო, კაია, ბევრ ფულს ჩამეიტანს! დოლარებს! — ამბობს რეზიკიე.

— არ მინდა მე მაგისი დოლარები! — ამბობს დათუნი, — აქანე იყოს, ის მინდა! აქანე მინდა მამაჩემი!

— მაი მეც მინდა, მარა სადაა. — ამბობს მესამე, ზურიკო-ტუჩა (ზედა ტუჩი ოდნავ მსუქანა აქვს, ფუტკრის ნაკბენივით. უხდება, ხატავს), — მამაჩემიც მიდის სამშაბათს ესპანეთში, კი იცით, მშენებლობა იქნება, ხე-ტყე იქნება, რაცხა იქნება, ვიმუშავებო. ვეუბნები, მეექვსე კლასში ერთ დაბალ ნიშანს არ დევიწერ, ერთი საყვედურიზა არ დეიბარებენ დედაჩემს, ისე წესივრად მევიქცევი-თქვა, მარა მაინც მიდის. ისე უხარია, გეგონება გურიას სჯობს ესპანეთი! ფულს გამოგიგზავნითო. კაი ბოტასს იყიდო. დახეულ მეცვას და მამაჩემი აქ იყოს!

სიჩუმე ჩამოვარდა. დასიცხული ჩიტები უხალისოდ სტვენენ, ჟღერტულებენ. ნიავეს მთის სურნელი და ოხშივარი მოაქვს. სოფლისკენ გადაუხვიეს ოღრო-ჩოღრო ბილიკიდან.

— აბა, შენ წამოდი სოკოზე, — უთხრა რეზიკიემ ზურიკო-ტუჩას, — თუ სამშაბათს მიდის.

— არ მინდა. არ ვარ ხასიათზე, — თქვა ზურიკო-ტუჩამ, რეზიკიეს ჯოხი გამოართვა და მოისროლა.

— რეიზა გადამიგდე! — გაუკვირდა ბიჭს.

— რეიზა და იმიზა! მამაშენიც ზო მიდის საბერძნეთში. ზო მიდის მაგიც!

— აღარ მიდის. — თქვა რეზიკიემ, — რჩება.

წამით გაოცებით დამუხტული სიჩუმე ჩამოღდა.

— რეიზა აღარ მიდის, ბიჭო! — ბოლოს, როგორც კენჭი შურ-



დულიდან, ისე ისროლა კითხვა დათუნიმ.

— რეიზა რჩება?! — მიაყოლა მეორე კენჭი ზურიკო-ტუჩამ.

— რეიზა და იმიზა! — წელანდელი შეუტრიალა რეზიკიემ ძმო-ბილს, — ბიზნესმენი ხდება!

წყაროსთან მისულიყვნენ.

შეჩერდნენ.

საღამოობით წყაროსთან „ბირჟა“ ეწყობა ხოლმე. ბავშვები, მოზარდები აქ იყრიან თავს. მაგრამ ახლა ცხელა, ჯერ არ აგრილებულა, ყველა ჩრდილსაა შეფარებული.

— რაის ბიზნესმენი, ბიჭო?! — დათუნიმ ორივე პეშვით წყალი შეისხა სახეზე და ქვაზე ჩამოჯდა.

— თუ არ გოუშვენ, თქვი მართალი! — თვალები ეშაკურად მოჭუტა ზურიკო-ტუჩამ.

— არ გოუშვენ კი არა, ეხვეწებიან იქედან! მარა არ უნდა, რჩება-თქვა! ბიზნესს იწყებს.

— რაის ბიზნესს, ბიჭო, თქვი!

რეზიკიემ პეშვი წყაროს შეუშვირა, წყალი მოსვა, ქოჩორხეც აისვა სველი ხელი და თქვა:

— ლანჩხუთში იყო რაცხა დიდ შეკრებაზე. ლადო ბიძიესთან იყო მისული და იმას, რომ იწყებოდა, მამაჩემიც შეუყვანია. ვინცხა დიდი ხალხი არიენ ჩამოსულები, საინტერესოებს ილაპარაკებენ და შემოდის. შესულა მამაჩემი. მაგარი ამბავი ყოფილა. სახლში რო მოვიდა საღამოზე, აღარსად აღარ მივალ მეო, თქვა. გაღმა ნაკვეთს გავეცი, ძროხებსაცო, კიდევ ევიღებ რაცხა კრედიტს და სამ ბიზნესს დევიწყებო. ერთი მაინც ხო გაამართლებსო.

— სამს? — თვალები ჭყიტეს ბიჭებმა.

— კი, სამს.

— ასეთი რა თქვეს იქ? — უკვირს დათუნის.

— კარგად ვერ გვეიგე ჯერ ვერც მე, მარა გლობალურ დათობას ვებრძოლოთ უნდაო, უთქვამთ.

— ჩვენ რანეირად?

— რანეირად, და... რეიზა დნება აისბერგები არქტიკაშიო?

— რეიზა და, დაცხა მზისგან, ალბათ, — ამბობს ზურიკო-ტუჩა,

— აბა, თეთრი დათვი ბუნარს არ დაანთებდა იქ...



გაიცინეს.

— ბრაზილიის ტყე რამ დაწვა? ავსტრალიის ტყე რამ დაწვაო?

— მზემ, ბიჭო, მზემ, — ახლა დათუნი ამბობს, — აბა, ბრაზილიის პრეზიდენტმა უთო ხო არ დატია ჩართული!

ისევ გაიცინეს.

— ჰოდა, ულაპარაკიათ იქ, რეიზა დაცხა ასე ძალიან, რო ყინულე-ბი დნება და ხანძრები მისით ჩნდება! გლობალურ დათობაზე, ამაზე, იმაზე... ბენზინი გლახააო. გამონაბოლქვი კლავსო. ჰაერი დაბინძურდა და ბუნება აღარ ვარგა არაფრადო.

— მაგას ბუნების მასწავლებელიც კი გვეუბნოდა, ნათიე მასი. შენ ბიზნესს რაფერ იწყებს მამაშენი, იგი თქვი! — თქვა დათუნიმ, სადღაც, გზად წაწყვეტილი შავქლიავი ამოიღო ჯიბიდან და პირში იტკუცა.

— იქ უთქვამთ, მზე, წყალი და ქარი უნდა მეიხმარონ აწი ადამიანებმაო. ჩვენ აქ ვართ, თქვენ დეიწყეთ და ჩვენ ხელს შეგიწყოფთო.

— მერე?

— მამაჩემი სამივეს აპირებს.

— რანაირათ, ბიჭო?!

— სუფსის ტოტზე პატარა ჰესს ჩავდგამო, კაციგორაზე ქარის ელექტროსადგურს დავდამო და მზის იმასაც გავაკეთებო... კორექტორიო... თუ კონვენტორიო... თუ რაცხა, აღარ მახსოვს! ცხელი წყალი მზიდან ექნება სოფელსო.

— ზამთრშიც, ბიჭო?! — ისევ თავისებურად მოჭუტა თვალები ზურიკო-ტუჩამ.

— კი, ზამთრშიც, — თქვა რეზიკიემ, — მზის ენერგიაა მაგიო.

სიჩუმე ჩამოდგა.

— კარგია... — თქვა ბოლოს დათუნიმ, — აქ გეყოლება მამა.

— კი, კარგია, — თქვა ზურიკო-ტუჩამ, — აქ როა მამა, მაგი ყველაფერზე კარგია.

გულდაწყვეტილობა გამოსჭვიადა ბიჭების ხმაში.

რეზიკიეს გუნება წაუხდა. რაღცნაირად, შერცხვასავით. სახეც წამოუწითლდა, ყელში კი ბურთივით გაეჩხირა რაღაც... ბიჭი დაიძაბა, შუბლზე ძარღვი ამოებერა, მუშტებიც კი მოკუმშა უცნაური, ბავშვურ-კაცური სიმწრით, და უცებ სახე გაუნათდა.

— მევიფიქრე! — შესძახა.



— რა მეიფიქრე, ბიჭო?! — გაუკვირდათ ძმობილებს.

— მეეიფიქრე! მამაჩემს დაველაპარაკები. ეტყვი, სამი ბიზნესი რად გინდა. აგერ, ზურიკიეს და დათუნის მამებიც ხომ არიენ! აგერ წასასვლელად არიენ დამზადებულები! ერთი ესპანეთში მიდის, მეორე — თურქეთში. დათუნი და ზურიკიე კიდე, დარდობენ მამების წასვალს, აღარც ბოტასი უნდათ ახალი და აღარ იმათი დოლარები! მამები უნდათ სახლში, როგორც შენ დარჩი-თქვა აქ. ჰოდა, თუ ჩემი კარგი მამა ხარ, შეიამხანაგე, მარტო კაცი ჭამაში რომ ცოდვია, ბიზნესშიც ცოდვია! ერთი ბიზნესი დეიტიე შენთვის, მეორე დათუნის მამას დუთუმე, მესამე — ზურიკიეს მამას! გახდებიან ბიზნესმენები, გამდიდრდებიან და გადაგიხდიან მაგიერს! აღარ წავლენ! აქანე დარჩებიან!

— მართლა ეტყვი მასე, რეზიკიე, ბიჭო? — აღტაცებისაგან მხარში მაგარი მუშტი მოარტყა ძმობილს დათუნიმ, — მართლა ეტყვი, ბიჭო?!

— მართლა! მოვა თუ არა!

— მართლა, ბიჭო?! — ახლა ზურიკიე-ტუჩა შეაქცერდა სახეში მოუთმენლად.

— მართლა-თქვა, მართლა!

— იტყვის მერე კის, ბიჭო?!

— იტყვის!

— არ გეტყვის მამაშენი შენ უარს!

— არ მეტყვის!

— აუფ, რა მაგარი იქნება, ბიჭო?!

— ქარი, მზეი და წყალი ყველასია, მარტო მამაჩემის კი არა, — ამბობს რეზიკიე.

ხალისიანად გაუდგნენ გზას.

იმედიანად.

კეთილი მოლოდინებით...

ლეკვს გაეთამაშნენ. კატას დაუცაცხანეს. გოჭი ააჭყვიტინეს...

გზაგასაყარზე, რეზიკიეს სახლთან შედგნენ.

— ეტყვი?

— ვეტყვი.


— უთხარი.

და თავთავის გზას დაადგა სამივე. თავთავის პატარა დიდი გზას.

თამარ ბოლქვაძე



ღაუბრე ერბურ, თბილნძი... ვარ ილეთ, რ-
ვარე მე მინდრა ყუაფრთყუი ქ არა ილეთ, სხვას რმ
სურა! მუკი ცხევირა საკუთრი სავის შერხვას ვერეიბ,
მით უვი, რმ ხმეი სამი ქაქი ცხევირბს. ები - თრბარ-
ილც-არავისცთ, მუარ - ზუცი, მესამე კი ამ არის შუნიშანი,
სან ების უბოქბს ნითერ, სან მუარს... ვარ იძუთი კარქეთის
წაცრბი, ვავრეუბ სთნცვირეს ადმთნებს... ვი ვმევირბ
ართცხის მქრამ "ვარდო ზინწარამეიბთს" ქ დრამინის
ქიბთს... მე მესმის მათი, ვისაყ ხეი არ ესმის... ხემს
ცხევირბას ზევირ ვანმევი შუკავის თვარით ვუყვირბ,
სავისი ზუარსვრა-ხარამინთებით... რბ კი დვას ხეი ქუის
რმე-ითაყ კუთხეი ქ დრეწვივივით მარევირბს თვარს, რმ
მუვი არაყირი შუშარბს! მუარება რამე? - რბს კითხით... ზუის
ხეი თვარ ქ კარი, არბს - სხვარ ქვიის რიჭვარო!
არბე მუკის ვაუქყე მუყარე ყაფას! ნიის არბეიშთ
ხემს ვამუარბი სამყარბთ ვცხევირბ, სარაყ ზამთარ-საფხერ
ნიყარეილს დრესანარბს! მარევირა რბიის, ამ ნიჭისთვის!



ნამჯის სახლი, წითელი კაზა და შავი შარვალი

გადაღება უკვე დანიშნული იყო! თემა, ლოკაცია და რესპოდენტი — შერჩეული! მთავარ პრობლემად წამყვანის ჩაცმულობა რჩებოდა. არც ძალიან გაპრანჭული უნდა ყოფილიყო და არც ძალიან ჩვეულებრივი, რეჟისორმა სახეირო ვერაფერი ურჩია, ცოტა მოიკოჭლებდა ფორმისა და სტილის შერჩევაში... თამთამ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა ის ჩაეცვა, რაც თვითონ მოსწონდა: წითელი სარაფანი, თეთრი ლენტებით გაწყობილი ჩალის ქუდი და სქელძირიანი ბათინკები...

აგვისტოს სიცხე იღვა, კახეთში ორგზის გაპაპაპანაქებული. ველისციხელი ფერმერი გულის ბაგაბუგით ელოდა გადამღებ ჯგუფს თბილისიდან. გოგის მეურნეთა სამმაკაცო უმშევენებდა მხარს, მთავარ როლში ცნობისმოყვარეობა იყო, მერე მეგობრის მხარდაჭერა, ხუმრობა ხომ არ იყო, ტელევიზორში, მთელი საქართველოს გასაგონ-დასანახად მათი მმაკაცის წარმოჩენა. გოგის ფანტაზიას მთელი ღამე დიდი ეკრანი ჰქონდა ჩართული და იმ სასიამოვნო ხმის ჟურნალისტს, ტელეფონით რომ ესაუბრა, ყველაზე ლამაზ ფერებში უზავებდა წარმოსახვის ფუნჯი...

„ოქრო“ გოგია ერთი გამრჯე, მიზანდასახული, ბუნებასთან მომეგობრე და კარგი მეურნეობის შექმნაზე მეოცნებე ბიჭი იყო. მამა ადრე გარდაეცვალა და ოჯახის თავკაცობაც ადრეული ასაკიდან იკისრა. დღე და ღამე შრომობდა, თელავში არსებული აგრარული კოლეჯიც დაამთავრა, გურჯაანში ჩატარებულ აგროტრენინგებს ხშირად ესწრებოდა, საჭირო ცოდნაც დააგროვა, ზოგიც გამოცდილ ფერმერებს დაეკითხა და მამაპაპის დანატოვარი არც თუ მცირე მიწა მალე მომგებიან მეურნეობად აქცია.



პირველი ბარაქიანი მოსავლის ამონაგებიდან, მერსედესის საყიდლად კი არ გავარდა, პატარა ტრაქტორი შეიძინა, სულ სხვასთან საღრიტინო რომ არ ჰქონოდა, ერთი სიტყვით, კარგი მეურნეს სახელი გაუვარდა ველისციხეში. კახეთში მეტსახელს ისე არ დაგარქმევენ, თუ არ ამართლებ! მართლაც „ოქრო“ გოგია იყო, გულითაც და საქმითაც. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან, სახლის მშენებლობიდან დაწყებული, ხეზე კვეთით დამთავრებული. პაპა ხის ოსტატი ჰყავდა და ბავშვობიდან შეაყვარა ეს საქმე.

არხისა და გადაცემის ლოგოთი მოხატული მანქანა შუაგულ მინდორში გაჩერდა, პირველი თამთა გადმოვიდა, წითელი კაბით, მოდელის ტანფეხით და ჰოლივუდური ღიმილით უშუალოდ მიესალმა მასპინძელს. გოგი ისე დაიბნა, ჯერ წინ გადადგა ნაბიჯი, მერე უკან დაიხია და ფეხსაცმლის ჭვინტს დაჩერებულმა -გამარჯობა, მობრძანდითო! -უთხრა. გადმოვიდა გადამღები ჯგუფიც, სატელევიზიო ტექნიკაც გადმოალაგეს. დამხვდურების დიდი ყურადღება დრონმა მიიპყრო. -ეს რკინის კალიას რომ ჰგავს, რის მაქნისიაო-იკითხეს ველისციხელებმა. რა აჯამურ კითხვასა სვამთ, დრონი როგო არ გაგივათ, აგე, ნახავთ, ცაში აფრინდება, ფუტკარივით იზუზუნებს და ჩემს ფერმას იქედან გადაიღებსო, — საქმეში ჩახედული კაცივით უპასუხა გოგამ. -ცოტა ახლოდან ვერ გადაგიღებს, აემ ცის სიმაღლიდან როგო გამოვჩნდებითო — დაინტერესდნენ კახელები. -ის „კალია“ არც ერთს არ გამოგტოვებთ, ყურზე ხალი თუ გაქვთ, იმასაც გამოგიჩენთო, — გაეხუმრნენ ოპერატორები.

ამასობაში თამთამ გარემოს დათვალიერება დაიწყო, ბიჭებმა ძეგლად ქცეულ გოგის ხელი ჰკრეს, — მიდი, ბიჭო, გაჰყე მაგ მარწყვივით გოგოს, ე, მანდ შენი ბუღა არ გამაენთოს, იგეთი წითელი კაბა აცვია, მარცხი არაფერი მაიწიოსო. გოგი უცებ გამოერკვა, დაუბრუნდა მასპინძლის შესაფერ მღგომარეობას და თამთასკენ გაიჩქარა გზა.

ისე, დიდი მეურნეობა კი ჰქონდა, აგროენაზე მრავალპროფილურს რომ უწოდებენ. რაღა არ იყო აქ: კარგად მოვლილი ვენახი, სპარტელელებით გამწკრივებული რქაწითელითა და საფერავით, ბატებით, იხვებით და თევზებით სავსე ტბა, თხილის პლანტაციები, საზამთროთი სავსე ბაღჩა, ბაღ-ბოსტანი, ცხვარ-ძროხა, ცხენები და რაც მთავარია, ნამჯის სახლი! ამ ფერმერულ ავლა-დიდებას ბომბორა კავკა-



სიური ნაგაზები დარაჯობდნენ. ამხელა ტერიტორიის დათვალიერებას დიდი დროც დაჭირდა. გოგიმ, როგორც იქნა, დაბნეულ თავს თავი მოუყარა და ცოტა გაუშინაურდა მის ფერმაში მოფრენილ უცხო ჩიტს... ყველაფერი აუხსნა, ცად აზიდული ქარსაცავი ზოლიც აჩვენა. უამბო, მეგობრებთან ერთად როგორ დარგო წლების წინ ფიჭვები, რომელთაც არც ბევრი მორწყვა ჭირდებოდა, არც შინაური ცხოველები აზიანებდნენ და რაც მთავარია, ქარსაც არ აპარპაშებდნენ მის ბალ-ვენახში და ნიადაგსაც იცავდნენ ეროზიისგან.

— როგორც ვიცი, ქალაქში სულ გაგხმობიათ ფიჭვები, აქ კი, ღვთის მადლით, დგანან მწვანე კედლად და როგორც ხნოვანი კაცები ამბობენ, კიდევ ორი საუკუნე იდგებიანო! — თქვა გოგიმ და კოვბოური ქუდი შეისწორა, თავზე დახურვის კახური აქცენტით ... თამთას თვალში თანდათან იზრდებოდა რესპოდენტის რეიტინგი...

ამდენი სიარულით ქანცგაწვევტილ ჟურნალისტს მწიფე საზამთროც გაასინჯა, თხილის გულიც გაუყო (გულში თავისიც...) და ბოლოს გამოუტყდა -კამერის წინ პირველად უნდა დავდგე და ცოტა ვნერვიულობო. — რამე ისე რომ ვერ ვთქვა და ვქნა, რა ეშველება ამ საქმესო? — თამთამ კარგი ფსიქოლოგიით დაამშვიდა, აუხსნა, რომ ეს არ იყო პირდაპირი ეთერი და თუ რამე შეეშლებოდა, კიდევ ერთ დუბლს ჩაწერდნენ, თან დააყოლა, — მე შენთან ახლოს ვიდგები და მაქსიმალურად დაგეხმარებიო. რა იცოდა თამთამ, რომ რესპოდენტ გოგის სწორედ მისი“ ახლოს დგომა“ ანერვიულებდა ყველაზე მეტად...

გადაწყდა — გადალება ნამჯის სახლიდან უნდა დაეწყოთ! გადაძვლები ჯგუფის ველისციხეში ჩამოსვლის მთავარი მიზანი ჯერ ეს სახლი, შემდეგ კი ფერმერული მეურნეობა იყო. სახლი გოგის თავის ხელით ჰქონდა ნაშენი, ორად ორი მეგობრის დახმარებით.

კამერა ჩაირთო თუ არა, გოგის დამაბულობა სადღაც გაქრა და ისე მიახაპასხუპა, რა, როდის და როგორ გააკეთა, რომ თამთა გაოცებას ვერ მალავდა... პირველი ეპიზოდის ჩაწერის შემდეგ შეაქო კიდევ რესპოდენტი, -ამას ნამდვილად არ ველოდიო...

— მოიცა, ისა, რატო ავაშენე, ეგ რომ არ გიკითხავსო, — გათამამადა გოგი. — ჰოდა, განვაგრძოთ ჩაწერა და დაწვრილებით მომიყვი, ნამჯის სახლის ისტორიაო.



გულმოცემული გოგი ოპერატორებს კამერის ჩართვას ადარ აცლიდა. წერილად მოყვა, რატომ იყო ნამჯის სახლი ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური. რამდენი ლერწამი, ნამჯა, მატყლი, რა რაოდენობის თიხა და კირი დაჭირდა მის აშენებას, როგორ შეარჩია ვაკე ადგილი, ტყისგან ცოტა მოშორებით, ღამით როგორ ესმოდა მგლების ყმუილიც და სამი მეგობარი სამი გოჭივით, როგორი გულმოდგინებით აშენებდა ამ ზღაპრულ სახლს, მერე როგორ იქცა ეს სახლი ველისციხელების ქილიკისა და ჭორაობის საგნად. თუმცა, ერთი ორმა ახალგაზრდა ფერმერმა მანაც გადაიღო მისგან მაგალითი და ააშენა, მთლად ისეთი ვერა, გოგის რომ ჰქონდა, მაგრამ, მიმდევარ-მიმბაძველი ხომ გაიჩინა კარგ საქმეში...

— აბა, ნახე, როგორ თავისუფლად სუნთქავ, ზაფხულში გრილია და ზამთარში თბილი. მეგობრები მეხუმრებიან, შენი სახლი თერმოსივითააო. ნამჯა და ის ბუნებრივი მასალა, რაც გამოვიყენე, კარგად ინარჩუნებს სითბოს, თბოიზოლაციაც კარგი მაქვს, ერთ ჭუჭრულტანასაც ვერსად ნახავ, ღუმელსაც ვანთებ, მაგრამ შეშას კი არა, ჩემი ვენახიდან მორჩენილ წალამს ვიყენებ, იმდენი მაქვს, მწვადზეც მეყოს და ღუმელის საგუზგუზოდაცო. მეგობრებსაც უყვართ აქ მოსვლა, ამ სახლში სულ დიდი სტუმრიანობაა, ველისციხეში კი იგეთი კარგი ბუნება გვაქვს, რომ მეცა და ჩემი სახლიც ამ ბუნების ნაწილად ვიქეციო. ბუნებას როგორც მოექცევი, ისე მოგექცევა, მე არასდროს ვაზიანებ, ისიც სიკეთით მპასუხობს! განა არ ეტყობა ჩემს ფერმას, რო ეგრეა?.. ისე, თუ გინდა თავი ბედნიერად იგრძნო, კვირაში ერთხელ ბუნებასთან პაემანზე უნდა წახვიდეო — დააყოლა და იგრძნო როგორ გადაჰკრა სახეზე სიწითლემ...

სახლიდან გადამღებმა ჯგუფმა ტბისკენ გადაინაცვლა. ტბაში ერთი ადამკუკუს დროინდელი ჟანგიანი ნავი იდგა, ცალი ნიჩბით. ბატები და იხვები საპარადე მწკრივით დაცურავდნენ, ოპერატორები თითოეული იხვის ან ბატის აფრენას „აუ, რა კადრია-ს“ შემახილით იღებდნენ, ცაზე დრონი ზუზუნებდა...

მიზანსცენა ასეთი იყო: თამთას მარტოს უნდა გაეცურა ნავით, ფეხზე უნდა წამოდგარიყო, ტელეფონით გაპრანჭული სელფი გადაეღო (ვებგვერდისთვის), კამერისკენ უცებ შემობრუნებულიყო და ჩაეწერა სიუჟეტის შესავალი, ე.წ. სთენდაფი. თამთა ცოტა კი შეყოყმანდა,



მარტო, ცალი ნიჩბით როგორ გავცურო, მაგრამ შიში არ შეიძინია, წითელი კაბის კალთა აიკეცა და შველივით გადახტა ნავში, რის ვაი ვაგლახით გაცურა შუა ტბამდე, ლურჯი ცისა და მწვანე ტბის ფონზე ლამაზი სელფიც გადაიღო, ნავში ფეხზე წამოდგა და ისე მკვეთრად შემობრუნდა, რომ თავი ვეღარ შეიმაგრა და წყალში გადავარდა... თამთას თეთრლენტიანი ჩაღის ქუდი ლამაზად ატივტივდა ტბის ზედაპირზე. გოგი დაუფიქრებლად გადახტა წყალში, ალაზანზე გაზრდილს, ტბა რას დააბრკოლებდა, მკლავები ღონიერად მოიქნია და წუთში გაჩნდა თამთასთან. ნაპირზე წყალნაყლაპი და ლამის გულწასული ამოიყვანა.

ესეც „თიზერი“ ანუ კურიოზული კადრი! — თქვა ერთმა ოპერატორმა. -თქვენა, ბიჭო, ხომ არა გძმარავთ, რა თიზერ— მიზერი აგიტყდათ, ქალი დახრჩობას ძლივს გადავარჩინეთ, თქვენა კიდე, დაგიჭერიათ ხელში კამერები და სეირს უყურებთ, მე რომ მაგ გოგოს ადგილზე ვიყო, თქვენთან ერთად აღარსად წავიდოდიო! — ხმაძაღლა გამოთქვეს გულისწყრომა გოგის ძმაკაცებმა.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იმ ღამეს ნამჯის სახლმა თამთას გასათბობად ღუმელი ააგვიგებინა, წალამზე მწვადი შეიწვა, რქაწითელმა დალოცა სტუმარ-მასპინძელი, თამთას გადარჩენისა ყანწით შეისვა და ტელეწამყვანის წითელი კაბა ფერმერის შავი შარვლის გვერდით გაიკიდა თოკზე.


გოგიმ გადამღები ჯგუფი ნამჯის სახლში დააბინავა. უკვე მოსულიერებული და ხასიათზე მოსული თამთა ფანჯრიდან გაჰყურებდა ვეებერთელა მთვარეს და მეგობარს ტელეფონით უამბობდა მომხდარს. გოგი სახლის კიბეზე ჩამოჯდა, მასთან მორბენილ, კულმოქიციანე ნაგავს ცოტა წაეთამაშა და ოცნებებში წარგო თავი...

სავსე მთვარე ადგა ველისციხეს. გოგის ფერმაში ყველა სულიერი უკვე დაბინავებულიყო, ბომბორა ნაგავები კარმიდამოს შემოვლახე გამოსულიყვნენ, მათ ყეფას ჭრიჭინების ქორო ერთვოდა, შიგა და შიგ ცხენის ფრუტუნსაც გაიგონებდი. გოგის მიწა-წყალზე საიდანღაცა გაჩენილ წყაროს ძილი არ ეკარებოდა, ცაზე იასამნისფერ-ვარდისფრად დაგოფრილი ღრუბელი ნამჯის სახლიდან ამოსულ კვამლზე გაწოლილიყო. სახლის ფანჯრებს უკვე თვალები ელულებოდათ, გოგის თვალში კი სავსე მთვარე თამთას კაბის ფერი იყო მხოლოდ...

ლევან ლორია



ერთი ხუცრუბრივი ადამსნი, თუ ძაღნი სმამი
ან ვიწები შუფსუბუბთი, ნსტუტუტანი თინიკასი“. მიუვარს
ტიტრატურა, სიტყუაკანბუტი მხრიბა ბ მიუვარს „ტიტი“,
ქრამინის მბთუტუტი ეს ანახუტუტბრივი კანკანსი, რბუტსაფ
ფრსა მნიბუტუტანი ფუტყუთ აქვს, რბ ქრამინს მბუტარბთ.
ქა უნატბინბთ



ხანდახან ღმერთებშიც ტირიან

- ილაპარაკე, რომ დაგინახო!
- მასწავლებლო, თქვენ ბრმა ხართ?
- არა, ბრმა არ ვარ! მე ვხედავ ცას, ვხედავ ხეებს, ამ მწვანე ბალახს, მათ თქვეს თავის სათქმელი, შენ ვერ გხედავ!
- მე ალექსანდრე ვარ, მეფე ფილიპე მამაჩემია!
- მე ვხედავ მამაშენს, შენ კი ვერ გხედავ!
- მამაჩემი აქ არ არის ახლა და როგორ ხედავთ?!
- შენ თქვი მამაჩემი ფილიპეაო?!
- ვთქვი!
- ხოდა მე ვხედავ მამაშენს, შენ რომ დაგინახო, ჩემს კითხვას უნდა უპასუხო!
- და თუ ვერ ვუპასუხე?
- ჩვენი ბოლო გაკვეთილი იქნება დღევანდელი დღე!
- კითხვებზე პასუხი თქვენ უნდა მასწავლოთ! მამაჩემმა მითხრა არისტოტელემ ყველაფერი იცისო!
- ყველაფერი ღმერთებმაც არ იციან, ალექსანდრე!
- აბა რატომ არიან ღმერთები?
- უკვე გამოჩნდი, — გაედიმა არისტოტელეს, — კითხვა მომეწონა. რამდენი წლის ხარ, ალექსანდრე?
- ცამეტის!
- ცამეტი წლისამ ბევრი რამე უნდა იცოდე!
- ვიცი, მაგრამ არა ყველაფერი, როგორც თქვენ!
- ისევ არ ჩანხარ, ალექსანდრე! ხო ვთქვი ყველაფერი ღმერთებმაც არ იციან-მეთქი!



- მაშ მამაჩემი მატყუებს?
- არ გატყუებს, მამაშენს თავისი სიმართლე აქვს!
- რამდენი სიმართლეა ქვეყნად?
- ქვეყნად იმდენი სიმართლეა, რამდენიც ადამიანი. ყველა ადამიანს თავისი საზომის აქვს, მაგრამ ჭეშმარიტებაა ერთი. როგორ ფიქრობ, ალექსანდრე, რა არის ყველაზე დიდი რაც ყველაზე მცირეშია?
- საღი გონება ადამიანის სხეულში.
- იცოდი პასუხი თუ ახლა მოიფიქრე?
- ვიცოდი.
- საიდან იცოდი?
- მამაჩემს უყვარს ეს სიტყვები და ისიც ვიცი, რომ თქვენგან ის-წავლა!

— გილოცავ, ალექსანდრე, აი, უკვე ნამდვილად გზედავ!

ასე დაიწყო პირველი გაკვეთილი. თან საუბრობდა, თან სასახლის ბაღში სეირნობდა არისტოტელე ალექსანდრესთან ერთად და თავისი ბავშვობა ახსენებოდა, როცა მაკედონიის მეფის ამანტასის სამეფო კარზე უფლისწულ ფილიპესთან ერთად ერთობოდა ათასგვარ თამაშებით, რომლებსაც უფრო ხშირად თვითონ არისტოტელე იგონებდა. ჯიუტ ფილიპეს ყველა თამაშში სურდა გამარჯვება დარჩენოდა, ამისთვის ყველა დაშვებულ თუ დაუშვებელ ხერხს იყენებდა. ალექსანდრეს მზერაშიც სიჯიუტე ჩანდა, ოღონდ ეს არ იყო ვირული სიჯიუტე — ასე მინდა და ასეა. ალექსანდრეს გამოხედვა, მანერებიც კი ფილიპესი ჰქონდა, მაგრამ იყო განსხვავება — მიზანსწრაფულობა, რომელიც ალექსანდრეში უფრო აღმატებული იყო. ამას პირველ გაკვეთილზე მიზნად არისტოტელე — აშკარად მომავალი მეფეა, — ფიქრობდა ის, — თუმცა ამას სამეფოდ არც მაკედონია და არც საბერძნეთი არ ეყოფა.

მეორე გაკვეთილზე მიდიოდა სამეფო სასახლეში. დღეს მათემ-ატიკაში უნდა გამოეცადა ალექსანდრე. გზაზე იხსენებდა პლატონის აკადემიაში გატარებულ ოც წელიწადს — მოსწავლეობიდან მასწავლებლობამდე. აგონდებოდა წარწერა აკადემიის შესასვლელში „მათემ-ატიკის ცოდნა აუცილებელია“. თვითონ იოლად ჩააბარა აკადემიაში მისაღები გამოცდა — მათემატიკა ხომ მისი საყვარელი საგანი იყო. „მათემატიკა გონებას აწესრიგებს. რომ შეიგრძნო ბუნების სილამაზე,



უნდა იცოდე მათემატიკა, ხოლო რომ გაუგო ბუნებას, უნდა იცოდე ფიზიკა!“ — ამ სიტყვებით დაემშვიდობა წინა გაკვეთილზე ალექსანდრეს. მომავალი მეფისთვის, ვინც აპირებს ხალხის და ქვეყნის ბედი ჩაიბაროს მათემატიკის ცოდნა უმნიშვნელოვანესი იქნება. შემდეგ უკვე ფიზიკაზეც გადავლენ. სამეფო სასახლისკენ მოკლე გზით გადაწყვიტა წასვლა. აქ დღისითაც კი ყველა ერიდებოდა სიარულს. ბნელი, ვიწრო ქუჩა იყო. აქ მხოლოდ ქურდები და მეძავეები თუ დადიოდნენ. შენიშნა ვიღაც კაცი მოდიოდა მისკენ. არც შეუხედავს, უჩუმრად ცდილობდა გვერდი აეგლო.

— არისტოტელე?!

მოესმა უცებ. შეჩერდა. ხმა ეცნო.

— არისტოკლე, შენ ხარ?! — უპასუხა არისტოტელემ. ის და არისტოკლე ერთად სწავლობდნენ პლატონის აკადემიაში. არისტოკლე პლატონის ერთ-ერთი ბრმა მიმდევარი იყო. საათობით შეეძლო პლატონის თეზისები თუ აპორიები ემეორებინა და ყველას პირად მტრად მიიჩნევდა, ვინც ოდნავ ეჭვს შეიტანდა საყვარელი მასწავლებლის ნაზრევში. ლაპარაკი კი, იცოცხლე, უყვარდა არისტოკლეს. დიდიდან საღამომდე შეეძლო ელაპარაკა, მაგრამ თან ისე, რომ არც არაფერი ეთქვა.

— ანუ პლატონი მეგობარია და ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარი, ხომ სტარიგელო?

— როგორ ხარ, არისტოკლე! — კამათს თავი აარიდა და გაიღიმა არისტოტელემ.

— კარგად, კარგად... შენ კი ისევ ისე, როგორც აკადემიაში, კოხტად გამოწყობილი დადიხარ, ყველა თითზე ბეჭედი, მდიდრული მოსასხამი და ყველაზე ძვირი სანდლები!

— მეჩქარება ახლა, არისტოკლე! ისე, გამიხარდა შენი ნახვა!

— მე კი არ გამიხარდა! პატივს არ სცემდი ჩვენ დიდ მასწავლებელს! არადა ყველაზე უფრო შენ უყვარდი — გამორჩეულად! ძალიანაც კარგი, რომ მისი დაარსებული აკადემიის მმართველი სპეცსიპე გახდა და არა შენ!

— პლატონის ძმისწული კარგი ადამიანია, იმედია აკადემიის ისეთივე წარმატებული მმართველი იქნება, როგორც პლატონი. ჩემგან მილოცვა გადაეცი! დმერთებმა დაგიფაროს არისტოკლე!



თქვა არისტოტელემ და სანამ რაიმეს ეტყოდა თანაკადემიელი, გზა გააგრძელა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო და უცებ ციდან შუქი ჩამოეშვა. მერე ხმა გაისმა, რომელიც ასევე ზეციდან მოდიოდა:

- წამოდი, არისტოტელე!
- ვინ ხარ? — იკითხა არისტოტელემ.
- წავიდეთ, გზაში მოგიყვები!
- სად?

— არ გაინტერესებს საუკუნეების შემდეგ ფიზიკოსები, ანუ ის მეცნიერები, რომელთაც შენ საფუძველი შეუქმენი, რა დღეში ჩაადგები დედამიწას?

— მაინტერესებს, მაგრამ მეფის პირმშოსთან გაკვეთილი მაქვს დღეს, როგორ გაუუცდინო?

— ალექსანდრემ ცოტა ხნით დაისვენოს, ან ხმალსა და ჯირითში ივარჯიშოს — ეს ამჟამად უკეთ გამოსდის ვიდრე ფიზიკა, ან მეტაფიზიკა!

— ანუ ჩემი შრომები იცით?

— ვიცი და თუმცა შენი ფიზიკა ძალიან შეიცვლება, შენ მაინც შემორჩები კაცობრიობის გონებას როგორც ფიზიკის მამა!

— ანუ, როგორც საშინელი მამა?

— ეჰ, საშინელება მერე იკითხე შენ. საწყალი დედამიწა რა დღე-შია რომ იცოდეს! შენ ოცნებობდი უკეთეს ქალაქზე, უკეთეს ქვეყანაზე, რომ ადამიანები ბედნიერები ყოფილიყვნენ, ახლა ფიქრი მოგიწევს უკეთეს დედამიწაზე, რათა დედამიწაც და ადამიანებიც გადარჩნენ! შენ ასკლეპიოსის მოდგმისა ხარ! მამაშენი ნიკომაქოსი ზომ ექიმი იყო, ისე როგორც ბაბუაშენი ან დიდი ბაბუა? ახლა საშუალება გაქვს, მცირე დროით თუნდაც, წიანაპართა პროფესიას დაუბრუნდე, მკურნალი გახდე!

— სამკურნალო ვინ არის?

— დედამიწა! საშუალება გექვსეა უმკურნალო მას, ან რეცეპტი მაინც გამოწერო, რათა გადარჩეს!

— და როგორ წამოვიდე?

— უბრალოდ შუქს გამოიყვები.

„რა საოცარია და საკვირველი ეს ყველაფერი, თუმცა რა, ყოვე-



ლი შემეცნება, ხო გაკვირვებით იწყება!“ — გაიფიქრა არისტოტელემ და სინათლეში შეაბიჯა. შუქს რომ თვალი შეაჩვია, აღმოჩინა, რომ დიდი კვერცხის ფორმის მქონე არც თუ ვიწრო საკანში იყო, რომელშიც გვერდი-გვერდ, მცირეოდენი დაცილებით ორი სავარძელი იდგა. რატომღაც დიოგენე სინოპელი გაახსენდა, კასრში მჯდომი, ოღონდ ის, ვინც ამ კასრში დახვდა, დიოგენე ნამდვილად არ იყო და არც ეს პატარა სამყოფი არ იყო დიოგენეს კასრი, რომელშიც მხოლოდ ერთი მხრიდან შედიოდა შუქი. პირიქით, არისტოტელეს ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ეს მომრგვალებული საკანი საერთოდაც შუქით ნაშენი იყო, ოღონდ შუქი, რომელიც თვალს არ გჭრის და არ გაბრძავებს, პირიქით, შუქი, რომელიც ენერგიას განიჭებს და ძალას გმატებს. ერთ სავარძელში დაახლოებით არისტოტელეს ხნის მამაკაცი იჯდა, რომელსაც თეთრი თმა და წვერ-ულვაში ჰქონდა. საკნის კედლებზე მინის მომრგვალებული ფანჯრები იყო, ხოლო სავარძლების წინ ოვალის ფორმის მაგიდა იდგა, რომლის ზედაპირზეც სხვადასხვა მოძრავი სურათი ერთმანეთს ცვლიდა.

— აბა კარგად მოეწყვე, შორი გზა გვაქვს! მჯეროდა, რომ უარს არ მეტყვოდი! — თქვა კაცმა იგივე ხმით, რაც სულ ცოტა ხნის წინ ესმოდა.

— შეიძლება გავიგო ვის ვესაუბრები? — თქვა არისტოტელემ, როცა მეორე სავარძელში ჩაჯდა.

— ჩავთვალთ მეტაფიზიკიდან ვარ! — გაეცინა კაცს, — თუმცა ეს არ არის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია თუ სად მივდივართ და რას ვაპირებთ!

— სად მივდივართ?!

— აიეთის ქვეყანაში. გახსოვს არგონავტების ისტორია?

— აიეთი, ოქროს საწმისი, იასონი, მედეა. ასკლეპიოსი მედიცინის ღვთაებაა, ზოგი ხალხი კი მედეას მედიცინის ქალღმერთად თვლის!

— კი, ტაძრებსაც აგებდნენ მის სახელზე. ამ ქვეყნის ერთ მუნიციპალიტეტში მოგიწევს სტუმრობა, სადაც ახლა სხვადასხვა პოლისების მმართველები იკრიბებიან, მათთან ერთად იქნებიან სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან!

— მიზეზი?

— იმსჯელებენ, როგორ გადაარჩინონ ღედამიწა!



- დედამიწას რა მოუვიდა?
- სიცხე აქვს, ავადაა! რეცეპტი უნდა მოიფიქრო, ანუ მოგიწევს ამ შეკრებაზე სიტყვით გამოსვლა?
- აიეტის ქვეყანაში ბერძნული ეცოდინებათ?
- არა, შენ ილაპარაკებ აიეტის ქვეყნის ენაზე, ანუ ქართულად რომელიც უკვე იცი?
- როგორ თუ ვიცი?
- იცი, იცი! მოიცა, ახლავე დარწმუნდები! აიღე წიგნი, რომელიც შენს გვერდით თაროზე დევს, ეს არის „ვეფხისტყაოსანი“. მისი ავტორი შოთა რუსთაველია, იმ ქვეყნის შვილი, სადაც მივიღვართ. აბა გადაშალე და სადაც მოხვდები იმ გვერდზე რომელიმე სტროფი წაიკითხე: არისტოტელემ იქვე სხვა ნაშრომებიც შენიშნა: ერთს არისტოტელე — ფიზიკა ეწერა, მეორეს არისტოტელე — მეტაფიზიკა. მერე მითითებული წიგნი გადაშალა და წაიკითხა:
- „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, მიწასა და წყალსა, ჰაერთა თანა ძრომასა“... ანუ ოთხივე სტიქიაა ერთ სტრიქონში! — თქვა უცებ და მაშინ მიხვდა, რომ ქართულად კითხულობდა და ლაპარაკობდა.
- აი, ხედავ? — ქართულად უპასუხა კაცმაც და ასევე გააგრძელა საუბარი, — სანამ სიტყვით გამოხვალ მანამდე პატარა ექსკურსია ჩავატაროთ. ჯერ გაიგებ ფიზიკოსების გამო რა დღეშია დედამიწა! შეხედე ამ დაფას, წლების შემდეგ ადამიანები მას ეკრანს დაარქმევენ. ხედავ ცაში მფრინავი რკინის ჩიტი მიფრინავს, ახლა აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქალაქის თავზე ის საშინელ ტვირთს ჩამოაგდებს, სახელად „ბიჭუნას“. მართლა უწყინარი ბიჭუნა არ გეგონოს, ეს ატომური ბომბია, რომელიც მტვრად აქცევს მთელი ქალაქს. ამას რამდენიმე დღეში მეორე ისეთივე ბომბი და მეორე განადგურებული ქალაქი მოყვება. ეკრანზე მართლაც ჩანდა ქალაქის თავზე აღმართული უზარმაზარი კვამლისა და მტვრის გროვა.
- საშინელებაა. ნუთუ ფიზიკოსების ბრალია ეს?
- გეთანხმები, საშინელებაა არისტოტელე, მაგრამ ზოგი ამ საქციელს გაამართლებს კიდევ, ამ იარაღმა ომი დაამთავრა და უფრო ნაკლები ხალხი დაიღუპაო! შენ არ ეუბნებოდი გუშინ ალექსანდრეს,



ყველა ადამიანს თავისი სიმართლე აქვსო?! ჭეშმარიტება ნაკლებად აინტერესებთ ადამიანებს, ისევ თავისი საზომით ზომავენ! ქვეყნებიც ასეა, მათი მმართველი ტირანები ძირითადად ერთპიროვნულად განსაზღვრავენ პოლიტიკას!

— თუ საშუალება მექნება უკან დავბრუნდე ყველა ჩემი ნაშრომი უნდა დავწვა ფიზიკაზეც და მეტაფიზიკაზეც!

— ეს არაფერს არ უშველის, ამაო იქნება, არისტოტელე! ამით თუ ავენებ, თორემ უკეთესობისკენ ვერაფერს შეცვლი!

— ფიზიკოსებმა სასიკეთო რამეც გააკეთეს ანუ, ამის თქმა გნებავთ?

— რა თქმა უნდა და თან უამრავი რამ. ეს არის ახალი ტექნოლოგიები, რომლებმაც ადამიანის შრომა შეამსუბუქა და თან უფრო ნაყოფიერი გახადა. ადამიანები გადაადგილდებიან ცხენის გარეშე რკინის ყუთებით, რასაც ავტომობილი დაარქვეს, დაფრინავენ ასევე რკინის ყუთებით, რასაც თვითმფრინავები დაარქვეს! ადამიანი კოსმოსში გავიდა, რასაც შენ ეთერს ეძახი, თუმცა სამწუხაროდ ხშირად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა დედამიწის ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება. დაუნდობლად იჩეხება ტყეები, ნადგურდება მწვანე საფარი, რამაც უნდა უზრუნველყოს ჰაერში სიცოცხლისათვის საჭირო ერთ-ერთი კომპონენტის ჟანგბადის კონცენტრაცია. სწორედ ჰაერის დაბინძურება და სათბურის ეფექტი არის მიზეზი დედამიწის ტემპერატურის ზრდის, რაც თავის მხრივ იწვევს ღვარცოფს, გვალვას, გაუდაბნობას, ტყის ხანძრებს, წყალდიდობას...

ეკრანზე უკვე ხრიოკად ქცეული, დახეთქილი მიწის საფარი ჩანდა, ხანაც ხანძრები და წყალდიდობები ცვლიდა ერთმანეთს. არისტოტელე ეკრანზე ხედავდა როგორ ნადგურდებოდა თაობების მიერ წლობით დაგროვილი სიმდიდრე...

აიეტის ქვეყნის ერთ-ერთ პოლისში, ოზურგეთში იყო არისტოტელე. ყველაფერს აკვირდებოდა. მოქალაქეების უმრავლესობა აჩქარებული ნაბიჯით მიმოდირდა ქუჩაში, ზოგს მისი უცნაური ჩაცმულობ აკვირვებდა და ირონიულად იცინოდნენ. ორი ახალგაზრდას გამოელაპარაკა:

— მოქალაქეებო, ხომ ვერ მეტყვეით სიმპოზიუმი თემაზე „ევროპის



მდგრადი ენერგეტიკული კვირეული 2022“ სად ტარდება?

— რაი სად ტარდებაო? — ჩაილაპარაკა ერთმა.

— მსახიობია ეტყობა, ანუ გვალადავებენ! — უპასუხა მეორემ.

— გვაშაყირებ ყაზახო?

— რა ბრძანეთ?

— ვინ ხარ ძამა შენ? — დაინტერესდა ისევ პირველი.

— არისტოტელე ვარ სტაგირიდან! აქ მოვედი რათა დედამიწას ვუემკურნალო!

— ვინ, ვარო?! — პირველი ბიჭი მეორეს მიუბრუნდა.

— დაყრუვდი ძამა? არისტოტელე ვარ და დედამიწას უნდა ვუემკურნალო! — უპასუხა მეორემ.

— მსახიობია კი არა, რა მოწია ნეტა ამისთანა?! ამას კაი ბალახი ექნება რაცხა, ხო იცი?!!

— ჯობე არ აქვს, ბალახი სიდან ექნება? არ გავს მოწეულს!

— აბა მთვრალს, მით უმეტეს არ გავს! ჭადარა კი შეპარვია, მარა ყინჩად დგას! თან ხომ იცი, რა ყნოსვა მაქვს, დალეული რომ იყოს, მივხვდებოდი!

— ისე, რავარი ბეჭდები უკეთია! ხო არ ავწიოთ, ჩემი კაი...

— შარია თუ ძმა ხარ, ყველგან კამერები აყენია!

— ბიჯო, მგონი თეატრშია რაცხა ღონისძიება, ვერტალიოტითაც ჩამოფრინდა დღეს ხალხი, იმაზე ხო არ ჩივა?

— ალბათ! მეც ვნახე აფიშა!

— კაი კაცი, გინდა არისტოტელე იყავი და გინდა პლატონი, არაა ბაზარი. ახლა გეტყვი რაფერ მიხვიდე. მოკლედ, გაყვები ახლა ამ გზას, შეგხვდება თონე და ლავკაა პატარა, ხილს ყიდიან, მოუხოვ მერე მარცხნივ გამოჩნდება თეატრის შენობა, ხოლა იქანეა რაცხა მაი სიმპოზიუმი, დასტურ გიჩივი.

„აქაც პლატონი!“ — გაიფიქრა არისტოტელემ, თავის დაკვრით გადაუხადა მადლობა ბიჭებს და ნაჩვენებ გზას დაადგა. თუმცა „ლაგ-კა“ ვერ მიხვდა რა იყო, თონეს ადვილად მიაგნო — ნავის ფორმის ქართულ პურებს გემრიელი სურნელი ასდიოდა. მერე თაროებზე ჩამწკვრივებული ხილის ყუთები დაინახა, მარცხნივ კი, გზის ბოლოს, დიდი შენობა ჩანდა, ალბათ ეს იყო თეატრი...



კართან სუფთად წვერგაპარსული ახალგაზრდა დახვდა. სიმპოზიუმი აქ ტარდებაო, — ჰკითხა.

— თქვენი მოსაწვევი?

— მე არისტოტელე ვარ!

— მე პლატონი ვარ, ოღონდ მოსაწვევი მჭირდება!

„ისევ პლატონი“ — გუნებაში გაიცინა არისტოტელემ.

— რა ხდება გიორგი?

— ბატონო გოჩა, ვიდაც კაცია, მოსაწვევი მოვთხოვე და არისტოტელე ვარო!

— არისტოტელე თუა მოსაწვევი რად უნდა? მობრძანდით, ჩემო ბატონო! პატივცემულო, თუ შეიძლება თქვენი ქალაქი მითხრათ, რომ წამყვანს ჩავაწერინო!

— არისტოტელე სტაგირიდან! შეკრებაზე გამოსვლას ვაპირებ!

— ასევე ჩაგწერთ, ანუ ბოლო სიტყვა თქვენია!

... დარბაზში იჯდა არისტოტელე და უსმენდა გამომსვლელებს, რომლებიც იცავდნენ დიალექტიკის ყველა ნორმას, თან თითქოს შთაბეჭდილება დაგრჩებოდა დედამიწაზე ზრუნვაში აღამებს-ათენებს ეს ხალხიო. ერთი ფიქრი აწვალებდა, თუ ასე ყველამ ყველაფერი კარგად იციან, ყველა წუხს დედამიწის ბედზე, მაშინ რატომ არის დედამიწა ცუდადო. რამოდენიმე ხნის შემდეგ წამყვანმა მისი სახელიც წარმოთქვა. არისტოტელე წამოდგა და ნელი, დინჯი ნაბიჯებით მივიდა ტრიბუნასთან.

— მოგესალმებით აიეტის ქვეყნის მოქალაქეო, პოლისთა მმართველნო და ამ ქვეყნის სტუმარნო. მე, არისტოტელე სტაგირელი, შორი ქალაქიდან და უფრო შორი დროიდან მოსული, გულდასმით გისმენდით და მინდა გითხრათ, აღფრთოვანებას ვერ ვმაღავდი — როგორ გიყვართ დედამიწა! ყველა ენა ნამდვილად არ ვიცი, თუმცა არც მეგულება სხვა რომელიმე ენა, რომელზედაც ჩვენი პლანეტის სახელში სიტყვა დედა ურევია და მისასალმებელია, რომ როგორც ყველა ღირსებით საკვებ დროული მოქალაქე ვალდებულია მხცოვან დედას უგლიდეს, ისევე თქვენ აქ გამომსვლელნი თავს ვალდებულად თვლით მოუაროთ დედამიწას. თან ყველაფერი კარგად იცით: იცით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ენერგიის განახლებადი წყაროების: წყლის, მზის, ქარის,



ბიომასის მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენება, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა. პარალელურად კი ქვანახშირის, ნავთობის, გაზის მოხმარებების შემცირება, რათა შემცირდეს ატმოსფეროში სათბური აირების კონცენტრაცია. ნება მომეცით კითხვა დავსვა: მაშინ რატომ არ აკეთებთ ამას, ან აკეთებთ და მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით. მე ვნახე გორთან ქარის ტურბინები, ვნახე თბილისში სახლები შხის პანელებით, ვნახე ელექტრომობილები, რომლებიც არ გამოიყენებენ ბენზინს. მაგრამ ეს ისე მცირე რაოდენობით, რომ ნამდვილად სასაცილოა ის რასაც ამბობთ იმასთან შედარებით, რასაც აკეთებთ. კიდევ, რამაც გამაკვირვა და გული მომიკლა, ნაკვით სავსე გზის პირები — ამას ალბათ მტრები აკეთებენ, რომელნიც ჩუმად იპარებიან ამ ქვეყანაში — უფრთხილდით მტრებს! კიდევ, რაც ღრმად ჩამებეჭდა გონებაში იყო ასფალტამონახეთქი მწვანე ბალახი! რას აკეთებთ, თქვენ, ქალაქის მმართველნი? გასაგებია, იქ, სადაც რკინის რაშები დადიან ან ველობილიკია, უნდა იყოს ასფალტი ან ქვაფენილი, მაგრამ იქ, სადაც შეიძლება იყოს მიწა, სადაც შეიძლება გაიხაროს მწვანე ბალახმა, თქვენ ასფალტით ან ქვებით რატომ ფარავთ. დედამიწამ როგორ ისუნთქოს? ქვებით და ხრიოკით სავსეა სხვა უსიცოცხლო პლანეტები, ამით ვედარავის გააკვირვებთ. აი, მწვანე ბალახით კი ნამდვილად გააოცებთ ყველას. მერე რატომ გიკვირთ წყალდიდობებები, ღვარცოფები, ცუნამები. სხვა საკითხია ატომური იარაღი, რომელსაც ზოგი ქვეყანა ფლობს. უსულო ჭურჭლად ქცეული კაცობრიობა? იმის მაგივრად, რომ დასხდეთ და თუ რამ სადავოა, ერთად მოილაპარაკოთ, მზადა ხართ ატომური იარაღით ერთმანეთიც და მთელი დედამიწაც ნაცარ-ტუტად აქციოთ? მე, როგორც ექიმთა შთამომავალს, მთხოვეს რეცეპტი დამეწერა, როგორ უშუშელოთ დედამიწას! მარტო დედამიწას არა, ადამიანებო თქვენ, გჭირდებათ შველა, იმიტომ რომ ავად ხართ! რეცეპტი და წამალი ერთია, გონს მოეგეთ, გიყვარდეთ არა სიტყვით, არამედ საქმით და ერთად მოუარეთ დედამიწას! ვამთავრებ ჩემს სიტყვას, გემშვიდობებით! დაე ყველა ღმერთმა დაგიფაროთ თქვენ, ამ ღარბაზში მყოფნი, ეს ქვეყანა და მთელი დედამიწა!

- რა პერფორმანსია!
- ყოჩად გურულებს!



— ალბათ ადგილობრივი თეატრის მსახიობია!

ეს ხმები და ტაში აცილებდა არისტოტელეს. გამოვიდა თუ არა შენობიდან, იქვე შუქი შენიშნა. ახლა უკვე სიტყვის უთქმელად შეაბიჯა მასში. კაცი შუქის საკნიდან ეკრანზე რაღაცას უყურებდა. უცებ მოეჩვენა, რომ მართო საკანი არ იყო შუქის, კაციც შუქისა იყო. მერე ეკრანს დაუკვირდა. ჯერ ხმა ეცნო, მერე თავისი თავი — სიტყვას ასრულებდა. ამ ტაშს რა ჯანდაბად მიკრავენ, ალბათ საშინელი გამოსვლა მქონდაო, — გაიფიქრა.

— არა, რატომ? მომეწონა გამოსვლა! რეცეპტიც! ვნახოთ არისტოტელე! მკურნალობის შედეგებს დაველოდოთ, ახლა კი უკან ვბრუნდებით! — თქვა კაცმა და გაიღიმა, თუმცა თვალზე ცრემლი ადგა.

მყისიერად ზუსტად იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც რამდენიმე ხნის წინ იყო. შუქი არსად სჩანდა. ბნელ ქუჩას გახედა. არისტოკლეს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოესწრო მხოლოდ, ანუ დრო თითქმის საერთოდ არ იყო გასული. „გამოდის, ხანდახან ღმერთებიც ტირიან!“ — გაიფიქრა არისტოტელემ და ახლა ძალიან მოუნდა არისტოკლეს ხმა გაეგო.

— არისტოკლე! — დაიძახა უცებ.

ის მობრუნდა. სახეზე გაკვირვება დაეტყო.

— გისმენ, არისტოტელე!


— არაფერი.. არაფერი... — თქვა არისტოტელემ, შებრუნდა და მეფის სასახლისკენ გზა განაგრძო..

ნათია როსტიაშვილი



აჩრე ვიბერ ნაჩრეუნას უნერო ხერძე, ვერცხრებო,
ნათიერი ვამძინებრა. თითქან, თუ ვთქვას, იმ ამბავს ვა-
მუცვლებო „ნინ“ იმ ვამძინება, ნინ ან შუიკვებრა. ან
თუ ან ვიწყებო, იმ ხეო მთხრებო ვინძურ, ინჯ-
თხურ, აფხაზურ, რთუცვურ ენებუ ითინძნა, ნაჩრეუნა სრეცვ-
ურ იწებრა.

ნაყ რი ვარს, ნათიენათიარ, ანრი კვირება მეთ რანვი-
თინძებრა. მუნი-მუნი ის თინძეს თქმარ, იმ სანო ნიუნის
(„ჩათის ანვირხი“, „სუნთქვის შუიკვებრა“, „სხვა სკალ“) ა-
ვცხარი ვარ. ისე კი, ნანაჩრეუნარ ეთო ფინაყ სკამინისო :
ქარო, იმერსაყ რთიქრატურა ძე თიერ უყვარს.



ღმერთის კაცი

1

— თუთიყუში ბოლავს, ქალო!

ჯერ ხეირიანად გათენებული არც იყო, გულგახეთქილმა ბათუმ ეს ფრაზა რომ წამოიძახა და ბოლო დროს კომმარებშემოჩვეულ, ახლა კი, ძლივს, სასიამოვნო სიზმრის ცქერაში მინახულ ცოლს მხარი გაჰკრა. „თუთიყუში ბოლავს, ქალო!“ — ეს უცნაური ფრაზა გახდა ბათუს საშვი ახალ ცხოვრებაში, ათვლის წერტილი. ოღონდ ჯერ თვითონაც არ იცის, რომ ამ წამიდან სულ სხვანაირი ცხოვრების წამზომი ჩაურთო ღმერთმა, სულ სხვა თვალიდან გამოახედა.

ორი დღეა, ცოლთან ერთად თბილისში, შვილთანაა ჩამოსული. ორი დღეა, ძილის წინ, სანამ ცოლი კოჭებამდე ჩამოგრძელებულ შავ კაბას იხდის და ჩამომკეპნარ სხეულზე ახლა კოჭებამდე თეთრ საღამურს გადაიცვამს, გული ეწურება ბათუს. განა ცოლის ჩამობერებაზე? იმაზე, რომ აი, ახლა თმასაც გაიშლის და დაიწყებს თავის ახალი „ძილისწინა რიტუალური ტექსტის“ წარმოთქმას. წუხელაც ეგრე იყო, გაიშალა და დაიწყო:

— კაცო, რამდენჯერ გითხრა, შენი სულელური ლაპარაკით ყურებს ნუ უჭედავ ბიჭს და რძალს-მეთქი?! ან თითონ ვერა ხვდები, რო სულელურად ლაპარაკობ?!

ორი დღეა, ბათუსაც ახალი ძილისწინა რიტუალი აქვს — თუთიყუშს აკვირდება. მისჩერებია, თვალს არ აცილებს. განა მოსწონს, ან უყვარს? უბრალოდ, ყურადღება გადააქვს, რომ ცოლის სიტყვებს მნიშვნელობა არ მიანიჭოს, არც ეწყინოს, არც გაბრაზდეს.

ისე კი, ბათუს მართლა სჩვევია ერთი შეხედვით, აბსურდული რა-



მეების ლაპარაკი. ოღონდ, განა უაზროდ ლაპარაკობს? ლაპარაკამდე გამოთვლა უყვარს, ფიქრი, დაკვირვება. აი, მაგალითად, ხუთი წლის წინ შვილიშვილი რომ ეყოლათ, სამშობიაროს ეზოში ცოლს გადაულაპარაკა:

— ჩვენი რძალი მეორე ბავშვის გამჩენი არაა, თუ გინდა დავნაძლევდეთ!

— რას დაითარსები ხოლმე, კაცო, ცოტა ენა დაიტკბე! — გაუბრაზდა ცოლი, რომელსაც, სხვათა შორის, ბათუს არცთუ დაშაქრული ენის გამო შერჩა სახელად „ქალო“. დაოჯახების დღიდან ქალოთი მიმართავდა და დღეს უკვე ქალოს ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვს.

— ხო იცი, მე ზეპირად არაფერზე ვლაპარაკობ! — ამაყად უპასუხა სამშობიაროს ეზოს ბაღში ჩამომჯდარმა ახალგამომცხვარმა პაპამ, — მაგათ ყველაფერი ერთი უყვართ, მაგათი ბედისწერა ეგ არი. ესეც დედისერთაა, ისიც. სახლიც ერთოთახიანი იყიდეს, ჩვენი ბიჭი ერთ ჯერზე ერთ ბოთლზე მეტ ლუდს არა სვამს. ჩვენი რძალი კიდევ ქლიავი რო ქლიავია, იმასაც ერთ კილოს ყიდულობს, მეტს არა. რაღა შვილს გააჩენენ ორს? დაკვირვებული ვარ ყველაფერს, ჰაერზე კი არ ვლაპარაკობ!

— მიწა დაგაყარე, — წყნარად, ღიმილით უთხრა ქალომ.

წყნარად და ღიმილით იმიტომ, რომ რძლისიანებს არ გაეგოთ, არ ეთქვათ, ეს რა ხალხია, პირველი შვილიშვილი შეეძინათ და იმის მაგივრად, უხაროდეთ, ერთმანეთის წყევლაში არიანო.

არადა, განა ბათუს შვილიშვილის დაბადება არ უხაროდა? უბრალოდ, სხვანაირი კაცი იყო, ფიქრის სხვებისგან გაუკვალავ გზებზე უყვარდა სიარული. ეს ფიქრი კიდევ ისეთი რამე იყო, მხოლოდ სიხარულს, ან მხოლოდ მწუხარებას არ აცლიდა, ხან რომელ გზაზე წაიყვანდა ამ თავის სიხარულიან-მწუხარებიანად, ხან — რომელზე. სამწუხაროდ, ამ თავის უცნაური ფიქრების გამზიარებელსაც სთხოვდა ბათუს გული. არჩევანი რომ ჰქონოდა, გულის გადასაშლელად განა ქალოს აირჩევდა? ვინ ოხერი?!

აგერ, ხუთი წლის გახდა პაპას მოსახელე ბათუნა და მეორე შვილი მართლაც არ გაუჩენია დედამისს. სამაგიეროდ, თუთიყუში იყიდეს, რა თქმა უნდა — ერთი თუთიყუში. ბათუს თითქოსდა სულელურ ლოგიკაზე აწყობილი გამოთვლები, თითქმის ყოველთვის ამართლებდა, მაგრამ



ქალოს ამის გაგონებაც არ უნდოდა.

შვილის ოჯახში სტუმრად ჩამოსულ ცოლ-ქმარს ტახტზე, ზუსტად ერთი ტახტის ჩადგმა სივანის ლოჯიაში სძინავთ. კედლის მხარეს (სახითაც კედლისკენ შეტრიალებულს) — ცოლს. ბათუსაც, სამაგიეროს გადასახდელად, იმის ზურგისთვის ზურგი აქვს მიშვერილი.

ლოჯია-სამზარეულოს გამყოფი კარი რაკი ჩამოხსნილია. ახალგაღვიძებული ბათუ პირველად სამზარეულოს მაგიდაზე შემოდგმულ გალიას და შიგ გამოკეტილ თუთიყუშს ხედავს.

— თუთიყუში ბოლავს, ქალო!

ქალო ბუზღუნით გადმობრუნდა ბათუსკენ, გალიას გახედა. ჯერ ნამძინარევი, მოჭუტული თვალებით, მერე — დაჭყეტილით, ბოლოს წინ წამოიწია და დარჩა ორი-სამი წამი ეგრე, თუთიყუშს მიშტერებული.

— შენ აგიბოლდა ეგ თავი! — თქვა ბოლოს და ისევ კედლისკენ გადაბრუნდა.

გადაბრუნება ჰო, მაგრამ ძილის შებრუნება და გაწყვეტილი სიზმრის გადაბმა აღარ გამოუვიდა. ბათუ ფეხშიშველი გავარდა სამზარეულოში, გალიას სულის შებერვა დაუწყო და თან ყვირის: „ბოლავს, ბოლავს!“

შვილი და რძალი შემინებულები შემოცვივდნენ სამზარეულოში. ბიჭი შორტით, რძალი — თხელი, ჰაერისფერი პენუარით.

„აბა უყურე, ხალათი თუ შემოიცვას მამამთილთან!“ — გულში გაბრაზდა ქალო და რძლისთვის ოჯახში ქცევის კლასის საჩვენებლად, ცერემონიულად, საწოლშივე გადაიცვა თავის ჩამოფართხუნებულ შავი კაბა, მაგრამ რძალს მისკენ არც გაუხედავს.

— რა ბოლავს, მამა, რეები გეჩვენება, მეტისმეტია უკვე მართლად-ამართლა! — ბიჭმა სივრცის იმ ნაწილს, სადაც წესით სამზარეულოსა და ლოჯიის გამყოფი კარი უნდა ყოფილიყო, ფეხი მოუქნია. რა თქმა უნდა, არ სტკენია. იქნებ ადრე რომ ეტკინა, მაგიტომაც ჩამოხსნა. ამას, სხვა დროს აუცილებლად გაიფიქრებდა ბათუ, მაგრამ ახლა არ სცალბია, თუთიყუშის გადარჩენას ცდილობს. თან უკვირს:

— რანაირად ვერა ხედავთ, კაცო, ამოდენა ბოლს?!

დღემ ისე ჩაიარა, ბათუსთვის ხმა აღარავის გაუცია. მარტო პატარა ბათუნა დაელაპარაკა ერთადერთხელ (მშობლების გენზე წავიდა ეგეც). დაელაპარაკა რაა, ეს ჰკითხა:



— ცეცხლი ვინ წაუკიდა ჩემჩიტს?!

ბათუს გული მიეცა, ესე იგი, არ მომჩვენებიაო, თორემ უკვე დარდობდა, რა დროს ჩემი გააგიჟება იყო ახლა, როცა ჯერ საგარეჯოში საქათმე მაქვს კრამიტით გადასახურიო.

შემდეგი დილა რომ გათენდა, თუთიყუში მკვდარი ეგდო თავის გალიაში. ბათუს ცოლი აღარ გაუღვიძებია, ხმა არ ამოუღია. ადგა, ჩაიცვა, გაზხე ჩაიდანა შემოდგა და რძალიც შემოვიდა, მკვდარი თუთიყუშის დანახვაზე ახლა ამან მორთო ყვირილი. ისტერიკაში ჩავარდნილი ცოლი ბიჭმა საძინებელში შეიყვანა, რომ მამამისს იმის ნათქვამი „მაგ დამპალი მამაშენის ბრალი“ არ გაეგო. მაინც გაიგო ბათუმ. ქალომაც.

უსიტყვოდ ჩაალაგეს ტანსაცმელი დიდ, ცარიელ ჩანთაში, რომელიც სოფლიდან პროდუქტებით გაბერილი ჩამოიტანეს. ეგრე უთქმელად გამოვიდნენ სახლიდანაც. სართული, რა თქმა უნდა, პირველი იყო, დიდი დრო არ დასჭირვებიათ ქუჩაში გამოსასვლელად.

წამოვიდნენ უხმოდ, დადგნენ გაჩერებაზე და ხედავს ბათუ, ცაში, ტრასის გასწვრივ, სქელშავი ნისლია გაწოლილი. ისე ნათლად ხედავს, როგორც იქვე მდგარი ქალოს სევდით ჩამომღვალ სახეს.

— შავი ნისლია ყველგან, ქალო...

ისეთი მოტეხილი, უხერხემლო ხმით თქვა, ქალოს ენა არ მოუბრუნდა დასაწყევლად. მიხვდა, რომ კი არ იგონებს, მართლა ხედავს ამეებს ამის უცნაური ქმარი.

მძიმე იყო ახალი ნიჭის ჯვარი. გამონაბოლქვის ყველასთვის უხილავი შხამის ტალღები მხოლოდ ბათუსთვის გამხდარიყო ხილული. სამყაროს არასადი მხარე, რომელიც, როგორც წესი, გამჭვირვალეობით ინიღბება, ბათუს დასანახად მკვეთრდებოდა, ფორმას იძენდა. ძნელი იყო ზღვა ინფორმაციის ნაკადისთვის ხილვის კარის ასე ერთბაშად გამოღება.

მოცინარი ადამიანის შიგნით ჩაშლილ რომელიმე ორგანოზე ადენილ დამპლისფერსაც მარტო ბათუ ხედავდა. თავიდან ვერავის აჯერებდა, რომ განა ამის მწარე ენის გამო მოკვდა სოფლის კოლორიტი იოსები (ბევრი დღე არ უწერიაო, თქვა), ავად იყო, ავად და ბათუ უბრალოდ ამ ავად ყოფნის უხილავად ადენილ ოხშივარს ხედავდა. იოსების ამბავი საგარეჯოში დაბრუნების მერე იყო. ახლა ჯერ გაჩერებაზე დგანან, სადგურამდე წამსვლელ ავტობუსს ელოდებიან, დიდი დიდმის სა-



ფირმო ქარის ქროლვას აყურადებენ.

უსმენს ბათუ ქარს, უყურებს ბათუ ქარს და ფითრდება. თითქოს ვიღაც ჯან-ლონით სავსე მებრძოლი წამოადგა თავზე. ქარის ძალას ისე ხელშესახებად გრძნობს, გეგონება ქვებით მძიმე კუნთებს ხელით უსინჯავდეს. ქალომ ქმრის გაფითრებას რომ გახედა, შიშისგან ყელი ისე გაუშრა, თითქოს ეს მშრალი ქარი პირში შეუძვრა და წამში ამოაშრო იქაურობა.

აქ, ამ გაჩერებაზე დგომისას მიხვდა ბათუ, რომ აღარაფერი აღარაა ძველებურად. სუნთქვითაც კი, ძველებურად კი არ სუნთქავს, თითქოს კერძისთვის მარილი გაესინჯოს, ისე უსინჯავს გემოს ჰაერს და აჰა, ამჟავებულა, მწკლარტე, შხამგარეული.

— ბაბუუ! — უცხო ბავშვი ეძახის ბათუს. დედას აჰყავს ავტობუსში, ხელჩაკიდებული.

ბავშვს წითლად მობრაწული ლოყები აქვს, თითქოს ჯანმრთელია, მაგრამ ბათუ ხედავს, როგორ შესდის პაწუა ნესტოებში შავი კვამლის ორი ვიწრო ზოლი, როგორ უვსებს პაწია ფილტვებს გამონაბოლქვით მოწამლული ჰაერი და ზედ ეკრობა, ლაქებს უტოვებს ამოსუნთქვის პერეც. სავსეა ავტობუსი შავად დალაქული ფილტვ-ბრონქებიანი ხალხით.

— რა გატირებს, კაცო, ნუ მაშინებ! — ქალო ეუბნება და თვითონაც ტირილს იწყებს. განა ბათუსავით უნმოს? განა თავის პირივით გამშრალს? — ხმამაღალს, ნაღღს, ცრემლიანს.

2

საგარეჯოში ხმა გავარდა, ბათუ ღმერთის კაცი გამხდარაო. ეზოში ჩამოკრეფილი პამიდვრით სავსე ათი ვედრო რომ დაულაგო და მართო ერთი ნიტრატებიანი იდოს რომელიმეს ძირში, ზემოდან თვალის გადავლებითანავე გეტყვის რომელშია ის ერთიო.

ბათუს ღმერთის კაცობაზე სოფელს ჯერ ეცინებოდა, მერე გაოცდნენ, ბოლოს ნაცნობ-უცნობი ისეთი მოწიწებით ელაპარაკებოდა, ქალომ კედლისკენ გადატრიალებას, ბათუსთან ზურგშექცევით ძილის ჩვევას თავი ანება და ყოველდამ ქმრის ხმელ მკერდზე თავჩამოდებული იძინებდა. ერთი ეგაა, ბათუსთვის უკვე სულერთი იყო. სულერთი იყო ტელეფონზე რძლის ბოდიშების მოსმენაც. ყველაფერი წვრილმა-



ნი გახდა. სხვაგან იყო ბათუ. აღარც ძილი აინტერესებდა, აღარც თავის უცნაური აზრების ვინმესთვის გაზიარება, აღარც ჭამა. მხოლოდ ჰაერს უსინჯავდა გემოს, ხეებს ელაპარაკებოდა და საითაც არ უნდა გაეხედა, სიზმრისნაირ ცხადს ხედავდა.

— გვალვა იქნება! სარწყავი წყალი სანთლით საძებარი გახდება. — იტყოდა ბათუ და შემოიკრავდა თავში ხელს სოფელი. იცოდნენ, ბათუს ნათქვამ სიტყვას წყალი არ გაუვა.

ბოლო პერიოდში თითქმის აღარ ლაპარაკობდა ღმერთის კაცი. ბუნების ამხელა საიდუმლოებების დამნახავს, ხეების შრიალის მინორ-მაჟორის გამშიფრავს, ჭექა-ქუხილიდან ოზონის დაბადების პროცესის მნახველს რაღა უნდა ჰქონოდა სათქმელი? „ძლილი ვყოფილვარ, ძლილი,“ ამას თუ ჩაილაპარაკებდა თავისთვის ისევე ხშირად და გულიანად, როგორც ადრე „ღმერთო შენ მიშველეს“ იტყოდა.

ხან ისეც ხდებოდა, გამოვიდოდა სასაფლაოს გზასთან და ქადაგად დავარდებოდა. ბათუ ლაპარაკობსო და მთელი სოფელი წაშში გროვდებოდა მის გარშემო. აი, ახლაც გამოვიდა, ას რაღაცა წლის ხეს ჩაეხუტა, გამოელაპარაკა და იქვე ჩამოჯდა, ქვაზე. ქალოც უკან მოჰყვა, მოგროვილ ხალხს გაენახა, ბათუსთან მივიდა, გვერდით რომ ჩამოსჯდომოდა ამაყად, მაგრამ ბათუმ ვერც შეამჩნია, არც გვერდზე ჩაიჩოჩა, არაფერი, დატოვა ქალო ეგრე, ფეხზე მდგარი და გაკაპასებული.

— ჰაერი ავადაა, ხალხო, — თქვა და ყველა გაისუსა. — აიღებ და შენს მაგარ ძმაკაცს დანას დაარტყამ? არა, ხო? მაშ ხეებს რათა სჭრით?! რო ხედავდეთ როგო ძაბრივით ჩასდით შავი ჰაერი ჩასუნთქვისას და როგო გაქათქაბულს ამოისუნთქავენ, ერთი ფოთოლი რაა, იმასაც არ მოწყვეტდით. აჰა, შეხედეთ, როგორ ადის ზეით შხამები! ჰაერს უსუნეთ! საწვავის სუნს ვერა გრძნობთ, კაცო?.. ნავთის, ბენზინის, გაზის გემოს ვერა გრძნობთ?!

ხან ასე დაავიწყდებოდა ხოლმე, რომ სამყაროს დიდი საიდუმლოებების დანახვაში, შეგრძნებაში მარტოა. გახედავდა გაცეებისგან პირდაფრინილ ხალხს, ერთს ამოიოხრავდა, მარტოობის ტკივილს გულში ჩხვლეტას აცდიდა და ისევე ალაპარაკებოდა:

— მე ნასწავლი კაცი არა ვარ, გლეხურად ვიტყვი, რო ეს საწვავი, გამონაბოლქვი და უბედურება ზეით ადის, ყველაფერს წამლავს. მაგითაა გვალვაც, მდინარის დაშრობაც, ბუნების არევა. ბუნების არე-



ვით კიდე, მოსავალის ამბავიც აირევა, ადამიანისაც.

უცებ მოვარდნილმა დამუხრუჭების ხმამ ცისკენ მზერაგაპარებულ ხალხი ერთდროულად მიახედა გზისკენ. მანქანიდან, მაღალ თანამდებობაზე ახალდანიშნული დაბალი კაცი გადმოვიდა, ახალი ფესაცმლის ჭრაჭუნით ბათუსთან წავიდა, რომ მისალმებოდა.

— მანქანა გიყიდა, ვიზიარებ. — უთხრა ბათუმ გამარჯობის ნაცვლად. მარჯვენა ხელი რომ ჩამოართვა, მარცხენა მხარზე მოუთათუნა, — დღეიდან შენც გააძლიერებ ჰაერის მოწამვლის საქმეს.

კაცს ღიმილი სახეზე შეაშრა. შეურაცხყოფილმა მხრის აქნევით მოიცილა ბათუს ხელი.

— რა, გინდა, ვერ გავიგე! ოცდამეერთე საუკუნეში ცხენით ვიაროთ?! გაზი არ ავანთოთ? ცეცხლი აღარ დავანთოთ? აბა, მაშინ გავიყინოთ და მოკვდეთ!

— ბუნება თვითონ გვაძლევს, შვილო ყველაფერს. — ხმა დაუთბა ბათუს, — თანაც — სულ უფასოდ. ხეები რო არ დავჭრათ, გაზით რო არ გავბრუვდეთ, აბა, ნახე, ვენახის გასხვლის მერე რამოდენა წალამია! მაგის სითბო არის წამალი. ჩვენ კუთხეს წალამი აქვს, სხვისას — სიმინდის ფუჩქი, ვიღაცას — თხილის ნაჭუჭი და ჩენჩო. აგერ ჩვენ ჩვენი თვალთხევი გვაქვს, სხვას — უფრო დიდი მდინარე. ერთი რო წყლის წისქვილს ჩადგამს, მეორე — ქარისას... — გაჩუმდა, — მე რო ქარის ძალაზე თვალი ამეხილა, იცი როგო შემეშინდა? იცი რამოდენა ძალა აქვს?

ქალომ უსმინა ამათ ლაპარაკს და ერთი პირობა კი გაიფიქრა, ეს ცხვირმოუხოცავი ღლაპი როგორ ბედავს ჩემს ყველასთვის პატივსაცემ ქმართან ხმას აუწიოს, ახლა თუ ავუფრინე ამას ოფოფები, მერე ნახავს ყვირილი და წყევლა როგორ უნდაო, მაგრამ გაახსენდა, რომ ბათუზე ნაწყენია და კრინტი აღარ დაუძრავს მის დასაცავად.

— სხვათა შორის, გავიგე, შენს ბიჭსაც უყიდა მანქანა, ჩემთვის თუ არ შეიძლება, იმისთვის რა, ხსნილია? — კაცმა ჯერ ბათუს შეხედა ნიშნისმოგებით, მერე ხალხს მოავლო თვალი, ყველას სათითაოდ გაუღიმა. ყველას, ქალოს გარდა. „ახლა თუ ავუფრინე ამას ოფოფები!“ — ისევ გაიფიქრა ქალომ, მაგრამ ხმა არც ამჯერად ამოუღია.

— ჩემმა ბიჭმა რო მანქანა იყიდა, ის ღენზე მუშაობს, — მშვიდად თქვა ბათუმ, — საყველას საქმეში თავის წილ აგურს იმით დებს, რო მანქანის უკნიდან მხამებს არ აგზავნის ხეით! ეს ღენიც კიდე, შვილო...



— აქ ხმა აუკანკალდა და ცრემლი მოადგა ბათუს, აიხედა, მზეს თვალი მოუხუჭა, — აბა უყურე რამოდენა მზეა!

მზე მართლაც დიდი იყო და ძლიერი. მზემაც და ბათუმაც იცოდნენ, გრძნობდნენ, ეს თანამდებობის კაცი, გულის სიღრმეში არ იყო ცუდი ადამიანი. ეს კაცი სულ მალე მზის ჰანელებს იყიდის და მზის საჩუქრით, უფასო ელექტროენერგიით სასიამოვნოდ გააოცებს ამ ხალხს, ახლა რომ გასუსულები მისჩერებიან ორივეს. ეს კაცი და ეს ხალხი იმის მქაედსაც ვერ ხედავენ რასაც ბათუ და არაფერში გაემტყუვნებათ, ვერც ვერავის ამტყუვნებს ბოლომდე ბათუ. რაღაცნაირად, სიბრალულს გრძნობს ადამიანის მოდგმის მიმართ. ხან თავის თავიც ებრალება ყველაფერ დაფარულის დანახვისთვის, ყველა უხილავი შავი ლაქის და ხინჯის დანახვისთვის. თან ისიც იცის, ღმერთმა რაკი გამოარჩია, ვალდებულია რაღაც შეცვალოს ადამიანებისთვის, სოფლისთვის, ხეებისთვის. ბათუ იყო ბუნების ელჩი დედამიწის ერთ პაწაწკინტელა წერტილში. ასეთი წერტილებით იწინწკლებოდა ერთი მუჭა დედამიწა. ბათუსნაირი ადამიანებით ნათდებოდა, ერთი ეგ იყო, ყოველი ადამიანი მარტო იყო თავის წილ ღმერთკაცობაში. ბათუსავით.

3

ბათუსთვის რჩევების საკითხავად საიდან აღარ მოდიოდნენ. უჯერებდნენ კიდეც. თითქოს ჰაერიც დაიწმინდა, ხალხიც გააკაჟდა, ამინდები ადამიანებს დაუმეგობრდნენ. ერთი ეს იყო, ქალოს კომმარებს არაფერი ეშველა. გაიღვიძებდა გულგახეთქილი და ბათუს ხმელ მკერდზე ლოყამიდებულს დილაზე ბრანზი უტრიალებდა თავშიც და გულშიც. ყველას შველის, ყველას ეხმარება და აბა თუ ჩემს ცუდსიზმრიანობას უწამლოს რამეო!

ბოლო დროს მიჩუმდა ბათუ. დაიდალა. ჩაწვა, აღარ დგება. თვალდახუჭული წევს, ხმას არ იღებს. სათქმელი სიტყვა აღარ დარჩა. თვალს მხოლოდ ბათუნას მოსვლისას ახელს და ისე უყურებს, თითქოს „პაპა გენაცვალოს შენა“ ეთქვას.

— პაპა! ბათუნა ვარ, შენი შვილიშვილი. ხო გესმის ჩემი ხმა? მე ვიცი, რო ჩემი ხმა გესმის. შენ რო თუთიყუშის ბოლი დაინახე, მეც ვხედავდი მაშინ მაგას. მარტო მე და შენ ვხედავდით. ბათუები მაგრები ვართ, ხო მაგრები ვართ, პაპა?



როგორც კი ბათუნა ისეთ ამბავს გაიგებს, პაპამისს რომ გაუხარდება, მამას საგარეჯოში წაყვანას ეხვეწება. ჩავლენ და ეგრევე საწოლთან მივბის.

— პაპა! გორში რო ქარის სადგური აუშენებიათ, იცილი? რო გავიზრდები, ეგეთს დავდგამ თბილისში. იცი, როგორი მაგარი ქარი გვაქვს დიდ დილოში? გორსაც მოუგებს, ამერიკასაც!

— პაპა! თელავში რო წავგიყვანეს მე და მამა, იცი, რა ვნახე? ვენახში გამოატარეს წითელი ტრაქტორი, მიდის ეგრე-ეგრე და წალამს აგროვებს. შიგნით ძაფი აქვს და რო მოაგროვებს ამ წალამს, არაა, შემოახვევს ძაფს და ეგრე ბურთივით დამრგვალებულს გადმოაგდებს უკნიდან. მაგით უნდა გაათბონ ბაღში პატარა ბავშვები. არც ჰაერს დავაბინძურებთ, გათბობის ფულიც დავგვრჩებაო. მერე კანფეტები მომცეს, ღმერთის კაცის შვილიშვილია ესაო. ბათუს რჩევა იყო წალამით გათბობა, პროექტი დავწერეთ და მოვიგეთო. ხო მაგარია, პაპა? ხო გესმის ჩემი ხმა? მე ვიცი, რო გესმის.

ესმის ბათუს, როგორ არა! ესმის ღმერთის კაცს. ზემოდან დასცქერის საწოლთან დახრილი შვილიშვილის თავს, უდიდის. მერე, ეზოში, კრამიტით გადახურულ საქათმესთან მდგარ ქალოს გახედავს, იმის ჭაღარა თმიდან ამოწვერილ შავად გამჭვირვალე ღერს ამოსწევს, ამოქაჩავს, თითზე ამოიხვევს, ამოაგორგლებს ღიმილით. იქვე, ჭიშკართან, ამათი ბიჭი მეზობელს თავისი მანქანის მუშაობაზე უხსნის რაღაცას. ახლა იმას გაუდიმებს ბათუ და უფრო ზემოთ ადის, სოფელს გადმოხედავს. აგერ, ის თანამდებობის კაცი, მაშინ რომ უნებურად აწყენინა, მზის ახალნაყიდი პანელების ჩამოცლას აკონტროლებს ამაყად. ხედავს ბათუ იმისგან ამოსულ მბრწყინავ ონშივარს, ისიც იცის, ახლა რომ გატრიალდა და გზას ფეხით აუყვა, ბათუსთან მიდის მახარობლად.


ახალი ცხოვრების დასაწყისში რომ გადმოეხედა ამსიმაღლიდან, არაფერი გამოჩნდებოდა, ახლა კიდევ, დაწმენდილია ჰაერი. გზის გაყოლებაზე ახლდარგული ხეების კინკრიხოებსაც ისე უდიდის, როგორც წელან ბათუნასას გაუდიმა. მაღლა-მაღლა მიდის ბათუ, ქალოს ცუდი სიზმრების კვამლისფერი გორგალი ამის ხელში თანდათან დნება, იფანტება. მიფრინავს ბათუ და ამაზელა ფიქრობს, ნეტა ღმერთსაც ისე ნათლად და მარტივად დაინახავს, როგორც დანარჩენ უჩინარ რამეებს ხედავდა იქ, დაბლა ადამიანებთან?

ქეთი გარნაბიშვილი



მე ვარ ქეთი ბანხაბიშვილი, ავტარი. ძაღთან
მიყვარს სერა ქ კანკურსებისგან ვამზნეუებს ხშირად ვლე-
ბურბ.

ვწერ თითქმის ყველ თემსე. ასევე ვარ „ქეთიარითური“ ქ
სხვადასხვა კომპანიის კანცენს ვქმნი.



ბაბუაჩემის ბაბუის დანატოვი

სისხამი დილა იყო. ნაბახუსევს გემეღვიძა. თავი მტკიოდა. ვერ მევისვენე, ვიფიქრე ავდგები, გავიარ — გამევიარ და გადამიარსთქვა. კიბე ჩამევიარე და დილის ნამით გაჟღენთილ ბალახზე ფეხშიშველმა დავიწყე სიარული. ბრაზი მომდიოდა ჩემს თავზე, რაი დავლიე ამისთანა ასე გლახად რომ შევიქენი. შეიცვალა სიმონ მთელი ქვეყნიერება, ღვინო — ღვინოს აღარ გავს და სოფელი სოფელს. გადაგვარდა ყოლიფერი. რა დროება დაგვიდგა? ვენახი ისე ვერ მოგიყვანია კაცს შხამებით რომ არ უაქიმო. დალევ და მოშხამული ხარ თავად. რამდენი ვთქვი არ დაველეთქვა იმდენი დალევა მომიწია და ახლა ჯობია დავლევ, დავლევ ვიძახო. აგია ცხოვრება?! ქვეყნიერება დასასრულს უახლოვდება ასთე მგონია. გლობალური დათბობაო, წყალდიდობებიო, გამლღვალა საყინულეთი. დედამიწამ ტრუალს მოუჩქარაო. ცაზე ხვრელები ყოფილა. მაგისი რა ვიცი და ქვეყნიერება რომ ნაგვითაა სავსე ამას კი ვხედავ. საშველი საადაა ვინ იცის. ამინდი ისთე აირია ან ძალიან ცხელა ან ძალიან ცივა. ზამთარში თოვლი აღარ მოსულა რა ხანია. აფსუს რა დროება იყო ჩემს ბაღნობაში?! ისედაც გლახად ვიყავი, კიდე ეგ ფიქრები მინდოდა?! შემოვტუალდი და რას ვხედავ, ცხონებული ბაბუაჩემი მოუყვება ღობეს. ღმერთო მიშველეთქვა პირჯვარი გადვეიწერე. არ გამქრალა სიმონ?! ჩემსკენ წამევიდა, თლათ წელში გამართული. ახლა ნამეტნავად ცუდადაა ჩემი საქმეთქვა შევმინდი, ღმერთო ოღონდ ახლა მიშველე წვეთს აღარ დავლევთქვა ცაში ვიყურებოდი. გასაქცევად მზად ვიყავი რომ წარმევიდგინე სიცოცხლეში რა რეაქცია ექნებოდა ბაბუაჩემს, გადვეიფიქრე. მეთქი რას მიზამს ეს



ერთი საიქიოდან მობრუნებული მოხუცი, რაფრა მომერევა ამხელა კაცსთქვა, თავი დავიძიე.

— რა იყო შეგაშინე? — მომადახა ბაბუაჩემმა და ჩემს წინ გაჩერდა. ცივი ოფლი მასხამდა. რაფრა მიმიხვდა სიმონ, საიქიოდან მობრუნებულიც ისევლე ისეთი უბედურისერთი იყო, რავარც ცხოვრებაში. ხმას ვერ ვიღებდი რამე რომ მეთქვა. — საქმე მაქვს შენზე!

— რა საქმე, ჩემს წასაყვანად მოდი?

— სად წასაყვანად, აქანე ვედარ ეტევი?

— აბა რაი გინდა?

— საქმეზა მოვედითქვა არ გითხარი?! თვალს არ გაშორებ, ზემოდან იცი რა კარგად ჩანს ყოლიფერი?!

— ღმერთი ნახე? როგორია?

— მორჩი გლახობას თუ კაცი ხარ?!

— რეიზა მოდი მითხარი და წავედი მე დამცხა რაცხა.

— რამფერი მშიშარა გამხდარხარ შენ?! მთლათ ცოლის კალთას ამოფარებულხარ!

— რაი გინდა? წადი შენი გზით. დაგვანებე თავი. — შიშის დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, ერთიანად ვცახცახებდი.

— დამშვიდდი, შენს წაყვანას არ ვაპირებ. იქინე არაფრიზა მჭირდები. საქმეს მიხედო და ქვეყნიერებას უშველო ჯობია. ბაბუაჩემმა შემოგითვალა, ბებიაშენთან ახვიდე სოფელში, ჭურებს მოხსნა თავი. ფერეთადან ნაძვის გავლით არხი გაჭრა. გორაზე სამი ქარის ტურბინა დააყენო და თვმომტვრეული თიხის დოქით მორწყა იქაურობა. — თქვა და გაქრა. მიმოვიხედე რას იძახი ვერგავიგეთქვა დავიყვირე და თვალეზიც გავახილე. ვაი ჩემი ცოდვა, შეშინებული ჩემი ქალი დამყურებდა. თურმე დამსიზმრებია. წამოვჯექი, ცოტა მოვსულიერდი და ცოლს ყოლიფერი მოუყევი. გაგჯანაცინები. გაგბრაზდი.

— მოიცა, მოიცა. — კისერზე შემომეხვია. — რომ იცოდე როგორი საყვარელი ხარ?! ესეიგი, შენ გესიზმრა ბაბუაშენი, რომელმაც გამოაგზავნა ბაბუამისმა და გითხრა რომ ახვიდე ბებიაშენთან სოფელში.

— ჰო.



- მერე
- მერე, ის რომ ჭურებს მოვხსნა თავი და თავგატეხილი დოქით მოვრწყა იქოურობა.
- რაღაცის ნიშანია. — ისეთი სერიოზულობით თქვა რომ მეგონა ისევლე დამცინოდა.
- რაის ნიშანი გოგო, ის ჭურები წლების წინ დავმარხე რაფრა უნდა მოვხსნა თავი? გამახსენდა, კილო გორაზე თხილებში ქარის ტურბინები უნდა დადგაო ასეთე მითხრა.
- ბებიაშენი ხომ კარგადაა?! წამო წავიდეთ.
- ნეტაი რისი თქმა უნდოდა? ვერ თქვა პირდაპირ, რანაირი კაცია.
- ეგ შენი დამარხული ჭურები უეჭველი უნდა ამოვთხაროთ. ალბათ ბრაზობს სოფელი რომ მიატოვე და არაფერს აკეთებ იქ.
- ეს ერთი კაცი რამდენ სოფელს ვეყო?!
- ასეთე გადავბარვდი ბებიაჩემთან. ვიფიქრე არხის გაჭრა უფრა მარტივი იქნებოდა და მეც მდინარე ფერეთიდან ამოვუყევი გადაკაფე ბამბუკები, მოვასუფთავე მიწა და ნახევარ მეტრიანი ერხის გაყვენას შევუდექი. ერთი კვირის მუშაობის შემდეგ ნაძვთან არ მისულს დიდი ლოდი დაამხვდა მიწაში. თუ არ ამოვთხრიდი ნაძვისკენ მიმავალ გზას მიხერგავდა და მთელი შრომა ტყვილა ჩამივლიდა. სულ ცაში ვიყურებოდი და ვიძახდი:
 - მიყურებ?! კმაყოფილი ხარ?!
- რის ვაი-ვაგლახით მოვთხარე ლოდი და ფერდიდან დავაგორე. იმ დამეს ისე წვიმდა ცა ჩამეიქცა. მეთქი რა უნდა ამ კაცს, რას მანიშნებს, გამოვედი და ცაში ვიყურებოდი დამეხსენი რა იქნებათქვა ვუყვიროდი. დილას ასწლოვანი ნაძვი წაქცეული დამხვდა. ცალ მხარე სრულად მოშველკალი ჰქონდა საძირკველი და რა გააჩერებდა. დამით ნიაღვარმა ჩამორეცხა მთელი ფერდობი და ძირგამოთხრილი ხეც მიაყოლა. კიდეე ერთი კვირა მოვანდომე იმ ნაძვის დამუშავებას. ესექტრო ხერხი ვიშოვე და დავჭერი, შეშა ამოვზიდე და დავულაგე ბებიაჩემს. ვახ, რა შარში ვარ სიმონ! თან სულ ვიმეორებდი. მიწაში ჩარჩენილი ფესვების გადაჭრა რომ დავიწყე რომ ორმო ამომევსო და არხის გაყვანა გამეგრძელებინა, რას ვხედავ სიმონ! ხის ფეს-



ვებში მოქცეული თიხის ჭურჭელი დავინახე. გული ამიფანცქალდა. სწრაფად მოვაშორე მიწა და ამოვაძვრინე. დოქი შემრჩა ხელში. გიჟივით გავიქეცი სახლისკენ, თან ჩემს ქალს ვეძახდი. გადაკალული თავი ვერაფრით მოვხსენით და მოვამტვრეით.

— ეგეც შენი თავმომტვრეული დოქი მითხრა ჩემმა ცოლმა, თან ვიდეოს მიღებდა. ერთმანეთს ვუყურებდით ვინ ჩაყოფდა ხელს და „განძს“ ამოიღებდა. ორივე ვფიქრობდით რომ ოქრო დაგვხვდებოდა. ბოლოს ბებიჩემმა იყოჩაღა, ხელი ჩაყო და ქაღალდები ამოალაგა. სულ ქაღალდები იყო სიმონ, ალაგ — ალაგ მელანგადღაბნილი, გაყვითლებული ფურცლები. ლექსები!

— ვახ ჩემი! — თავში ხელი წავიშინე. — ამიზა ვიწვალე ორი კვირა?!

— ბედნიერი კაცი ხარ, ბაბუაშენის ბაბუამ ლექსები დაგიტოვა, ბაბუაშენმა ტრაქტორი, მეტი რა გინდა?! — ისევ იცინოდა ჩემი ქალი. ისეთ დღეში ვიყავი აღარც ქალი მინდოდა და აღაც ვინმეს ხმის გაგონება.

— უნდა დავთვრე! — მეტად ვედარ გავაკონტროლე თავი, მომშორდითქვა ხომ ვერ ვიყვირებდი.

— ახლა ის ჭურები ამოთხარე იქ რომ ღვინოს იპოვი იმითი დათვერი. — მითხრა ცოლმა. სულ მომიღო ბოლო. გავეცალე სწრაფი ნაბიჯით, გადავედი გადაღმა. ვინმე მეზობელს შევაფარებ თავსთქვა ვფიქრობდი. გვეიარე 100 მეტრი და გვეიაზრე. იქინე იმას რომ ვიტყოდი ჩემი დიდი ბაბუეს დამარხული განძი ვიპოვე და შით ლექსები დამხვდა მხოლოდთქვა, მოკვტებოდნენ ნაცინები. გავჩერდი, რა წყალში ჩავვარდნილიყავი არ ვიცოდი. ისევ სახლში შევბრუნდი.

— ნუ დარდობ ბებია, — შემეგება მასწავლებელი ბებიჩემი, რა კარგი ლექსების წერა ცოდნიებია ჩემს მამამთილს. რატომ მაღაღდა ნეტაი?!

— ცხვენოდა ალბათ.

— სარცხვლო რაია, გვარში პოეტი გვეყოლია, აქ მთელი კრებულია. — გახარებული იყო ბებიჩემი, თვალებს არ ვიჯერებდი ისეთ ბედნიერს ვხედავდო. ნეტავ როდისღა ასწრებდა პოეზიით ტკობას სულ შრომაში იყო თავწარგული. ვის რაში აღარდებდა ჩემი



მოწყვეტილი წელი. ლექსების კითხვით იყვნენ გართულები.

იმ დღეს მართლა მაგრად დავთვერი, ვიფიქრე ბაბუაჩემი კილო დამესიზმრებოდა, მაგრამ აღარ მოსულა. რაისლა ვიზამდი, დანაბარებისგან ვერავინ გამათავისუფლებდა და ბარემდა მიმეყვანა საქმე ბოლომდე. გადავდე ჩემი თავი მაგ სქმისა.

ცოლის ნათესავები ისევლე შემომეხვიენ და ახლა ქარის ტურბინების დამაგრება დავიწყეთ. შორიდან ვუყურე, ამან რაი უნდა ქნას, აქანე ქარიშხალს რა უნდა მაგას რა დაატუიალეხსთქვა ვფიქრობდი, მაგრამ შეეცდი, ისე კარგად ამუშავდა გაშტერებული ვუყურებდი სიმონ. რას მეესწრო ცხონებული ბაბუაჩემის კარმიდამო?! ბებიაჩემმა აიჩემა აი „ქარისწიქვილები“ აქ რას დამიყენეთ დონკიხოტი კი არ ვარ მეო. ღამე რომ გამევიხელავ და მაგას დავინახავ კიც მივეწევი ბაბუაშენს უკანო. ვცადეთ აგვეხსნა რომ ამიერიდან დენში ფულს აღარ გადაიხდიდა და უფასოდ ექნებოდა. მერე ბატარეები ვანახეთ.

— აი ბებო, ეს არის ბატარეა, ზემოთ თავს ხომ ხელავ, იმას ქარი ატრუალებს და წარმოიქმნება ენერგია, რომელიც აქ გროვდება და მოდის შენთან სახლში სინათლის სახით. ხელავ რა მარტივია?!

— რანაირად? აქანე არა მაგდენი ქარი.

— ქალბატონო აგისხნით — ერთ ერთი სპეციალისტი საუბარში ჩერია — არსებობს ფიზიკის სამი კანონი, რომელიც არეგულირებს ქარის ენერგიას. პირველი კანონის თანახმად ტურბინის მიერ წარმოქმნილი ენერგია პროპორციულია ქარის სიჩქარის კვადრატის. მეორე კანონი გვეუბნება რომ არსებული ენერგია პროპორციულია დანის ფართობის, რაც დანის სიგრძის კვადრატს უდრის. მესამე კანონი კი ადგენს რომ ქარის ტურბინის მაქსიმალური თეორიული ეფექტურობა 59%-ია.

— რაიო დედა, რა თქვა ამ კაცმა?

— ამიერიდან შუქის ფულს არ გადაიხდიო და თან გარემოსაც გაუფრთხილდებიო. — განვუმარტე მე. საწყალმა ქალმა ვერაფერი გაიგო და წავიდა უსიტყვოდ.

ამ გაწამაწიაში ერთი თვე გევიდა. არხი გავჭერი, ტურბინები დავაყენე, თავმოტეხილი დოქი ვიპოვე, უფრო სწორედ მთელი დოქი ვიპოვე და თავი მე მოვამტვრიე, მარა მაგითი როგორ უნდა მომერ-



წყო იქაურობა ვერ ვხვდებოდი. კიდევ ერთი საქმე მქონდა დარჩენილი და მოვილევდი ყორფელს. ისევ ნიჩაბი და წერაქვი მოვიმარჯვე. მიწა მოვასუფთავე და თხრა დავიწყე. ზუსტად მახსოვდა ჭურები ცარელი იყო მიწა რო მივავარეთ. არაფრის პონის იმედად არ ვიყავი. ვთხრიდი და გამქონდა მიწა. 4 ქვევრი გამოვაჩინე. მეხუთე საით იყო ვერ გავიხსენე და არასწორი ადგილის ჩიჩქნა დავიწყე. ჰოდა მაშენ ვიპოვე რაცხა ძველი მარნის ნიშნები. იატაკს გავდა, თიხის ფილები ეგო. ვიყვირე შემიწირავს ეს ხალხითქვა. არქეოლოგად გამხადეს რა შევცოდე ამის ფასითქვა. წერაქვი გადავდე და ცოცხით გავაგრძელე მუშაობა. ჩემი ქალიც შემომეშველა. ვთხრიდით და აყრილ თხელ თიხის ფირფიტებს ვპოულობდით. როგორც ჩანს იატაკი ან ჭურის თავების მოსაპირკეთებელი მასალა იყო.

ასე საქმეში გართულს ჩემს ცოლს გენიალური იდეა მოუვიდა.

— მოდი შევეშვათ.

— რასაა ქალო რომ იძახი ამდენი მითხრია ახლა შევეშვა?!

— ვანის მუხეუმში წავიღოთ ეს ფილები. იქნებ ძველია და რა საგანძურია აქ დამარხული და ჩვენ კიდევ შეიძლება გავაფუჭოთ.

— მერე საგანძური თუ იქნა სახელმწიფომ წაიღოს?

— ვინ წაიღებს არ ვიცი მაგრამ, გუებნები შეიძლება რამე გავაფუჭოთ.

— არაფერს არ გავაფუჭებთ.

— მანდ რომ ოქრო იპოვო მაინც მოგიწევს სახელმწიფოს შეატყობინო და თუ ის ძველი იქნება ყველა შემთხვევაში მუხეუმში დადებენ. ასე რომ მოვიყვანოთ პროფესიონალები და თავად ამოთხრიან.

— რაფერი ჭკვიანი ხარ შენ ჩემო ცოლო. მაგენი ამოთხრიან, მე აღარ გავწყდები წელში. თან მეც აქანე ვიქნები და ვერაფერს მომპარავენ.

— ზუსტად. — მითხრა და გამიცინა. არ მიყვარდეს მაგას ვაჩვენებლი მე გაცინებას რაფრა უნდა.

მეორე დილას ვანში წავედით. მუხეუმს მივუტანეთ ექსპონატები და დაუტოვეთ. 10 დღიდან ორ კვირამდე დასჭირდება პასუხსო მითხრენ.



— რად უნდა ქალბატონო ამდენი ხანი, შეხედავენ და მეტყვიან რომელი საუკუნისაა.

— მასე მარტივად არ ზღვება. — მომახსენეს მკაცრად და გამომბუნძულეს კულამოძუებული.

ერთ დღე ვიდექი და ვუყურე ამ ჩემს მიტოვებულ ნამარხს. მერე ვეღარ მევიტომინე, მაღაზიაში სხვადასხვა ზომის ჯაგრისი ვიყიდე და თხრა გავაგრძელე. გაეწყდი კაცი წელში. თავდახრილი, კისერმტკივანი დღე და ღამ ვმუშაობდი. 10 დღეში მუზეუმის პასუხიც წამომეწია. მითხრენ ჩვენ გავაგრძელებთ სამუშაოებსო და შემომითვალენ ერთ ან ორ კვირაში მოვალთო. შოვუთვალე აღარ მოხვიდეთ მაგ დროისთვის უკვე ამოთხრილი მექნება ყოლიფერთქვა.

ლამის მთელი ზაფხული მოვანდომე ბაბუაჩემების დანაბარების შესრულებას. საგლახაო და ანეკლოტი ამბავი კი გამემივიდა. მაინც ისტორიაა, ერთგან ლექსები ვიპოვე მეორეგან მეთხუთმეტე საუკუნის მარანი. კარგად შემონახული ქვევრებით და საწნახელის ფრაგმენტებით.

რაცხა კაი ჩავიფიქრე და ვიცი ისეთ ამბავს შევქმნი ბევრ ადამიანს მივაწვდენ ხმას.

ეკომეგობრული სოფელი უნდა გავაშენო, მთელი დუნია რომ თითით საჩვენებლად გვთვლიდეს ე, იმფერი. ნიშანი მივიღე ზეციდან, ტყუილად არ დამადგმევინა ბაბუაჩემის ბაბუამ ქარის ტურბინა.


— გენიოსი ხარ ბაბუაჩემო, გენაცვალოს ჩემი თავი.

წყარო: https://www.renovablesverdes.com/ka/turbina-eolica/#Que_es_una_turbina_eolic

კახაბერი მჭედლიშვილი



კახაბერი მჭედლიშვილი, პრესის მწიფე ნიშნით, ახლავს თურქეთის-
ცი. 2001-2005 წწ. დაეძინა თსუ - ის თურქეთის მწიფის
ფაკულტეტი. 2002-2020 წწ. ვებ-საიტზე ვაჟოთ "კვირის
საქართველო", რედაქტორად "საბჭოთაო" ქ. ა. შ. ამ
ეაძრე დასაქმებული ვარ ერთ-ერთ სამუშაოზე კომპანიაში. რიგი
საქართველო მწიფე მწიფის ქ მკითხველთა რ ვამუშავებო,
ვარ რამდენიმე საქართველო კონკრეტული ვამაგნიებო, ერთი
საქართველო მწიფის აუტორი, საქართველოს მკითხველთა
საქ. მწიფე "საქართველო" თათი მკითხველთა, "რედაქციის
სამსუ", "რედაქციის მწიფე" "მარი რედაქციის" ხშირ მკითხველთა



კლანეტიის გადასარჩენად (ჯადოსნეხი მოთხრობა)

ეს არის მოთხრობის ნაგო ჰანანა რა მისი ოთხი შვილიშვილის: მათის, რათას, სანარონას რა გიგას შესახებ. რომლოებმაც ვიროსის გავრცელოების შიშოვ რიგაქარაქში ნახოვორობელი ყოროჰის სანოროვებ ბარი განშინებს. ბოლო ბარის განანინას, ბიბილის სოროლოში სოლო განანებს. მოთხრობის გიბილებმაც რიგაინის განანორობოლო „რაყანოვოლი სოლოვების ოქსიოლი“ შიგარინებს. რაყანოვოლი სოლოვითა ოქსიოლში არანაროქოლი. იშოითი სნ მივიწყობელი სოლოვები იწყობებს რა გოროვებს. განარას მისს. მათ სოროთ ყოლო ყოროჰის სანოროვის მწყანე ნანოვავებით განანინანებს. მოთხრობის ეომონა იმ ნანოვოვებო მოსანოვებს. რომოლიც სეინი აყო-გონებით ნაქე გიბიების თავში ინარებს პონანოვის განანანანებს რა შოროვოლო ვანოვოლოვითი სანოვანოლო. ნაგო ჰანანონ ცხოვრობს ბელი-ბელი. ანონანე ძარილი ოთნ-იბოვ ოანანელი. განანინანი ყანვილი ყანვ ვიბინა რა ონი ანოვი სოვის გოვი. გიგანამში რა ებილო. სეივი ნაგო ჰანან ბარი-ბონანის მოვოლოში ებანინის მისი განოვოვოლი მიგონინები. სანოვანი. ბიბილის სოროლოში რაყოვობელი. ყოვოვანანინოვოლი გოლოითი ყოროვოვოლი სანოვოლო ცანოვოლი რა მოსოვი ყითოლი გვილი პონანონი. ნაგო ჰანანონ მოვინარა სწყანანოვოლი განანოვოლო ოსოვოლი ნოქინი თოთოვოში სიბივი. რომოლოვანე სინან პანონი შიშოლოვანე ყოვოვან. იგი სოლოვითი რან პიროვანნი სანოთის ბარი შოლოვან.

- ოხ, ჩემო პატრონო, რა დიღებული დღე გათენდა — დაიკრუსუნა დილაადრიან სიბიფემ.
- მაშ, რაღა გავიშვიშებს ჩემო სიბიფე — დიმილით უთხრა



ნუგო პაპამ თუთიყუშს.

— ცუდი დღეები მახსენდება და სიხარულით მეტირება — რომ ბელმა შენნაირ გულმონწყალესა და ჭკვიან კაცს შემახვედრა ჩემო პატრონო. გარდა ამისა...

— გარდა ამისა? — ჩაეკითხა ნუგო პაპა.

— გარდა ამისა, ჩვენს ბაღზეც ვდარდობ, ჩვენს სახურავზე და საერთოდ ქალაქზე. რა იქნება ხვალ, როდის გადაივლის ეს სენი, რომ ძველებურად შევინავარდო ხალხითა და სიცოცხლით სავსე ქუჩებში. ნეტავ, რას გვიმზადებს ბელი...

— ყველაფერი კარგად იქნება — დაამშვიდა მათემ თუთიყუში.

— აბა ჩემო სიზიფე რა მოგვიტანე დაკარგული სიტყვების ლექსიკონისთვის — იკითხა ნუგო პაპამ.

— მზეფესვია, ფესვიძხე, ალისვია, ვაზიმღერა, მზედალია, მხესვია, ალთასმანი, ალმასმურა, მზეანთია, ალისარი, ალოვანი, მზისწილი, ხეწიდა, ხეგრეხილი, ცისკიბული, ცისკიბე, მზენაკიდი, მზისკიდული, ფერანთია, ფერხმოვანი, მზისამარა, მზეფევერა, მზეგრეხილი, ქარვაალი, რქაალი — ჩამოარაკრაკა სიზიფემ.

— შუქენა, უთქმარი, მზემახარა, ყელიღერა, რქაწრფე, ალიდარი, ალადარი, — არ ჩამორჩა სიზიფეს ვეფხია.

— ბაკრუკი, თანუქარი, ალიჭური, მზემეწვია, მზისყელა, მზემისული, მზეეხვია, — მიეშველა მეგობრებს პლატონიც.

— დღეისთვის საკმარისია; — თქვა კმაყოფილმა ნუგო პაპამ.

— სად ხარ, ცამცუმ ძმაო, შენი ხმაოქროვანი გაგვაგონე — გასძახა კურდღელს; თუთიყუშმა. შემოურთდი ჩვენს სევდით გაჟღენთილ და სიხარულით მბჟუტავ საზოგადოებას. მინდა გულისთქმა გაგიზიარო და ქედი მოვიხარო შენი გოლიათური ბუნების წინაშე. რადგან ყველაზე ძნელ დღეებშიც კი ჩვენი კორპუსის საძირკველივით მტკიცე, ჩვენი განათების ბოძივით უღრეკი და ჩვენი სადარბაზოს მტვერით უხილავი ხარ...

ამ უკანასკნელი სიტყვების შემდეგ კი სიცოცხლისგან თავის შეკავება შეუძლებელი გახდა. ამიტომ მეგობრები იქამდე მხიარულობდნენ და ხუმრობდნენ, ვიდრე არ მოსაღამოვდა და მზე ბაღ-ბოსტნის კუთხეში არ მიიმალა.



— ძალიან გთოვთ, მეგობრებო, ჯერ ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ ვიხსნათ, ოკეანეში ჩაძირვისგან ჩემი მიწა, ჩემი სამშობლო, ჩემი მალდივია, ჩემი შაბამინისფერი ზურმუხტოვანი კუნძულები და შემდეგ ვიმსჯელოთ სხვა საკითხებზე - აჭახჭახდა მთვარის ამოსვლისთანავე სიზიფე და პლატონს ისე ახლოს აუბუთქუნა თავისი ეგზოტიკური ფრთები, გველი მოულოდნელობისგან ზღარბნაჩხვლეტივით აიფოფრა, თუმცა, მალე მოეგო გონს და თუთიყუშს ბოდიშიც კი მოუხადა სახიფათო ქცევისთვის.

— როგორი გულმაღვიწყი ხარ, ჩემო სიზიფე, განა არ ვთქვით, რომ, როცა ადამიანები არხებს გაჭრიან მიწისქვეშა სიცარიელეებისკენ, შენი სამშობლო არა თუ გადაურჩება წყალქვეშ ჩაძირვას, მთაგორიან ქვეყანადაც იქცევა, რადგან მთელი შვიდასი მეტრით დაიწვეს ზღვის დონე — გაახსენა ცამცუმმა თუთიყუშს.

— ვთქვით, ვთქვით, ისიც კი ვთქვით, რომ ამერიკის კონტინენტთან კარიბიის ზღვაში ჩაძირული უძველესი პირამიდების ქალაქი ოკეანის ზედაპირზე ამოყვინთავს და მზის სინათლეს იხილავს — აჭყიპინდა გილგამეში.

— ნამდვილად, ნამდვილად — წრიპინით დაემოწმა ძმას ენქილუც.

— ზღვის გოჭების გადასაწყვეტი რომ გახდება პლანეტის ბედი, იმ პლანეტის მაცხოვრებლების საქმე ვერ არის კარგად - დაამთქნარა კეფხიამ და უკმაყოფილოდ გააფხაჭუნა თათი თუნუქის სახურავის კუთხეზე.

— რა ვთქვით ცუდი? — უარესად აჭყვიტინდენ ზღვის გოჭები.

— დაწყნარდით, მეგობრებო, საჭიროა მზის ენერგია, მისი თვალისმომჭრელი ელვარება და დაუნდობელი გამოსხივება სიკეთედ გარდაქმნათ. რათა შეჩერდეს გრენლანდისა და ანტარქტიდის სწრაფი დნობა, საერთოდ პლანეტის დათბობა. — თქვა პლატონმა.

— მართალია, პლატონი — დაეთანხმა გველს ნუგო პაპა. უნდა აშენდეს მზის ქალაქები, მზის ქარხნები, შეიქმნას მზის მანქანები და საწვავი. გაკეთდეს საჰაერო გზები და ტრანსპორტი.

— აღორძინდეს ქარის სადგურები, გამოვიყენოთ ზღვის მიმოქცევის ენერგია, მთვარისა და პლანეტების მიზიდულობის აუთვისე-



ბელი ძალები, ყველა ის შესაძლებლობა რასაც ასე უხვად გვთავაზობს ჩვენი პლანეტარული სისტემა. — კვერი დაუკრა ნუგო პაპას დონ-კიხოტმა და ფეხი ისე მჭახედ გაატაკაცუნა, ცამცუმს ცალი თვალი მოღრუბლული ზეცისკენ გაექცა, წვიმას ხომ არ აპირებსო.

— გარდა ამისა, კოსმოსშია გასატანი წყნარი ოკეანიდან თითქმის მადაგასკარის ზომის მცურავი ნაგვის კუნძული და კიდევ სხვადასხვა პატარ-პატარა ნაგვის კუნძულები, რომლებიც ოთხივე ოკეანეში ყოველწლიურად მატულობს. — განაგრძო ცამცუმმა.

— ვინმე თუ დაფიქრებულა, რა მოუვა ამ ნაგვის კუნძულებს თუ კოსმოსში არ გავითანთ და მიწისქვეშეთში ჩავუშვებთ ოკეანეებთან ერთად ამ გზით დიდ სანაგვე ყუთად გადავაქცევთ დედამიწას. ამიტომ ჯერ ეს ნაგავი უნდა გადავყაროთ კოსმოსში და შემდეგ ვიმსჯელოთ ზღვის დონის დაწევასზე. — დაეთანხმა პლატონი კურდღელს.

— გარდა ამისა, მცურავ ნაგვის კუნძულებზე ვირთხების მოზრდილი დასახლებები ჩნდება, რომლებიც ძალიან სწრაფად მრავლდებიან და უკვე საკუთარ დასახლებებს ქმნიან. ნაგავი იზრწნება, წყალი ბინძურდება და ოკეანის ბინადრები იწამლებიან. ამაზეც უნდა ვიფიქროთ — დაამატა სიზიფემ.

— უღაბნოებიც უნდა გავაცოცხლოთ — თქვა სანდრომ.

— ყველაზე მთავარია, როგორ შევაჩერებთ პლანეტის საყოველთაო დათბობას. — თქვა მათემ.

— აი ამას კი, ყველაზე უკეთ ჩვენი ყოვლადბრძენი კატა მოგახსენებთ. — უეცრად აპილპილდა თუთიყუში ვინაიდან კატის გამაბრაზებლად მომწუსხველ მზერას გადააწყდა.

— რატომაც არ მოგახსენებთ თავად ბრძენო და ჩვენო უსაყვარლესო ფრინველო, ამისთვის საჭიროა ჩვენს პლანეტას სასწრაფოდ დავახუროთ ხელოვნური ქუდი. ხოლო შემდეგ ვიზრუნოთ იმაზეც, როგორ შემოვარტყათ მას მზისგან დამცავი წყლის სარტყელი. როგორც ეს წარღვნამდე ჰქონდა. — განაცხადა ვეფხიამ.

— გასაგებია, ზარმაცო ვეფხვო, რომ ხელმეორედ უპირებ წარღვნას დედამიწას, მაგრამ მისთვის ქუდის მორგებას როგორ აპირებ? — ჰკითხა სიზიფემ კატას.



— მზის დაბნელებისთვის თუ გიცქერია მაგ გამჭრიახი და გულისგამგმირავი თვალებით, ბრძენო ფრინველო? — კითხვა დაუბრუნა ვეფხიამ თუთიყუშს.

— მერე? — მოლბა თუთიყუში.

— ზუსტად მთვარესავით ავაფარებთ მზეს რაიმე თბოგაუმტარი მასალით და მზადებულ სხეულს, ისიც დრო და დრო, ალაგ-ალაგ და უღრუბლო ამინდებში. — თქვა კატამ.

— ვიდრე ქუდს დავაფარებთ დედამიწას, ხელოვნურად ქარის შექმნა და მართვა თუ შეიძლება ღრუბლების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასარეკად? — გაუბედავად ამოიწრიპინა ენქიდუმ.

— ნუ დაგაკვიწყდებათ, რომ დასათვლელი გვაქვს მიწისქვეშა გიგანტური სიცარიელებიც, სადაც ოკეანის ნაწილი უნდა ჩავუშვათ — თავი გამოიღო ვილგამეშმაც.

— ისე არ გააკეთოთ, რომ უდაბნოებში გასაშვები წყალი არ დაიბოვოთ პლანეტაზე, საფიქრალი გვაქვს ისიც, თუ როგორ ავითანოთ წყალი და ჰაერი მთვარეზე — აიბურძგლა ვეფხია.

— ასევე მოსაგონებელია, რა გზით მოვძებნოთ ცოცხალი არსებებით დასახლებული პლანეტები კოსმოსურ რუკაზე — კვერი დაუკრა კატას პლატონმა.

— ხოლო შემდეგ ვიზრუნოთ კოსმოსის გაცოცხლებაზე, გადავიტანოთ წყალი და ჰაერი ჯერ მზის სისტემაში, შემდეგ კი თითოეულ გალაქტიკაზე. ამისთვის კი ისეთი ენერჯის მოძიება და კოსმოსში სამოგზაუროდ გამოყენება მოგვიწევს რომელიც უსასრულო მანძილების დაფარვის შესაძლებლობას მოგვცემს, შეუზღუდავი იქნება და უვნებელი. — წერტილი დაუსვა მეგობრების წინადადებას ცამცუშმა.

— მაგალითად ? — იკითხა გეგამ.

— მაგალითად ისეთი ენერჯის როგორცაა გრავიტაციული ძალა. მაგრამ გთხოვთ მიწაზე დავეშვათ, ძვირფასო გამოძგონებლებო, ჯერ დედამიწას უნდა მივხედოთ. — ადამიანები ბუნების წილში უნდა დაბრუნდნენ — ამოიოხრა დონ-კიხოტმა.

— ესპანელი მართალია, — ისევ აბობოქრდა სიზიფე. ზომ ვთქვით რომ მოვიფიქრებდით ისეთ რამეს, რაც დედამიწელებს ომზე,



ძალადობასა და განადგურებაზე უარს ათქმევინებდა?

— ნუთუ აქამდე ვერ მიხვდით რატომ გააშენა ბალი კორპუსის სახურავზე ნუგო პაპამ? — ხმა ამოიღო აქამდე ჩუმად მყოფმა დათამ და თვალმოჭუტულ პლატონს ხელი სტაცა.

ყველა სმენად იქცა.

— ჩვენ უნდა მოვუსმინოთ პლანეტას, მისთვის სასარგებლო საქმეები ვაკეთოთ. დაკარგული, იშვიათი, მივიწყებული და ჯერუთქმელი სიტყვებით მოვეფეროთ ერთმანეთს. უმტკივეულოდ და უვნებლად ვიტრიალოთ მასთან ერთად ამ უკაცრიელ და უკიდევანო კოსმოსში. ჭრილობები შევუხვიოთ. უფრო მეტი ხეებით, ბუჩქებით, ბალახებით და ყვავილებით მოვრთათ დედამიწა-გაიღიმა დათამ.

— რაც მეტი იქნება მწვანე საფარი პლანეტაზე, მით მეტ ნახშიროქანგს შთანთქავენ მცენარეები და მით მეტ სუფთა ჰაერს ვისუნთქებთ, რაც მეტი იქნება სუფთა ჰაერი, მით უფრო მეტი ვიტამინები და მინერალები გაჩნდება წყალშიც. გარდა ამისა, მწვანე საფარი, დაიცავს დედამიწას მზის მავნებელი გამოსხივებისგან და გადახურებისგან. — განაგრძო სანდრომ.

— მილიონობით წელია ადამიანების დაუდევრობისა და მწვანე საფარის შემცირების გამო დედამიწაზე დიდი რაოდენობით მომწამვლელი ნივთიერებები დაგროვდა ჰაერში, წყალსა და ნიადაგში, პლანეტა ვეღარ ასწრებს გარემომცველი მხუთავი ეფექტის შემცირებას, აი რა სპობს და ახრჩობს პირველ რიგში ჩვენს პლანეტას და მის ბინადრებს. — დაამატა გეგამ.

— უნდა შეიქმნას სახიფათო ნარჩენების გადამუშავების სისტემები. ჩვენ უნდა მივეხმაროთ დედამიწას მისთვის საზიანო ატმოსფეროს გაუვნებელყოფაში. ადამიანებმა უნდა დაიცვან თავიანთი პლანეტა საყოფაცხოვრებო მავნე ზეგავლენისგან, ნუთუ არსებობს სხვა რამ, დედამიწის გადარჩენაზე მნიშვნელოვანი? — კითხულობს მათე .

— მაშ, რაღას ვუყურებთ, ბიჭებო, საქმეს შევუდგეთ, ესეც თქვენი „მზეფესვია“ — ჩაიცინა ნუგო პაპამ, ჯიბიდან რამდენიმე ყვავილის მარცვალი ამოიღო და ფხვიერი მიწით სავსე მოზრდილ თიხის ქოთანში ცერა თითით ღონივრად ჩათესა.



ვეფხიამ, ცამცუმმა და დონ-კიხოტ ლამანჩელმა თითქმის ერთდროულად დაიკრიფეს ხელები გულზე, პლატონმა კუდით მოიჩრდილა მზე და სევდიანი სახით გახედა მომღიმარ ნუგო პაპას, ხოლო ზეცად ფრთააპყრობილი სიზიფე შეუსვენებლად მოჰყვა ძვირფასი პატრონის ქება-დიდებას. გილგამეში და ენქიდუც კი მიხვდნენ, თუ რატომ გააშენა ნუგო პაპამ ბაღი კორპუსის სახურავზე და რატომ უნდოდა მთელი ქალაქისა და ქვეყნის ბაღნარად ქცევა. რაღა თქმა უნდა პლანეტის გადასარჩენად.


— ამ შხამიან ვირუსსაც ეს ყვავილები დაამარცხებენ არა, პაპა? — ჰკითხა გეგამ პაპას და ახლად ჩათესილ მარცვლებს წყალი დაუსხა.

ნუგო პაპამ უხმოდ დაუქნია თავი შვილიშვილს და ლიმნით გაჟღენთილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. საღამოვდებოდა. მხოლოდ მზის უკანასკნელმა სხივმა შეამჩნია ნუგო პაპას თვალიდან ჩუმად ჩამოგორებული მარგალიტის მარცვალი.

ირაკლი კალანდიაძე



ვარ კანდიდატი
იმოცემ არ ვხერ,
რამ
მჭირებდეს ცნობი ქ' ჩება.
არ ვიცი ვინ ვარ,
უჩინაურს ვიწყევი,
ქმდრ მუერს ვაჩინავებ.
ნეტა ვაივუ რისთვის მუერი,
რისთვის ვკინებ ცნობი სიყვარულს ვხერბ.
ვირ ვხსნი ამ ყველის ჩამსიბურ რებეს,
არ მუადნის არბათ სიბინძურ
ან ნება.
მე რამ არ მხამდა იმ დიხის
ეცუბა
ჩემი უნებლოვა მე ენება.



მკვლარი და ცოცხალი თევზები

ერთხელ საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკის პრეზიდენტს უპასუხა, დინებას მკვლარი თევზები მიჰყვებიანო. გახსოვთ, ალბათ, ათას ცხრაას ოთხმოცდაათი წელი იდგა და ქვეყნა თავისი დაბადების პირველ წელს ნაციონალისტური ეიფორიით იყო მოცული. ჰოდა, ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო. საქართველოს პრეზიდენტის პასუხი რომ კეთილგონიერებისა და დიპლომატიის ნიმუშად არ გამოდგებოდა, ცხადია. თუმცა პრეზიდენტი პოლიტიკოსი არ იყო. პრეზიდენტი იყო პოეტი. პოეტებს კი ეპატეებათ ის, რაც არ ეპატეებათ პრეზიდენტებს. იმხანად 12-13 წლისა ვიქნებოდი და პოლიტიკური საკითხები ნაკლებად მაინტერესებდა. ჩემი გონება მეტწილად გოგოებით იყო მოცული, ცოტათი ნაკლებად კი — ფიზიკით. ცხოვრება მდორედ მიედინებოდა პატარა დაბა ჩოხატაურში, რომელმაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაბობა იუკადრისა, ზოგიერთ ახალ დოკუმენტში ის უკვე ქალაქ ჩოხატაურადაც მოიხსენიებოდა. რაც, ჩოხატაურელთა აზრით, ცოტა უფრო თავმომწონედ ჟღერდა. კაცმა რომ თქვას, ამ მოვლენას ქალაქ-დაბის ცხოვრებაში დიდი ძვრები არ მოუტანია. თუმცა დროის მოტანილ დიდ ცვლილებებს, ცხადია, არც ჩოხატაურისათვის აუვლია გვერდი: მთავარ მოედანზე კვარცხლბეკიდან ჩამოაგდეს ლენინის ქანდაკება. რაიკომის სახურავიდან ჩამოხსნეს წითელი დროშა, რაიკომის შენობას ეწოდა პრეფექტურა, ხოლო რაიკომის მდივნის შავი ვოლგა პრეფექტს გადაეცა. პრეფექტურის წინ კომკავშირის რაიკომი, როგორც დღეს იტყოდნენ, „ლიკვიდირებული იქნა“, ხოლო



შიგ ახალი ყაიდის არასაბჭოთა სკოლამ დაიდო ბინა. სკოლას ეწოდა გიმნაზია. აი, სწორედ ამ სკოლაში ვნათლდებოდით მე და კიდევ ასიოდე სხვა ბავშვი, აღსავსენი ოპტიმისტური ფიქრებით, რომ ერთ დღესაც სკოლას დავამთავრებდი და უკანმოუხედავად დავტოვებდი მელანქოლიურ დაბადყოფილ ქალაქ ჩოხატაურს, რომელიც როგორც მაშინ მეჩვენებოდა, ძალიან პატარა იყო იმისათვის, რომ მე და ჩემი ცხოვრებისადმი ვნება დავეტიეთ. ცვლილებები ამით არ ამოიწურებოდა: თუ პრეფექტურიდან ხუთასიოდე მეტრს გაივლიდით, როგორც ჩოხატაურელები იტყვიან, ზემოთ, შემოგ ხვდებოდათ ადგილობრივი სტამბა და გაზეთის რედაქცია. გაზეთს ერქვა პოეტური საბჭოთა სახელი „კომუნიზმის განთიადი“ და ასე სამოცდაათიოდე წლის მანძილზე ერთგულად ეწეოდა ჩოხატაურელთა ინფორმირებას, რომ ტროცკი, ლენინი, ბუხარინი და სტალინი დიადი ბელადები არიან. რომ ტროცკი და ბუხარინი — კონტრრევოლუციის ჯამუშები, ხოლო სტალინი დიადი ბელადია, რომ სტალინი და ბერია სისხლიანი მანიაკები არიან, ხოლო ხრუშჩოვი ნამდვილი კომუნისტი ლიდერია. რომ მალე ამერიკის შეერთებულ შტატებს გადასწრებთ და „კომუნიზმის განთიადთან“ ერთად კომუნიზმში შევაბიჯებთ და ასე შემდეგ. დროის მოტანილ ცვლილებებს ცხადია, ვერც „კომუნიზმის განთიადი“ გადაურჩა. კომუნიზმის დაისტან ერთად სახელი იცვალა და შეიქნა „ჩოხატაურის მაცნე“. ახლა უკვე ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე მსჯელობამ დაიკავა გაზეთის ფურცლები. რაც სიმართლე რომ ვთქვათ, ძალიან დროული და საჭირო საქმე იყო. იმპერიის ნგრევას სასტიკი ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა. ელექტროენერგია სულ უფრო და უფრო ხშირად ითიშებოდა, სულ უფრო და უფრო დიდი ხნით, სანამ ანთებულმა ილიჩის ნათურაც ვლადიმერ ილიჩის გზას არ გაუყვა და საერთოდ არ გაქრა ჩოხატაურელთა ცხოვრებიდან. „კომუნიზმის განთიადი“, ბოდიში, „ჩოხატაურის მაცნე“ არც ადგილობრივი ახალი ამბებისადმი იყო გულგრილი, რაც ბუნებრივია. ბოლოსდაბოლოს მისი ახალი სახელწოდება პირდაპირ გულისხმობდა ადგილობრივი მნიშვნელობის ინფორმაციის გავრცელებას. ეგ კი იყო, რომ ამბები ჭირდა, პატარა ქალაქში თითქმის არაფერი ხდებოდა, რაც



მოყოლად ღირდა, ამიტომ ხშირი იყო ბუზის სპილოდ გასაღების შემთხვევები, რაც, ჩოხატაურელთა აზრით, „ჩოხატაურის მაცნეს“ სულაც არ გაემტყუნებოდა. მაგალითად, გახეთის პირველ გვერდზე შეიძლება წაგვეკითხათ ამდაგვარი რამ — „ყაჩაღობა სოფელ ჩაისუბანში“. „სოფელ ჩაისუბანში, ვინმე იქსის ოჯახში ავტომატებით შეიარაღებული მთვრალი ბანდიტები შეიჭრნენ და იქსის დასაშინებლად ავტომატის ჯერით გადაცხრილეს სახლის ფასადი. თუმცა, საბედნიეროდ, სროლის ხმა შემთხვევით გზად მიმავალმა მილიციელებმა გაიგონეს. მილიციის უფროსის, ბელმონდო ჭელიძის, მეთაურობით, ისინი თავს დაესხნენ შეიარაღებულ ბანდიტებს, ხელბორკილები დაადეს და მილიციაში მიაბრძანეს. ერთ-ერთმა ბანდიტმა წინააღმდეგობის გაწევა ცადა, თუმცა ბელმონდო ჭელიძის ვეფხვისებურმა ნახტომმა მას სროლის შანსი არ დაუტოვა და განიარაღებული განერთხა მიწას. დიდი მადლობა ჩვენს მამაც მილიციელებსა და პირადად ბელმონდო ჭელიძეს გმირული ოპერაციის ჩატარებისათვის“. მზევინარ მინდაძე.

მზევინარ მინდაძე გახეთის ახალგაზრდა კორესპონდენტი იყო, ცნობილი წერის პათეტიკური მანერითა და ღროისა და ადგილის კვალობაზე სუპერსექსუალური იმიჯით. მზევინარ მინდაძე ყველა ჩოხატაურელი მამაკაცის ფარული ვნების ობიექტი გახლდათ. ავი ენები იმასაც ამბობდნენ, ბელმონდო ჭელიძესა და მზევინარ მინდაძეს შორის იმაზე მეტი რამ ხდება, ვიდრე ეს პატარა ქალაქის პურიტანული მორალით არის დასაშვებო. ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, თუმცა დიდი გულთმისნობაც არ უნდოდა შემჩნევას, რომ მზევინარ მინდაძე ბელმონდო ჭელიძეს აშკარად გადაჭარბებით ასხამდა ხოტბას. ეს ყველასათვის ცხადზე ცხადი იყო, ვინც მეტრი და სამოცი სანტიმეტრის სიმაღლის ღიპიანი ბელმონდო ჭელიძის ვეფხვისებური ნახტომით ავტომატის ბანდიტის განიარაღების სცენას წარმოიდგენდა. საბედნიეროდ, მსგავსი კრიმინალური ამბები 1990 წლისათვის ჯერ ისევ დიდი იშვიათობა გახლდათ. ამიტომ მზევინარ მინდაძის რეპორტიორული ნიჭი, ძირითადად, პრეფექტურის ბიუროკრატიის საქმიანობის მხატვრულ აღწერაში იფლანგებოდა.



როცა მშვეინარ მინდაძე პირველად ვიხილე, სკოლის წინ, ახორბოცებული ბიჭების ბირჟაზე ვიდექით. ქუჩის გადმოდმა — ჩვენ, ქუჩის გადაღმა კი პრეფექტურის თანამშრომლები ამაგრებდნენ ბირჟას და საქვეყნო საქმეებს ხელების ქნევითა და კისრის ძარღვების ბერვით, ერთობ ექსპრესიულად განიხილავდნენ. მღელვარე დრო იყო, ადამიანებს ემოციები მოსძალებოდათ. და უცებ, თითქოს ვიდაცამ ჩამრთველი გადაატრიალაო, ისე მოწყვეტით ჩამოწვა დუმილი, ჭადრის ფოთლების ჩურჩულსა და ბუზების ბზუილსაც გაიგონებდით. ბიჭების ბირჟამ — სკოლის მხარეს და კაცების ბირჟამ — ქუჩის გადაღმა, თითქოს ერთი სხეულიაო, ერთი მიმართულებით მიაპყრო გაშეშებული მზერა. „მშვეინარ მინდაძე“-მომესმა ყელიდან აღმომხდარი ჩახრინწული ხმა. მოდიოდა ქუჩაში მშვეინარ მინდაძე, თავის ღვთაებრივ სილამაზეში დარწმუნებული. ყველა თაობის მამრის აღტაცებული მზერა ელამუნებოდა მის სხეულს. მოდიოდა და ნეტარებდა. ტანთ ეცვა შავი მოკლე კაბა, იმდენად მოკლე, რომ მუხლებიც კი მთლიანად უჩანდა. მხრებზე ცისფერი ნაქსოვი ჯემპრი შემოტმასნოდა, იმდენად ღრმა დეკოლტეით, ისტორიის მანძილზე არასდროს არცერთ ჩოხატაურელ ქალს რომ არ გაუბედავს ჩაცმა. მართალია, ამ დეკოლტეში მშვეინარ მინდაძის ძუძუების მხოლოდ მცირე ფრაგმენტს თუ შეავლებდით თვალს, მაგრამ რა საჭიროა დანახვა, როდესაც იგრძნობა. და მისი მკერდის ღვთაებრიობას იმ წუთას ყველა მამაკაცი გრძნობდა ქუჩის ორივე მხარეს. მშვეინარ მინდაძეს ზედა ქუთუთოები წამწამებიდან წარბებამდე შაბიამნისფერად უელვარებდა, უძირო ცასავით, ქვედა ქუთუთოებისა და ღაწვების ფერი ძნელი აღსაწერია. ასეთი ელფერი მხოლოდ შეშინებული ქამელეონის კანზე თუ მინახავს — სხვა არაფერი მახსენდება. ლოყები მკვეთრი ვარდისფერი ფერ-უშარილით ჰქონდა აფორაჯებული, თვალების ირგვლივ მსხვილი შავი ხაზები ერკალებოდა, რომლებიც თვალის კუთხეში ერთდებოდნენ და საფეთქლისკენ სწორ ხაზად მიიწევდნენ — თითქოს ეგვიპტელი ფარაონის მაკიაჟის ოსტატმა შეღება მშვეინარ მინდაძე. „ეს არის მშვეინარ მინდაძე?“ — გავიფიქრე იმედგაცრუებულმა, ეს ხომ ინდაურს ჰგავს.

დამოუკიდებლობის მოპოვების ეიფორია და იდილიური ყოფა



დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე თვეში თავიდანვე ნახსენებები პოეტი პრეზიდენტი იარაღით დაამხეს. პრეფექტურას კიდევ ერთხელ გადაერქვა სახელი-ამჯერად ჩოხატაურის გამგეობა ეწოდა. პრეფექტი გაიქცა, პრეფექტურის თანამშრომლები ადგილზე დარჩნენ და ახლა უკვე ახალი ხელისუფლების ხელმძღვანელობით გააგრძელეს მუშაობა. „ჩოხატაურის მაცნეს“ კვლავ „ჩოხატაურის მაცნე“ ერქვა, მშვეინარ მინდაძის მხატვრული თხრობის ტალანტისათვის ფრთების გასაშლელად კი უამრავი ახალი ამბავი გაჩნდა. იმასაც ამბობენ, ჩოხატაურის ბატალიონის მეთაურმა, მაიორმა სოსოია ჟღენტმა, მას შემდეგ, რაც სამხედრო გადატრიალება მოხდა, მშვეინარ მინდაძეს დაჩოქილმა სთხოვა ხელიო. უნდოდა, თან წაეყვანა, რათა ერთად ებრძოლათ ეროვნული იდელებისათვის სამხედრო საბჭოს წინააღმდეგ, რომ კანონიერი პრეზიდენტი კვლავ თავის ადგილას დაებრუნებინათო, მაგრამ მშვეინარ მინდაძე დიადი ამბების თხრობისთვის იყო დაბადებული, დიადი საქმეებისთვის სისხლის დაღვრა მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ამიტომ მაიორ სოსოია ჟღენტს მარტოს მოუწია სამეგრელოს ტყეებში გაქცევა, სადაც ექსპრეზიდენტის ძალები იყვნენ დაბანაკებული. გაქცევის წინ კი მშვეინარ მინდაძეს დაუბარა, შენ აუცილებლად მოგიწევს დაწერო ჩემი საგმირო თავგადასავლების შესახებო.

მას შემდეგ მაიორ სოსოია ჟღენტის აჩრდილი დამოკლეს მახვილივით ეკიდა ჩოხატაურის მმართველობის თავზე. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ექსპრეზიდენტის ჯარებმა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო აიღეს და ქუთაისს მიუახლოვდნენ. ყველა ელოდა, რომ სოსოია ჟღენტის ძალები დღე დღეზე დაიკავებდნენ ქალაქ ჩოხატაურს. მას, მართალია, არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგრამ ჩოხატაურის მოქალაქეები იმხანად ასეთი ცნებებით არ აზროვნებდნენ. ცხოვრება კი ჰკარნახობდათ, რომ ჩოხატაურის აღებას შეიძლება საქვეყნო მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვანი იყო მაიორ სოსოია ჟღენტის პირად ომში, რომელიც, სხვათა შორის, უკვე ბატონი პოლკოვნიკი გამხდარიყო დაუღალავი ბრძოლისა და გამოჩენილი თავდადებისათვის.



ამ დროისათვის ელექტროენერგია უკვე მხოლოდ წარსულის ტკბილ მოგონებებშია შემორჩენილიყო. ალყაში მყოფი პატარა ქალაქი რადიომიმღებებს მისჯდომოდა და ასე ცდილობდა გაეგო, რა ხდებოდა ქვეყანაზე. რადიო ერთადერთი სუსტი ძაფი იყო, რომელიც დანარჩენ სამყაროსთან მაკავშირებდა. რადიო მღეროდა, რადიო ლაპარაკობდა, რადიო რადიოსპექტაკლებს გადმოსცემდა. რადიო იყო წარმოსახვითი კარი გარემოებებით შემოფარგლულ ყოფაში. რადიო იყო დასტური და მტკიცებულება იმისა, რომ სადღაც არსებობდა ფართო სამყარო, უამრავი ხმით. რადიო მაგრძნობინებდა, რომ არ ვიყავით უსახლვრო ოკეანეში ჩაკარგულ ციციქნა კუნძულზე. ან სულაც სადმე, თითქმის დაუსახლებელ პლანეტაზე რაღაც მანქანებით გადატყორცნილ პატარა ქალაქ ჩოხატაურში. მოკლედ, რადიო იყო სიცოცხლის წყარო. მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა: რადიოს ჭირდებოდა ელექტრო ბატარეები. ბატარეების მარაგებსა და ჩვენ შორის კი ჯარები ებრძოდნენ ერთმანეთს.

თუმცა მე მქონდა ველოსიპედის რამდენიმე დინამო, პორტატიული ელექტროსადგური, აი ის, ველოსიპეტის ბორბლის ბრუნვას მოძრაობაში რომ მოჰყავს და ხუთვოლტიანი საგზაო ფარნისთვის საკმარის ენერგიას გამოიმუშავებს. ეზოს გადაღმა, ტყის პირას, დღეე მიედინება. ჰოდა, რატომ არ უნდა ამეშენებინა პატარა ჰესი?

რიყის ქვების ჯგბირით კარგა მოზრდილი საგუბარი გავაკეთე, ხის ღარებით წყალი ველოსიპედის დინამოებზე დამაგრებულ ფრთებს მივუშვი და ესეც ასე! მუშაობს, დენი მაქვს. რადიო ლაპარაკობს.

ჩემდა სავალალოდ, ელექტროენერგია იმდენად სუსტი იყო, სახლამდე ვერ აღწევდა. მაგრამ არა უშავს. საგუბართანვე მოვეწყვე, ძელებზე ნათურები ჩამოვკიდე, რადიოსთვის სადგარი გავაკეთე. საკმაოდ მალე სინათლემ და რადიომ ბევრი ადამიანი მოიზიდა ჩემს სახელდახელო ბანაკში.

წინა ხანებში ბაზრიდან ბლომად თევზი მოვიტანეთ, წყალში რომ ჩაყარეს გასარეცხად, თევზების უმეტესობა ცოცხალი აღმოჩნდა. კარგა ხანს დიდ ტაშტებში მყავდნენ. დილა იწყებოდა ჭიდან კედროების ზიდვითა და თევზებისათვის წყლის გამოცვლით. მიკრო-



ჰესმა სულზე მომისწრო, თევზები საგუბარში გადავიყვანე. ჩემს წარმოსახვაში დღე და საგუბარი იქცნენ ჰესებისა და თევზსაშენების კასკადად, რომელიც მთლიანად ჰყოფნიდა მოზრდილი ქალაქის, ჩოხატაურის საჭიროებებს.

ხმები დადიოდა, რომ ჩოხატაურს მალე დაიკავედა ექსპრეზიდენტის ჯარი. ქალაქის გასასვლელთან სანადირო თოფებით შეიარაღებული გამგეობის თანამშრომლების პიკეტი მოაწყვეს. რამდენიმე უცხო, ავტომატით შეიარაღებული სამხედროც ერიათ. მოპიკეტეებს მალე მოსწყინდათ გზაზე დგომა. ჩემმა განათებულმა ბანაკმა ყველანი ფარვანებივით მოიხიდა და ასე გაეხდი ყველაზე მილიტარიზებული პუნქტის დამფუძნებელი 30 კილომეტრის რადიუსში.

გადიოდა დრო. ერთ მშვენიერ ღამით კი მოხდა ის, რასაც ყველა დიდი ხანი ელოდა. სოსო დაბრუნდა. არც ტანკით, არც ვერტმფრენით, არც ავტობუსით — უბრალოდ კბილებამდე შეიარაღებული ხალხის ჯგუფი ტყვიდან გამოვიდა და ჩემს ბანაკს მოადგა. ყოველგვარი სროლის, სისხლისღვრისა და კბილთა ღრჭენის გარეშე, ქალაქის დასაცავად იარაღსხმული მთელი ბიუროკრატია ტყვედ აიყვანეს. ცოტა არ იყოს სასტიკად ჟღერს „ტყვედ აიყვანეს“. წარმოიდგინეთ, თქვენ ხართ პოლკოვნიკი სოსო ჟღენტი, იარეთ ტყე-ტყე და მთა-მთა, მოადექით მშობლიურ ქალაქს, ხედავთ ტყის პირას სანადირო თოფებით შეიარაღებული თქვენი კლასელები, ნათესავეები, ნაცნობები წამოგორებულან რაღაც სასაცილო ფერადი ნათურების ქვეშ და რადიოს უსმენენ. რა უნდა ქნათ? ირგვლივ ომია, მაგრამ საკუთარ ახლობლებს ხომ ვერ დახოცავთ?! ამიტომაც მივიდნენ, ავტომატები მიუშვირეს და უთხრეს, თქვენ ახლა, ძმაო, სამხედრო ტყვეები ხართო. მაგრამ რა უნდა ექნა პოლკოვნიკ სოსო ჟღენტს? აძღენ ხალხს ტყე-ტყე და მთა-მთა ხომ ვერ ატარებდა, რომ ტყვედ წაესხა, ან სად უნდა წაესხა?! ამიტომ ასე შეთანხმდნენ: დამხვდურებს პურმარილი უნდა ეკისრებინათ ტყვეობიდან განთავისუფლების სანაცვლოდ. ცოტა გროტესკულია, დამეთანხმებით, მაგრამ ზუსტად ასე იყო, ერთ სიტყვასაც არ ვაჭარბებ. პოლკოვნიკ სოსო ჟღენტსა და მის რაზმს გამოსასყიდი საჭმელ-სასმელი აუტანეს, პრეზიდენტის მომხრეებმა და სამხედრო საბჭოს მომხრეებ-




მა იარაღები ძირს დააწვევს და მთელი ღამე ქეიფსა და სიმღერაში გაატარებს.

დილით პოლკოვნიკმა სოსო ჟღენტმა მოკრიფა ნაალაფარი თოფები და ავტომატები და ტყეს მისცა თავი. არავითარი ჰეროიკული ბრძოლები ქალაქ ჩოხატაურის დასაკავებლად აღარ ყოფილა. შეიძლება ეს პოლკოვნიკ სოსო ჟღენტის მთავარი გმირობაც კი იყო, საგმირო საქმეები კი მას მრავლად მოუგროვდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. თავდადებული და ერთგული კაცი იყო, სულ ბოლომდე იბრძოდა, სანამ პრეზიდენტი სამეგრელოს ტყეებში უცნობ გარემოებებში არ გარდაიცვალა.

დილით, როცა რადიოსთან დაებრუნდი, სუფრის ნამუსრევში თევზის ფხებიც ბლომად ეყარა. ჯარისკაცებს ჩემი თევზებიც ამოეყვანათ საგუბრიდან და ცეცხლზე შეეწვათ. მხოლოდ ერთადერთი, გულადმა მოტივტივე თევზი ვიპოვე წყალში, ფარფლებს ოდნავდა ამოძრავებდა. ამოვიყვანე და დინებაში გაუშვი, ვიფიქრე, იქნებ მოჩუხჩუხე წყალი ურჩევნია, ეგებ გადარჩეს და გაცუროს.

გაკა ათწლეულები და ხალხი დაიწყებს ეკოლოგიაზე ლაპარაკს. რომ გადავშენდებით და ვერ გადავრჩებით, თუ ცივილიზაცია ენერგეტიკულ შიმშილს ეკომეგობრული ტექნოლოგიებით არ დაიკმაყოფილებს. ეგ მე არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ბავშვური აზირების გამო აგებულ, სასაცილო სათამაშო ჰესზე მიერთებულ, მბჟუტავ ნათურებს შეუძლიათ სიცოცხლე გადაარჩინონ, თუ ისინი იმ სახეებს ანათებენ, რომლებისთვისაც სროლა არ შეიძლება.



ირაკლი ლომოური



„...სუვიერო ჩიფიქრე! სუვიერო ჩიფიქრე!“ ხეძი მუხე „ნანძსსხვიო-რეკუმენცური“ მთხრეზმა (ჩიფიქრეოთ „ვხსა - ნანძსსხვიო-რეკუმენცური მთხრეზმა ჭნაჭრეჩური ხეკრეოთ მუხრეზხიზმა ჭნეჩეკრეჭრეოთ მუკე რხეზხი“ - რეოხრე ვო რანძმაქესა ჭნ ვაჭხ რეოქრეოთ რეოქრე.)

მთხრეზმა „ნანძსსხვიო-რეკუმენცური“ იძიჭრემა, რეძ ყუქრეოქრეო, რეფე რხრეკესკერეს ჩრეჩეჭხს რეჭხა, ნამქრეოქრეოთ ანუ რეკუმენცური, აქხრეოქრეო აშხეკე ვი - მთხრეო ვძიჩრეხი (ხიქი ჭნ ვეკე), მთიო რხიოქრეოთ, აქრეჩრეხი ჭნ ვანეჩრეხი - ვამეკენიქრეო, რეხე იკე, მხეჭვრეოქრეო, ნანძსსხვიოთ. მთხრეზხიზმა მთხრეო მქოთხეკრეს ვეკეფხე რეკუნეჩრეოქრეო ავრეკრეჭრეოთ რანძ რეო რხრეკესკერეოთ ვანხეჩრეოქრეოქრეო ჩრეჩეჭხი.

მთხრეო, რეძ მთხრეზმა კრეჭრეოქრეო რეოქრეოქრეო ჭნ მქოთხეკრეს ნამეკრეოქრეო ქრეხეხე ნეოქრეოთხეს - რეკუნეჩრეოქრეო ავრეკრეჭრეოთ მესხეხე ნანძრეკუნეო მქოქრეძხს, რეფე, რანძმეჩრეოქრეო ვან, სანო-რეკრეოქრეო მნეძხრეოქრეოქრეო...

„ სურვილი ჩაიფიქრე! სურვილი ჩაიფიქრე!“

(წახმოსახვით-დოკუმენტუმი მოთხრობა)*

*განსაყოფიერებელი მაცრობის ვის რისმსძღვ. ნილი ბიკოაყროს. მაცროს ჯყყიას.
ნათის მხანრსძღვ რას ანხილონყყოლს ჰროიქყის ყეყოს მონანნილოდს*

დელოფლისწყაროში, სასტუმრო „ავტოგრაფის“ აივანზე გოგო
და ბიჭი გამოვიდნენ.

ლამის ორი საათი ზღებოდა. რაღაცნაირი, მყუდრო სიჩუმე იდგა.
გოგომ ცაში აიხედა:

— რამდენი ვარსკვლავია!

ბიჭმაც აიხედა, თქვა:

— თან რამხელები!

და უეცრად ორივემ ერთდროულად შესძახა:

— ვარსკვლავი ვარდება! სურვილი ჩაიფიქრე! სურვილი ჩაიფიქრე!

წამით ორივე გაჩუმდა. მერე ბიჭმა ჩაილაპარაკა:

— იქნებ ეგ ვარსკვლავი ადამიანია?

— მეც ბრედბერის ასტრონავტი გამახსენდა... რა უცნაურია, არა?

— მიუგო გოგომ.

— წაკითხული გაქვს „კალეიდოსკოპი“? — ლამისაა სიხარულით

*„წარმოსახვით-დოკუმენტური“ მოთხრობა ნიშნავს შემდეგს: ყველაფერი, რაც არხილო-
სკალოში განხორცილებულ პროექტს ეხება, ნამდვილია ანუ დოკუმენტური, აღწერილი
ამბავი კი — მთავარი გმირები (ბიჭი და გოგო), მათი ურთიერთობა, ფიქრები და განც-
დები — გამოგონილი, ესე იგი, მხატვრული, წარმოსახვითი (ავტ. შენიშვნ.).



შესძახა ბიჭმა, — და რა არის უცნაური?

— რა ვიცი, ყველაფერი... — თქვა გოგომ.

— ისე, რო დაფიქრდეს კაცი, მართლა უცნაურია, ერთად დავინახეთ ვარსკვლავი, ერთად გაგვანსენდა ბრედბერი, ერთად... — ბიჭმა სიტყვა არ დაამთავრა, წამით შეეყოვნდა და მერე გააგრძელა, — ხვალ საღამოს კი უნდა დავშორდეთ, ჩვენ-ჩვენ გზაზე წავიდეთ...

— უკვე დღეს საღამოს... არადა, ამ საღამოს გაეციანით ერთმანეთი... — ჩაილაპარაკა გოგომ.

— ერთი ნახვით შეეყვარების გჯერა? — უცებ ჰკითხა ბიჭმა.

— შენ? — გოგომ კითხვა შეუბრუნა.

ბიჭი დაფიქრდა, თითქოს სიტყვებს არჩევსო, ბოლოს თქვა:

— არასოდეს მჯეროდა, მაგრამ დღეს... აღარ ვიცი... უცნაური დამეა... და უცნაური მწვანე თვალები გაქვს... — ბიჭი გაჩუმდა წამით, გააგრძელა, — მწვანეზე უფრო მწვანე...

— მწვანეების საწინააღმდეგოდ რამე გაქვს? — ღიმილით იკითხა გოგომ.

— მართალი გითხრა, ევროპელი „მწვანეები“ არ მიყვარს, — ღიმილითვე მიუგო ბიჭმა, — სპეკულირებენ ეკოლოგიურ პრობლემებზე... პოლიტიკანობენ...

— მოიცა, შენ იმ ჟურნალში არ მუშაობ, „საქართველოს საოცარი ბუნება“ რომ ჰქვია?

— დიახ, დიახ, — მიუგო ბიჭმა, — პროსტა იმიტომ ვარ მანდ, რო ბიძაჩემია მთავარი რედაქტორი.

— აა, ესე იგი, ნეპოტიზმის მსხვერპლი ყოფილხარ, — გაეცინა გოგოს.

ბიჭსაც გაეცინა. მაგრამ არაფერი თქვა. გოგომ გააგრძელა:

— ხვალ როგორი რეპორტაჟის დაწერას აპირებ?

— ზომიერად აღტაცებულის, — ირონიული ტონით უპასუხა ბიჭმა, — გაეროს განვითარების ფონდმა დააფინანსა არხილოსკალოს პროექტი და როგორ არ შევაქო და არ ვადიდო?.. — ბიჭი გაიკრიჭა, მერე კი სერიოზულად გააგრძელა, — მე თუ მკითხავ, გრანტიჭამიობის ამბავი იქნება ეგეც!

ამის გაგონებისას გოგო ისე შეირხა, თითქოს სილა გააწნესო.



— სანამ რამეს იტყვი ან დაწერ, მეგობარო, იქნებ გაარკვიო, რა ხდება?

— და რა ხდება რო? — მიამიტურად, თავის მოკატუნებით მიუგო ბიჭმა.

გოგოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ თავი გააქნია, თითქოსდა სინანულით, და კარისკენ მიბრუნდა.

— მოიცა, არ წახვიდე! რა გეწყინა?

— უფრო კაი ტიპი მეგონე, — ცივად უთხრა გოგომ, — გია მასზე მაგას როგორ ამბობ, გრანტიჭამიააო?!

— გია მასი ვინაა?

— გია მასიც არ იცი და ამ პროექტზე რეპორტაჟს წერ?!

— მოიცა, მოიცა, — შემრიგებლური ტონით უთხრა ბიჭმა, — ვიხუმრე, რა იყო... ეხლა ჩამოვედი... მითხარი და გავიგებ...

გოგო დაფიქრდა. მერე თქვა:

— ხვალ გეტყვი. გაგაცნობ.

აივნის კარი გააღო და სასტუმროს ჰოლში შევიდა.

„რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრის ინსტიტუციური განვითარება არხილოსკალოში“ (რეპორტაჟი) — ლუკამ პროექტის ოფიციალური დასახელება ლეპტოპში სათაურად აკრიფა და გაჩერდა. სიგარეტს მოუკიდა (ამ დროს, დანებებული ჰქონდა). ერთ დღეში უნდა დაეწერა საჟურნალო წერილი. ეკრანზე არხილოსკალოში გადაღებული ფოტოები გაშალა. მთავარმა რედაქტორმა მაღალი ხარისხის კამერა გაატანა და ფოტოები საოცრად მკაფიო და მოცულობითი გამოვიდა. სურათების თვალყურისას აღმოაჩინა, ყველაზე მეტი თეოს ფოტოა. გოგოს თეო ერქვა... გონებაში გახსენება დაუტრიალდა...

არხილოსკალოში საჩვენებელი ნაკვეთის მფლობელის, ქალბატონი ნელის სახლში იხსდნენ გადახურულ აივანზე, გია მასს ელოდნენ.



თორმეტიოდე კაცი იქნებოდა. ლუკამ დრო იხელთა, თეოს მიუჯდა და ხმადაბლა უთხრა:

— ხო დამპირდი, გეტყვიო!

— გითხარი, გაგაცნობ-მეთქი! შენი თვალით ნახავ. და მოუსმენ. ცოტა მოითმინე. მალე მოვა.

— მოიცა, მოიცა, რაღაც მაინც მითხარი, მთავარი, აზრზე რომ მოვიდე. რას აკეთებთ, რითი ჯობია თქვენი მიდგომა ჩვეულებრივს?

— გაა მასი უკეთ გეტყვის.

— თეო, შენ რატომ ვერ მეუბნები? რა, სექტაში ხომ არ ვართ? აუცილებად გურუმ უნდა ილაღადოს ჭეშმარიტება?

თეომ ამოიოხრა, დაღლილი ხმით უთხრა:

— კარგი, ლუკა, მთავარს გეტყვი მოკლედ, როგორც მესმის, მაგრამ ვიცი, არ მიიღებ!

— რატომ? გასხვიოსნებული არ ვარ?

— რა შუაშია გასხვიოსნება! ნუ მაიმუნობ! — თეოს შეეტყო, რომ მართლა გაღიზიანდა. საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის მერე უთხრა ცივად, — ლუკა, მისმინე, ამ მიდგომაში მთავარია ნიადაგის გაცოცხლება, ეკოსისტემის, ტყე-ბაღის შექმნა, სადაც მიწა თავისით ირწყვება, მცენარეები ერთმანეთს ეხმარებიან, კი არ...

— მოიცა, მოიცა, — გააწყვეტინა ლუკამ, — რას ნიშნავს, თავისით ირწყვება? მერე, ტყე-ბაღი რას ნიშნავს? თუ ტყეა, ბაღი ვერ იქნება, თუ ბაღია, ტყე ვერ იქნება, ეგრე არაა?

— ხო გითხარი, არ მიიღებ-მეთქი. ჯერ უნდა გაერკვე, მთლიანობაში აღიქვა, ჰოლისტიკურად!

— ჰოლისტიკურად?... ჰოოო...

ლუკამ რატომღაც მუბლი შეიჭმუნა, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. თეოს თვალეებში ჩახედა. თეომ არ შეიმჩნია, გაცხარებით გააგრძელა:

— არც იმას მიიღებ, რომ გლობალური დათბობის პირობებში ერთადერთი, რაც ბუნებას, რაც ნიადაგს გადაარჩენს, ჩვენი მიდგომაა! არც იმას, რომ მიწა საერთოდ არ უნდა მოხნა და არც უნდა დაბარო...

— მოიცა, მოიცა, გლობალური დათბობა რეალობაა? იქნებ ფეიკია? მერე, თუ არ მოხნავ, როგორღა დათესავ? — გააწყვეტინა ლუკამ.



— წიგნი წაიკითხე, — მოუჭრა თეომ.

— იცი რა, სოფლის მეურნეობაში ვერ ვერკვევი და არც არასოდეს მიცდია გარკვევა. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ლუკამ, — არასოდეს მიტაცებდა სოფლის ცხოვრება. ბუნება მხოლოდ მის ბუნებრივ, ველურ მდგომარეობაში მაინტერესებს. რატომ გამომიშვა რედაქტორმა მაინცდამაინც მე ამ დავალებით სოფელში, ვერ გამოგია...

— ჰოდა, თუ აქ ხარ, ბარემ დაელაპარაკე გია მასს, — მიუგო თეომ, — იქნებადა გაერკვე რაღაცაში...

— რეპორტაჟის დაწერა გარკვევის გარეშეც შემიძლია, — უთხრა ლუკამ, — უბრალოდ მიკვირს, ამდენი თბილისელი რატომ ხართ ამ პროექტში... რამდენი ხართ ზუსტად?

— არხილოსკალოში რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრის სასწავლო ოთხთვიან პროექტში ვართ თერთმეტი თბილისელი და თერთმეტი აქაური. — მშრალად, ოფიციალურად, ლამისაა ხისტად უთხრა თეომ.

— არადა, მეგონა მხოლოდ სოფლელები იქნებოდნენ, — ჩაილაპარაკა ლუკამ, — მინდა გავიგო, რატომ ხართ აქ ჩემხელა თბილისელები? რა თემაა? რა, აგრონომობა გინდათ? სოფელში ცხოვრება?.. — ლუკა დაიმანჭა, — სოფლიდან ხომ ყველა გამოიბის!

თეომ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, აივანზე გამოჩნდა ის, ვისაც ელოდნენ. ყველა წამოიშალა, თეო წამოხტა, გაქროლდა, მიესალმა სიყვარულით... გია მასი აღმოჩნდა ბრვე, ხმელი, ჭადარაწვერიანი, გამელოტებული, ოდნავ წელში მოხრილი, ორმოცდაათს გადაცილებული, მომღიმარსახიანი კაცი.

ცოტა ხნის მერე, როცა გია მასმა რაღაც სათითაოდ უთხრა ხმადაბლა იქ შეკრებილებს (ლუკას არ ესმოდა, მოშორებით იდგა, გაიფიქრა, ალბათ, დავალებებს აძლევსო), აივანი დაცარიელდა. თეომ ლუკას ხელი ჩაავლო, კაცთან მიიყვანა, წარუდგინა:

— გია მას, ეს ლუკაა, ჟურნალ „საქართველოს საოცარი ბუნების“ კორესპონდენტი, დღევანდელ ამბავზე რეპორტაჟი უნდა დაწეროს.

გია მასმა ბიჭს გულითადად გაუღიმა და უთხრა:

— კეთილი... დაბრძანდით... — მაგიდას მიუსხდნენ. გია მასმა ლუკას მიმართა, — რეგენერაციული აგროკულტურა გაგიგიათ? ანდა



პერმაკულტურა? თუ იცით, რა არის?

ლუკა მოელოდა, რომ გია მასს ხმაც ბრვე აღნაგობის შესაფერისი ექნებოდა, ბუხუნა, მაგრამ მოულოდნელად აღმოაჩნდა ჩუმი, სუსტი. „გულისყურით უნდა უსმინო, რომ გაუგო“, — გაუელვა.

— არა, არ ვიცი. — გულახდილად მიუგო და თეოს გახედა, — ამ თემაზე ლაპარაკი კი დავიწყეთ, მაგრამ ვერაფერი მოვასწართ... ჯერ-ჯერობით.

თეომ ცალკებად, მჟავედ გაიღიმა. გია მასმა რაღაც წიგნი აიღო მაგიდიდან, მიაწოდა ლუკას და უთხრა:

— ეს თქვენ. აქედან გაიგებთ.

ლუკამ გამოართვა, დახედა. წიგნს ეწერა: „გია რაზმაძე. რეგენერციული აგროკულტურა. სახელმძღვანელო“.

— დღეს ამ წიგნის პრეზენტაციაც იქნება, პროექტის დახურვის გარდა. ყველას დაგვირიგებენ, პროექტის მონაწილეებს, სერტიფიკატებთან ერთად, — დაუმატა თეომ.

— დიდი მადლობა, მაგრამ იქნებ მთავარი მითხრათ მოკლედ? — ლუკამ გია მასს მიმართა და თან ისევ თეოს გახედა, — ერთ დღეში უნდა ჩავაბარო წერილი რედაქტორს, წიგნის წაკითხვას, უბრალოდ, ვერ მოვასწრებ... და საცდელი ნაკვეთი მინდა ვნახო, ფოტოები გადავიღო... გია მასმა საათს დახედა.

— კეთილი. ნახევარ საათში შორენა უნდა შემოგვიერთდეს, წიგნის გამომცემელი. დაველოდოთ. ერთად გაჩვენებთ ნაკვეთს. მანამდე კი ვისაუბროთ...

ბიჭმა ჩანთიდან ციფრული ჩამწერი ამოიღო, გია მასს ჰკითხა:

— რომ ჩავიწერო, ხომ შეიძლება?

— კი, რა თქმა უნდა... თეო, იქნებ ბალახის ჩაი მოგვიტანო, ბარამბოს ნაყენი, თუ არ შეწუხდები?

— ახლავე!

თეო წამოფრინდა, სამზარეულოსკენ გაქროლდა. ლუკამ თვალი შეფარულად გააყოლა. გია მასმა ოდნავშესამხვევად ჩაიღიმა.

ნაყენი ეტყობა გამზადებული ჰქონდათ, რადგან თეო ეგრევე მობრუნდა ლანგრით ხელში, რომელზეც შუშის ჩაიდან და ფინჯნები ეწყო. ნაყენი ჩამოასხა და დაჯდა. ლუკამ ბალახის სასიამოვნო ოხ-



შივარი იგრძნო, ჩაი ხარბად მოსვა (რატომდაც ძალიან სწყუროდა) და თეოს მაღლიერებით გახედა. თეომ თავი დახარა.

— მოდი, დავიწყეთ, — თქვა გია მასმა.

— რას იტყვით გლობალურ დათბობაზე? — ლუკამ ჩამწერი ჩართო. გია მასი დაფიქრდა, სათქმელს თავი მოუყარა გონებაში, დაიწყო:

— ვეცდები მოკლედ ვთქვა... არ მინდა იმის მტკიცებაზე მოვცდეთ, გლობალური დათბობა ნამდვილად არსებობს, თუ არა. და თუ არსებობს, ადამიანის ბრალია, თუ არა, გამოსწორებადია, თუ არა. მეცნიერების სახელით იმდენი ტყუილ-მართალი გვაქვს მოსმენილი, რომ ძნელია ენდო ყველაფერს, რასაც, თუნდაც, „სანდო წყაროები“ გვეუბნებიან. მაგრამ არსებობს ისეთი რაღაც, რასაც არავინ უარყოფს და ისეთიც, რასაც ჩვენი თვალთ ვხედავთ: ტემპერატურა იწვევს, მყინვარები და პოლუსების ყინულის საფარი დნება, დედამიწის სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით ნახევარი უკვე განადგურებულია ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის მეთოდების გამოყენების შედეგად და ყოველწლიურად კიდევ, გაეროს მონაცემებით, 12 მილიონი ჰექტარი იკარგება სამუდამოდ იმავე მიზეზით. ეს პრობლემა საქართველოსთვისაც აქტუალურია. ნიადაგი ჩვენთანაც აქტიურად დეგრადირდება და, შესაბამისად, მოსავლიანობაც იკლებს. შედეგად, ხალხი ტოვებს სოფელსაც და ქვეყანასაც... არადა, გამოსავალი არსებობს და მას ყველაზე მეტად სტერეოტიპების ტყვეობიდან გამოღწევა და ნამდვილი ცოდნა სჭირდება.

გია მასმა პაუზა გააკეთა. ლუკამ სასწრაფოდ ახალი კითხვა დაუსვა, ვაითუ კიდევ გააგრძელოსო.

— რას იტყვით რეგენერაციულ აგროკულტურაზე?

— რეგენერაციული აგროკულტურა ესაა მიდგომა, რომელიც შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს წარმოადგენს. მისი მთავარი განმასხვავებელი ე.წ. მეცნიერული და პროგრესული მიწათმოქმედებისგან ისაა, რომ ინდუსტრიული მიწათმოქმედების მეთოდები გარანტირებულად იწვევს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის, ჰუმუსის განადგურებას, რეგენერაციული აგროკულტურის მეთოდები კი უზრუნველყოფს ჰუმუსის ფენის დაცვას და იმასაც, რომ ის ყოველწლიურად ცოტ-ცოტა მატულობს. მთავარი საიდუმლო ბუნებაზე დაკვირვება



და მისი პატივისცემაა. ადამიანის ჩარევა აუცილებლად ცვლის გარემოს. ხშირად ამ ჩარევის გამო ბუნებაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პროცესები ნადგურდება. მაგრამ შესაძლებელია ისეთი ჩარევაც, რომ ზოგიერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პროცესი შევინარჩუნოთ და გავააქტიუროთ კიდევც.

— და რატომ, ან როგორ ანადგურებს ინდუსტრიული მიწათმოქმედება ჰუმუსს? — ლუკამ კითხვა დასვა და გულის სიღრმეში თავისი თავისა გაუკვირდა, აღმოაჩინა, რომ თურმე მართლა დაინტერესდა ამ თემით.

— ჰუმუსის განადგურებას იწვევს ნიადაგისთვის ჭრილობის მიყენება, ღრმა მოხვნა, მიწის ამობრუნება, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების (პესტიციდების და პერბიციდების) და „სინთეტიკური საკვების“, ანუ ქიმიური სასუქების გამოყენება, ნიადაგის მოშიშვლება, გამოშრობა და გადახურება... საქმე ისაა, რომ ჰუმუსის მთავარი შემადგენელი ნიადაგში მცხოვრები ბაქტერიები, სოკოები, ჭიაყელები და სხვა ცოცხალი ორგანიზმებია. ისინი ორგანულ ნარჩენებს შლიან ისეთ ნივთიერებებად, რომელთა ათვისებაც მცენარეებს შეუძლიათ და ამაში თავადაც ეხმარებიან. თუ გვინდა, კარგი მოსავალიც მივიღოთ და ნიადაგში ჰუმუსის შემცველობაც გავზარდოთ, ამ ცოცხალ ორგანიზმებს ცხოვრების ხელსაყრელი პირობები უნდა შევუქმნათ, მათ კი სჭირდებათ სიბნელე, სინესტე, სიგრილე და ისეთი ბუნებრივი გარემო, რომელიც პესტიციდებით არაა დაბინძურებული. ამ პირობების შექმნა რეგენერაციული აგროკულტურის მთავარი მიზანია, კარგი მოსავლის მიღებასთან ერთად. მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ ამ ყველაფერს? ამ კითხვაზე სრული პასუხის გაცემა მოკლედ, ორიოდ სიტყვით შეუძლებელია. ამისთვის წიგნი უნდა წაიკითხოთ. ჩვენი პროექტის მიზანია არხილოსკალოში ასეთი მოდელის შექმნა, ამ ცოდნის პრაქტიკული გავრცელება.

გია მასი გაჩუმდა. ლუკამ ჩამწერი გამოართო, ჩანთიდან კამერა ამოიღო და გია მასს უთხრა:

— დიდი მადლობა... ფოტოს გადაგიღებთ, თქვენი წიგნი ისე დაიჭირეთ, კადრში რომ გამოჩნდეს.



სანამ ფოტოს იღებდნენ, აივანზე ახალი ადამიანები გამოჩნდნენ — გამოძცემელი შორენა, პროექტის მენეჯერი მაგლა და კიდევ რამდენიმე კაცი... ცოტა ხანში ოთხი ადამიანი ნაკვეთის სანახავად დაიძრა. სახლის ეზოში ლუკა და თეო თითქოს ერთად მიდიოდნენ, მაგრამ, სინამდვილეში, ცალ-ცალკე. თეო წინ მიაბიჯებდა, თითქმის გია მასის გვერდით, უკან ლუკა მიჰყვებოდა. ლუკა და თეო ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ. „კიდევ რამე ვაწყენინე?“ — ფიქრობდა ლუკა, — „არ მელაპარაკება?“

გია მასი შეჩერდა. ყველა მის გარშემო შეგროვდა. ლუკამ ჩამწერი კისერზე ჩამოიკიდა, ახლოს მივიდა და ჩართო. გია მასმა დაიწყო:

— სანამ სადემონსტრაციო ნაკვეთში შევალთ, ჯერ ბალი ვნახოთ. აქ ყოველთვის მომყავს ხოლმე სტუმრები... — გია მასმა ხეს ხელი შეახო, თითქოს მოეფერაო. ლუკამ ჩანთიდან კამერა ამოიღო სასწრაფოდ, კადრის გადაღება მოასწრო, — აი, ეს ფსტაა, თესლით გავახარეთ. ხომ ხედავთ, თავს მშვენივრად გრძნობს და კარგადაც ასხია. ეს კულტურა ამ მხარისთვის, ნახევრად უდაბნოს კლიმატში, მთავარ შემოსავლის წყაროდ შეიძლება იქცეს...

— ფსტა არც გამიგია, — ლუკამ თეოს უჩურჩულა.

— ფსტა იგივე ფისტაშკაა. — მოკლედ მოიგო თეომ.

— აა, ეგ კი გამიგია, — თქვა ლუკამ და გაიფიქრა: „ესე იგი, მელაპარაკება!“

ამასობაში გია მასი ექსკურსიას განაგრძობდა.

— ეს კი გოჯი-ბერია. ხედავთ, რომ კარგად ასხია, თანაც ყვავის... მორწყვის გარეშეც კარგად გრძნობს თავს, თუმცა ხანდახან მორწყვა ძალიან მოუხდებოდა...

— მორწყით მერე! — ლუკამ წამოისროლა.

გია მასმა გადახედა და დინჯად უპასუხა:

— სოფელში სარწყავი წყალი საერთოდ არაა. არხების სისტემა მოშლილია, კომუნისტების დროს რომ იყო, სოფლის კუთვნილი მიწები მაშინ ირწყვებოდა, მაგრამ მერე მიწები ამოიღეს და გააქრეს... სასმელი წყალიც კი სოფელს სამ დღეში ერთხელ მიეწოდება 4-5 საათით...

— მცენარე უწყლოდ როგორ ძლებს?! — გაოცდა ლუკა.



— დააკვირდით, ხეების ქვეშ ყველგან ბალახია, — თქვა გია მასმა, — ბალახში კონდენსატი გროვდება, დღისითაც და ღამითაც, და გამოდის, რომ მიწა თავისით ირწყვება...

— კონდენსატი? რა გაგებით? რას გულისხმობთ? — ჰკითხა ლუკამ.

— ესაა წყლის წვეთები, ჰაერიდან რომ კონდენსირდება. ცვარ-ნა-მი ღამის კონდენსატია. ჰაერში საკმარისად ბევრი წყლის ორთქლია, რაც უფრო ცხელა, მით მეტი. აუცილებელია არსებობდეს ტემპერატურათა სხვაობა ატმოსფეროსა და ნიადაგის ზედაპირს შორის, რომ ორთქლი შედარებით ცივ ზედაპირზე მოხვედრისას წყლის წვეთებად იქცეს. ბალახის საფარი მიწას აგრილებს. 5 გრადუსით და მეტით განსხვავება ჰაერსა და მიწის ზედაპირს შორის უკვე საკმარისია კონდენსირების, ანუ თვითმორწყვის პროცესი რომ დაიწყოს... ფოტოსინთეზზეც უნდა ითქვას, ეს პროცესი კარგად რომ გაიგოთ, მაგრამ ახლა არ დავიწყებ, წიგნში ნახეთ... მოკლედ, მთავარია, მიწას ბალახის მრავალფეროვანი საფარი ჰქონდეს!

— არადა, გამიგია, რომ ბაღში უნდა მოსპო ბალახი, ხეებს უშლისო! — ჩაილაპარაკა ლუკამ.

— კი არ უშლის, ეხმარება, სინამდვილეში... ბალახს არ ვებრძვით. ის ნიადაგის ზედაპირსაც აგრილებს და „იმერული ცხვრების“ საკვებიცაა. ეს ცხვრები გაეროს ფონდის გრანტით შევიძინეთ. სამი დედალია და ერთი მამალი. ჩვეულებრივზე მომცროები არიან, მაგრამ ძალიან სწრაფად მრავლდებიან. წელიწადში ორჯერ მაკობენ და თითო ჯერზე ორ ბატკანს შობენ. და ჩვენთან უკვე მოიგეს!

— მართლაც? მაჩვენეთ! — ღამისაა კატეგორიული ტონით მოითხოვა ლუკამ.

— კი ბატონო, ბოსელში შევიდეთ, — ღიმილით უთხრა გია მასმა. იქვე მღვარი ფარდულისკენ წაიყვანა. ბოსელში მართლაც ნახეს ცხვრები და ორი საყვარელი კრავი. ლუკამ სურათები გადაუღო. გამოვიდნენ.

— სანამ ნაკვეთში შევალთ, კიდევ გაჩვენებთ რაღაცას, — განაგრძო გია მასმა, -

აი, ეს ბაღის ფშატია, მსხვილნაყოფა ჯიში. ესეც თესლით გა-



გამრავლეთ. ძალიან კარგად იტანს სიცხეს და სიმშრალეს. ფშატებზე ვაზია აშვეებული. ერთმანეთს ხელს არ უშლიან, პირიქით, ეხმარებიან რთული პირობების გაძღებაში. ეს ვაზის უცნობი ჯიშია. გარეჯში ერთ მშრალ ხევში ვიპოვე დიდი ხნის წინათ და წამოვიღე კალამი. აი, ამ ახალგაზრდა ბალზე კი კახური საფერავია აშვეებული. ხედავთ, რომ სრულიად ჯანმრთელია და კარგადაც ასხია. არადა სულ ორი წლისაა. ერთხელაც არ შეწამლულა. უბრალოდ, არ სჭირდება.

— ეს როგორ? — არ დაიჯერა ლუკამ, — შეწამვლის გარეშე ვაზი ხომ არ მოდის! ბიძაჩემი მეუბნებოდა!

— ეს მცდარი სტერეოტიპია, — მშვიდად მიუგო გია მასმა, — ერთადერთი, რასაც ვაზისთვის და სხვა მცენარეებისთვის ვაკეთებთ, ისაა, რომ ბაღში ვუშვებთ იხვებს...

— იხვი რა შუაშია?! — შესძახა ლუკამ და გაუელვა: „ხომ არ მაშაყირებს?!“

— არა, არ ვზუმრობ, — გია მასი თითქოს მიუხვდა ლუკას და განაგრძო, — აი, შეხედეთ, ამ ეზოში ოცზე მეტი იხვი დაბაჯბაჯებს. ლოკოკინებს და სხვა მავნებლებს მიირთმევენ და თავიანთი სკინტლით ააქტიურებენ ჰუმუსის წარმოქმნის პროცესს... მაღლარი ვენახის კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, ვენახის ქვეშ მშვენიერი საძოვარია. აქვეა ბროწეულიც, მოჩრდილულ ადგილებში თხილი, ლელვი, უნაბი, ჭანჭური, თუთა... ძირითადად ისეთი მცენარეები, რომლებიც ამ გარემოში დახმარების გარეშეც ახერხებენ სიცოცხლეს და მსხმოიარობას.

— სიზმარსა ჰგავს ეს ყველაფერი, — ლუკამ თეოს ჩასჩურჩულა და თანაც, ვითომ სასხვათაშორისოდ, ფოტო გადაუღო, — ბოლომდე ვერ ვიჯერებ...

თეომ გაუღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მავთულის ბადით შემოდობილ ნაკვეთს მიაღვინა. მზე სასტიკად აჭერდა.

— თეო, გინდა ქული? ბეისბოლკა მაქვს ჩანთაში, — ხმადაბლა შესთავაზა ლუკამ.

— არა, არ მინდა, შენ დაიხურე, — მიუგო თეომ.

— მაშინ მეც არ მინდა, — მოუჭრა ლუკამ.

გია მასმა ნაკვეთის სიღრმეში შეიყვანა, გაჩერდა და თქვა:



— ამ ნაკვეთის ფართობი 3000 კვადრატული მეტრია. აქ საბოსტნე გვაქვს დატოვებული. აქვეა სანერგეც: საბოსტნეში პატარა სათბურის მსგავსი კონსტრუქცია მოვაწყვეთ, რომელსაც ნარმით...

— ნარმი რა არის? — გააწყვეტინა ლუკამ.

— ბიაზი, — მიუგო გია მასმა, — ბიაზით გადავხურავთ, მიწაზე მდინარის ქვიშას დავერით და ისეთ მცენარეებს დაეაკალმებთ, რომლებიც ამ გარემოში თავს კარგად გრძნობენ: თუთას, ლელვს, ბროწეულს, ვაზს, გოჯის... ნაკვეთის დანარჩენი ნაწილი, ექვს სექტორად გვაქვს დაყოფილი, მავთულის ღობეების მეშვეობით (ესეც ნაყოფიან პროექტის ფარგლებში). ცხვრები ჯერ პირველ სექტორში მოძოვენ ბალახს, იქ იქამდე გავაჩერებთ, ნიადაგი რომ არ მოაშიშვლონ და მერე მეორე სექტორში გადავუშვებთ, მერე მესამეში, და ა.შ. ამასობაში პირველ სექტორში ბალახი ისევე ამოსული იქნება და ძოვების ციკლი თავიდან დაიწყება. ამას როტაციული ძოვება ჰქვია.

— ეს თქვენ გამოიგონეთ? — დაახეთქა უცებ ლუკამ და იმავე წამს ინანა, მიხვდა, სულელური, ბავშვური კითხვა დასვა...

— მე არაფერი გამომიგონია, — ღიმილით მიუგო გია მასმა, — მე, უბრალოდ, წავიკითხე ყველაფერი, რაც ამ მიდგომას ეხება, მასანობუ ფუკუოკათი დაწყებული, ერნსტ გიოტჩით დამთავრებული და ამოვკრიბე, რაც ჩვენ გამოგვადგება... თქვენც შეგიძლიათ წაიკითხოთ, ფუკუოკას „ჩალის ღერის რევიოლუცია“ ქართულად უკვე გამოვიდა.

— წავიკითხავ, — უთხრა ლუკამ და თავისდამოულოდნელად იგრძნო, რომ არ ტყუის, მართლა წაიკითხავს. „რა მეტაკა?“ გაუელვა.

— კეთილი, — გაულიმა გია მასმა და განაგრძო, — აი, შეხედეთ, ღობეების გასწვრივ ხეები გვაქვს დარგული. ზოგი მოსავლის მოძცეში ხეა, რომელზეც ვაზიც გვაქვს შეშვებული, ნაწილი კი საკაფი ხეებია. ანუ ხეები, რომელთა ახალ ტოტებს ჩამოვასხნიპავთ ხოლმე და ცხვრებს ვაჭმევთ. ეს ხეები გარემოსაც აგრილებენ და მათ ქვეშ ბალახიც ბევრად უკეთ იზრდება, ვიდრე „ტიტველ მიწაზე“... მოკლედ ესაა. ვრცლად კი წიგნში შეგიძლიათ წაიკითხოთ. ამ ყველაფრის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ ადვილად მოსავლელი და საკმაოდ შემოსავლიანი მეურნეობის მოდელია. და მისი განმეორება თავის მი-



წაზე ყველას შეუძლია, ვინც კი მოინდომებს. მთავარია, გაერკვეს და სცადოს.

— ცდა ბედის მონახვერეაო! ასე არაა, გია მას? — შესძახა უცებ თეომ მხიარულად, ამდენი ხანი თითქმის სულ ჩუმად რომ იყო. ლუკას გადახედა.

— ეგრეა, ცდა ბედის მონახვერეა! — დაეთანხმა გია მასი ღიმილით და სახლისკენ წავიდა. ყველა მიჰყვა.

პროექტის დახურვა, სერტიფიკატების გადაცემა და, იმავდროულად, გია მასის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა არხილოსკალოს მომიჯნავე სოფლის, ზემო ქედის საჯარო სკოლის შენობაში, რომელიც თურმე ამერიკელებმა ააშენეს. შენობა მართლაც ქათქათებდა და კამკამებდა. თანაც მოსწავლეებს სკოლის ტერიტორიაზე რეგენერაციული ტყე-ბაღის გაშენება დაუწყიათ, დირექტორის, ქალბატონ თამარის მონდომებით, რომელიც ასევე ყოფილა პროექტის მონაწილე...

ლუკა მორჩილად იწერდა გამოსვლებს, იღებდა ფოტოებს, პროფესონალი რეპორტიორის საქმეს ნამდვილი პროფესიონალივით აკეთებდა, მაგრამ, სინამდვილეში — მექანიკურად, თითქოს თვითონ არ იყო იქ, არამედ სადღაც სხვაგან, სხვა განზომილებაში... საქმეს კი მისი ორეული აკეთებდა...

უცნაურად, ორმაგად აფორიაქებული, ვერა და ვერ გარკვეულიყო, რა სჭირს... თან თითქოს რაღაც ძალიან უხაროდა, თან რაღაც გაუგებარი შეგრძნება თრგუნავდა, თითქოს ეშინოდა, ეს ყველაფერი სიზმარია, უცებ გაქრება... წამდაუწუმ თეოს გახედავდა ხოლმე, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, აქაა, არ გამქრალა, ჯერ არ გამქრალა... წამდაუწუმ საჩვენებელი ნაკვეთი და გია მასის დინჯი საუბარი ახსენდებოდა, თითქოს ვერ იჯერებდა ბოლომდე, რაც იქ ნახა საკუთარი თვალით, ნამდვილია, რეალობაა... არადა, მართლაც ზღაპარსა ჰგავდა... თუ ზღაპრულ სიზმარს...

მერე კი ქალებმა იქვე სუფრის გაწყობა დაიწყეს და ლუკამ აღმოაჩინა, რომ ღონისძიება ბანკეტით სრულდება. გაუხარდა. ცოტა ხან-



ში კი გაარკვია, რომ ბანკეტს თურმე ალაფურშეტიც სახე ექნება! თავიდან არ დაიჯერა — ალაფურშეტი კახეთში! გაუეღვა — „ესე იგი, მართლა სიზმარში ვარ!“, მაგრამ ეს სიზმარ-ცხადი გრძელდებოდა და გრძელდებოდა...

ლუკა კედელს მიეყრდნო, თბილი, ახლადგამომცხვარი მხლოვანა დაითრია, ჩაკბინა და სიამოვნებისგან ლამისაა ჟრუანტელმა დაუარა — ისეთი გემრიელი იყო, ისეთი სურნელოვანი! ნაღდი, არა რაფინირებული! ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდეს. გამოართვა, მოსვა, გემოს გაუუსინჯავო (მანიცდამაინც დიდი მსმელი არც იყო), მაგრამ ისეთი, ისეთი გემრიელი აღმოჩნდა, ისეთი, ისეთი სურნელოვანი, ისეთი, ისეთი ღირსეული, ისეთი, ისეთი განსხვავებული კახური, რომ ვერ მოსწყდა, ბოლომდე ჩაცალა. ეგრევე შეუვსეს. ლუკამ კინაღამ მეორე ჭიქაც პირთან მიიტანა, მაგრამ აზრზე მოვიდა, თეოს ძებნა დაუწყო თვალით — ძალიან მოუნდა ჭიქის მიჭახუნება, რაღაცის თქმა.

თეო მიდი-მოდიოდა, კოკა-კოლები, ხაჭაპურები, ნაირგვარი მხლოვანები და ნახუქები შემოჰქონდა. „სადაც ხომ უნდა გაჩერდეს ბოლოს? შემოტანას რო მორჩება?“ — გაიფიქრა ლუკამ და თეოს გაჩერების სავარაუდო ადგილი შეარჩია — ნელი დეიდას, საჩვენებელი ნაკვეთის მფლობელის, და ნათიას, თეოს მეგობრის გვერდით შეიყუჟა. ყური მიუგღო. ნათიას ხელი ღვინით სავსე ჭიქაზე ეჭირა და ნელი დეიდას ასე ეუბნებოდა:

— ნელი დეიდა, მადლობას კი არ გიხდით, უბრალოდ, მინდა გითხრათ, არხილოსკალოში რომ ჩამოვედით, თქვენს სახლში ფეხი შემოვდგით და თქვენ ჩამეხუტეთ, ადამიანი, რომელსაც პირველად ვხედავდი, ისე ჩამეხუტეთ, მხოლოდ დედა, მხოლოდ ოჯახის წევრი რომ ჩამეხუტება, მაშინ კიდევ ერთხელ მივხვდი, როგორ გამიმართლა, რამდენად დიდ ამბავში, რამდენად ნაღდ ამბავში აღმოვჩნდი... ჩემ გარშემო თითქმის არავის ვიცნობ, ვისაც თქვენსავით შეუძლია ამდენ ხალხს უმასპინძლოს, გულით უხაროდეს სტუმარი და ამას ტკბილი, საოცრად ტკბილი სიტყვით გამოხატავდეს და გაგრძნობინებდეს. მე ხომ ვიცი, ეს ჩვეულებრივი ზრდილობანი მასპინძლობა არ ყოფილა. ვიგრძენი, როგორ გაინტერესებთ ყოველი ადამიანი, როგორი სიხარულით უსვამდით ხაზს თითოეული ჩვენგანის საინტერესო თვისებას თუ თავ-



ისებურებას... ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ახლა აღმოგვაჩინეთ, ხელახლა გაეჩნდით არხილოსკალოში...

— ნათია, საყვარელო, — მორიდებული ღიმილით მიუგო ნელი დეიღამ, — ასეთ სიტყვებს ნუ მეუბნები, არა ვარ ღირსი... თქვენ ხართ ძალიან კარგები, ძალიან საყვარლები, ძალიან სუფთები... ჩემი შვილები ხართ... რაც მე თქვენგან სითბო ვიგრძენი და ახლაც ვგრძნობ, რაც ჩვენ, მე და ჩემმა ქმარმა, ჩემმა ალემ ვიგრძენით, სიტყვით ვერ გადმოიცემა... თქვენ მომეცით ამის ძალა, თქვენ გამაბედვინეთ ამ საქმის წამოწყება, თორემ ამ სიახლის უფლებას ვერ მივცემდით თავს... ხომ იცით, როგორი ერთგული ძველი თაობა უკვე დამკვიდრებული წესების... ჩემს ალესაც არ სჯეროდა თავიდან... მაგრამ თქვენმა დამოკიდებულებამ, თქვენმა შემართებამ იმოქმედა ჩვენზე... და გავბედეთ! ჩემი სახლის კარი თქვენთვის ყოველთვის ღიაა. როცა გინდათ, ჩამოდით და რამდენი ხნითაც გინდათ, დარჩით. გაა მასის უმცროსი მეგობრები ხართ, და სხვანაირები ვერც იქნებოდით...

— უკაცრავად, ქალბატონო ნელი, რომ გაწყვეტინებთ, — ლუკა თავისდამოულოდნელად საუბარში ჩაერია, — გაა მასს რამდენი ხანია იცნობთ?

— რამდენი ხანია ვიცნობ? — გაიმეორა ნელი დეიღამ, დაფიქრდა, — ძალიან დიდი ხანია, ალბათ, ოცი წელი იქნება, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა გაა მასი ძეგვის ბავშვთა სახლის დირექტორი იყო...

— ოცი წელი? მართლაა? ბავშვთა სახლის დირექტორი იყო?.. ჰოო... — ჩაილაპარაკა ლუკამ და გაიფიქრა: „რა უცნაურია, რა საოცარი ხალხია... თითქოს არ თამაშობენ, თითქოს გულწრფელები არიან... ეს გაა მასი კიდევ რა საინტერესო ვინმეა... თეოს უნდა გამოვკითხო ყველაფერი...“

ამ დროს თეოც გამოჩნდა, ნელი დეიღასთან მივიდა და... ჩაეხუტა.

დაღამდა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ლუკა და თეო სკოლის ბაღში იდგნენ. ხმას არ იღებდნენ. ცოტაც და დაუძახებენ, სხვადასხვა მანქანებში ჩასხდებიან და თავ-თავის გზაზე წავლენ...

— თეო, რა სურვილი ჩაიფიქრე? — ჰკითხა უცებ ლუკამ, — შე-



გიძლია მითხრა?

— და შენ? — კითხვა შეუბრუნა თეომ, — შენ შეგიძლია მითხრა?

— მმ... ნაწილობრივ შემძლია.

— მითხარი მერე.

— შენ გეხება, — თქვა ლუკამ და თვალებში ჩახედა.

თეომ თვალი გაუსწორა და გაუღიმა. მერე კი უცებ რატომღაც ორივემ სინქრონულად ასწია თავი, ორივემ დაინახა, როგორ ჩაიქროლა კაშკაშა ვარსკვლავმა.

— ვარსკვლავი ვარდება! სურვილი ჩაიფიქრე! სურვილი ჩაიფიქრე!

— შესძახა ორივემ და ორივეს გაეცინა. წამით გაჩუმდნენ.

უცებ გაიგონეს:

— თეო! ლუკა! წავედით!

— წავედით კი არა, მოვედით! — თქვა უცებ ლუკამ, — იცი რა, მე... ვრჩები.

— რაა? რატომ?

— მინდა დავრწმუნდე, ბოლომდე. რაღაცეები დავაზუსტო. აქედან გავუგზავნი რეპორტაჟს ბიძაჩემს. და...

— და რა?

— და შენც გეცოდინება, სად ვარ. და...

თეომ გაოცებით შეხედა, დააკვირდა, გაიღიმა, ცოტა ხანი უყურა და ჩაილაპარაკა:


— ვარსკვლავები ასე სწრაფად ასრულებენ სურვილებს?

მზია თვალაზიშვილი



ვარ მხერგო ჰქვამდა. ყაყუტის მიუვარდა
 სრია ჰქვამდა, ვანსაუთიქით სრია. დაუძვარი იყავ
 ჰქვამდა-ის სსერების თბილისის სსერშიდა უნივერსიტეტის
 ფირფიტის ფაქტორი. უკუ მხერგო სრია ვანსაუთი
 ბერძნულში ჰქვამდა სსერშიდა. ვანსაუთი სსერშიდა
 ჩატარებდა რიტორიკულ კურსებს, ვარ ბერი მათემატიკის
 ფირფიტის ჰქვამდა. ხშირ ნაწილებში ჰქვამდა
 დაბეჭდილი სსერების კრებულში. შუამა, რამდენ
 მე დახატე, დაამუშავა ვაჟა-ფშაველას საზღვრულ მათემატიკის
 კრებულის ვანსაუთი, რაც ხმების რიგი ვანსაუთი. მაქვს ახლი,
 ვანსაუთი ვარ Mail Art-ით.

კანონი რიგი" თქვამდა, რაც დასაწყისით ვამხრავა
 მხერგისთვის. მე სთმავებით ვიქვამ ად ვამხრავს და,
 თითქმის, ყველ სერს ვანსაუთი მხში.



პატ. მასნ.

/გასული საუკუნის 90-იანი წლების გათოშილი და ჩაბნელებული საქართველო/

— დასხედით, ბავშვებო! ნიკა ისევ იგვიანებს? არც სესილია კლასში, რაშია საქმე?

— ცივა, ყინავს! — დაიწუწუნა სანდრომ — ცაც ისეთი გაცრეცილია, თითქოს უნდა გათენდეს, არადა ისე დაბინდება, გათენებას ვერ მოვესწრებით. შუქიც არ არის.

— ნინო მასწ., აი, მე უკვე მოვედი. წიგნები მოვიტანე ფეხში შესანთებად, — ნიკამ საკლასო ოთახის კარი ფართოდ გააღო და წიგნები შემოზიდა.

— წიგნების დაწვა? თანაც სკოლაში? ვერაფერი სიკეთეა.

— გუშინ ოჯახური ბიბლიოთეკა გადავარჩიეთ. ნახეთ, რა აღმოვაჩინეთ?! ლენინის ტომები, ისტმატი, პარტიისტორია, მეცნიერული კომუნიზმი, თან რა სქელი წიგნებია, მამამ მომატანინა. ახლავე შევუნთებ.

— მაინც უსიამო გრძნობაა.

— ნინო. მასწ., ვინდა წაიკითხავს ამ წიგნებს, იმდენი საინტერესო რამ არის წასაკითხი, — თქვა ნიკამ და დატრიალდა.

შეარჩია სქელი წიგნები და ღუმელს შეუნთო. აგიზგიზდა ლენინის ტომები და საკლასო ოთახში დათბა.

— ძია ლენინმა გაგვათბო! — იყვირა ნანიკომ და კლასმა ერთხმად გაიცინა.

ამ დროს სესილიმ შემოჰყო თავი და აციმციმებული ფირუხისფერი თვალებით მოათვალიერა კლასი.



— პატ. მასწ., მეც მოვედი. სამი ძველი, დამტვრეული სკამი მოვიტანეთ მე და დედამ. დალევწილია, ვერ შეკეთდება.

სამაგიეროდ აქ გამოგვადგება, თბილად ვიქნებით.

— კარგი, შემოდი.

— იცით, ნინო მასწ?! მამაჩემი ჰოლანდიაში იყო და გაცოცხლებული ჩამოვიდა, იქ უკვე ენერგოეფექტურობაზე, განახლებად ენერჯიბზე მუშაობენ, ცდილობენ ნავთობის, ქვანახშირის და გაზის გამოყენება შეზღუდონ და ასე ჰაერის დაბინძურება შეამცირონ. ჩვენ კი პირველყოფილი ადამიანებივით ვცხოვრობთ, — თქვა ანასტასიამ.

— რატომ? ჩვენც ხომ ალტერნატიული გზები ვიპოვეთ და ვთბებით, — იცელქა ნიკამ — ყველაფერი გენიალური სადა და მარტივია, წყლის და ქარის წისქვილები შეცვალეს, გაართულეს, ახლა კი პირიქით ქარის ელექტროსადგურებს დგამენ.

— ეს ძალიან საინტერესო თემაა.

— დიახ, პატ. მასწ., ძალიან საინტერესოა.

— შეიძლება, მეც ვიტყვი?

— თქვი, საბა!

— ჩვენ ისეთი მწარე გამოცდილება მივიღეთ გათბობის და სინათლის გარეშე ცხოვრებით, რომ მე მთელი კლასის წინაშე პირობას ვდებ, სკოლას რომ დავამთავრებ, ვისწავლი და შემდეგ მთელი მონდომებით ვიმუშავებ იმისთვის, რომ წყლის, მზის, ქარის და ბიოლოგიური მასალის გამოყენებით გავნათდეთ და გავთბეთ. მანქანის ალტერნატიულ საწვავზეც ვიზრუნებ. საქართველო ხომ ასე მდიდარია მდინარეებით, მზის ენერჯიით, არც ქარი და ნიავი გვაკლია და ბიოლოგიური მასალაც ბლომად გვაქვს. ხომ უნდა გამოვიყენოთ?

— გესმით, ბავშვებო?! დავიმახსოვროთ საბას დაპირება.


— ვიმახსოვრებთ! — წამოიძახეს ერთხმად.

საბამ თავი დაუკრათ და ზარიც დაირეკა. პირველი გაკვეთილი დამთავრდა.

ՄԱՐՈՒՅԱ ՖԱՐՏԱԺՈՒ



Եւ զոր մահուան խնայեալ, զսեպտեմբերի 1918-
ապրիլի 1919 թուականներու ընթացքին զարգացան
մայրամուտի մտայնութիւն, որ կենտրոնացաւ ինքն-
ժողովրդայնականութեան վրայ, որոնք ինքն-
ժողովրդայնականութեան համար ինքն-
ժողովրդայնականութեան իրենց իրաւունքները
պահպանելու համար կենտրոնացան ինքն-
ժողովրդայնականութեան վրայ:



* * *

ოზურგეთის რაიონში ვცხოვრობ ბაბუა, სოფელ ღიხაურში, 80 წელს მუუყარე თავი და ახლა გევიგე შვილიშვილისგან, რომე ჩვენი მუნიციპალიტეტი რაცხა “მერების შეთანხმებაში” ყოფილა ჩართული, 2030 წლიზა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ჰაერში მავნე აირები და მაქსიმალურად გამოყენებული ენერჯის განახლებადი წყაროები. ჰოდა, ჩემო ბატონო, პელეტებით უნდა გავთბეთ ამ ზამთარში და მზის პანელებით უნდა მივიღოთ ელექტროენერჯიო, ბჟუტურობს რაცხას ჩემი ბადიში. სა გინახიენ ნარჩენებით გამთბარი კაცი და მზით გამომუშავებული დენი. სიბერემდე სიქაჩლეს ელოდეო, ამაზუა ნათქვამი. არა, ეგება მე ვერ ვხთები, მითხარით ვინცხამ, თვარა მევიჯაყე სოფელ-ქვეყანაში, გააბდლებულა ამბაკოს შვილიშვილიო, არ იტყვიან? ეეჰ, ახლა ებრაზობ და ასე ვჩივი, თვარა მეც კი მაინტერესებს ენერჯის ახალი წყაროები, რაც თავი მახსოვს, ხელეები გადაქლარჩული მქონდა შეშის ნაპობი, მერე სახლში შემოტანა გვეზარებოდა, ერთმანეთს ვებაძებოდით, არა შენ და არა მეო, ცეხლის დანთებისხან გეიმურებოდა ყველაფერი, თურმე იწამლებოდა გარემო, გევიგეთ ახლა თქვენ, რამდენი დანაშაული მაქვს ჩადენილი ბუნების წინაშე? გუშხამ მეიტანა ბაღანამ რაცხა უშველებელი მახინები, მოვკტი კაცი ინტერესით, ნეტა რაია თქვა და ამიხსნეს, მზის პანელებია, დევისვენებთ დენის გადასახადიდან, მზის ენერჯიას გარდავქმნით ელექტროენერჯიადო. მზე ფულს როის გვახდიებდა მეთქი, ვიხუმრე ჩემი ჭკუით. ბევრი რომ არ ვიბჟუტურო, მართლა კაი იქნება აი ამბავი, წაბაძულობით ვაცი დამაკადო და მეზობლებიც გააკეთებენ. მარა, აი



მზეი რამდენს ეყოფა არ ვიცი, თავი გამისკდება ამდენი ფიქრითა და ჯავრით. ბუნების შესაძლებლობები რომ უსაზღვროა, რათ უნდა ლაპარაკი, ქარის წისქვილებია ნაკლები თუ? ისე, სა იყო, ბაბუა, მაგენი, მე რომ სახლის გვერდზე, დელეზე მინიელექტროსადგური დავამონტაჟე, ირგვლივ რომ ყორისფელი ჩაბლისკინებული იყო, ჩემსას სინათლეც ენთო და სერიალსაც ვუყურებდი ტელევიზორში. დევიდალე, ბაბუა, ამდენი ფიქრით, მიმელულა და სიზმარი ვნახე, ჭიშკარზე სამი ქვითარი იყო ჩამოცმული, მზის, ქარისა და წვიმის, გათბობის და განათების საფასურს ითხოვდნენ, გვეყურებიენ თქვენ? ხომ გიჩიოდით და კილო გიმეორებთ: უფასო დარჩა ვითომ რამე ქვეყანაზე?

ლალი მიქაია



მაკრე ინტვიმარტო შიქათ, ნიკი ურკანაკუ-
"ქადა"

ვარსაქუცაძით ურეგუტიკსი, ფიხიკსი ქ რესურს
სამურთიუ- ტუჩიური სიგუმანის სარეცო-სიტი. მიუკან
აჩხსა ქ აქსი, შკითხუც ბუკს, უხი ქ ვითრეზნი, რეცა
სევისუტაო რიუ მაქს. ცხრა ხუო ვიქსევერე პოვირეცოში.
მიუკანს ურეზის სნაქა ქ მუკსაუბემა.

ლ

ა

კ

ე

-

ზ

ო

პ

ჟ

ქართული ნავთობი

ქალაქი უკვე გაებრწყინებინა საშობაო გირლიანდებს. გურამის ჯალაბობა ახალ წელს ყოველთვის სოფელში ხვდება. წელსაც ეს ტრადიცია არ დააღვიეს. ეკას წესად ჰქონდა საშობაოდ „გენერალური დასუფთავებას,, წიგნების თაროებიდან იწყებდა, თუ ნახავდა ძველ გამოცემას გაყვითლებული წიგნებით, მაკულტატურისთვის გადადებდა. ახლა მამამთილის სახელმძღვანელო გადმოედო „საქართველოს გეოგრაფია,, და ის იყო მაკულტატურას უნდა შემატებოდა, გუგამ გამოართვა და პაპას მიუტანა. გურამიმ გადაშალა თავისი სახელმძღვანელო, ის სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი. უცბათ ერთგვარი ნოსტალგია მოეძალა აუდიტორიის. გუგა გვერდით მოისვა და დაუწყო ახსნა. აჩვენა ყოფილი ჭაბურღილები, ჯერ კიდევ შავ-თეთრი ნახაზით რომ აჩნდა გაყვითლებულ ფურცლებს.

— აი ეს საგარეჯოს ჭაბურღილია, ეს ნინოწმინის, ეს პატარძეულის, ეს თელეთის, ეს შირაქის. იცი, გუგა, გასულ საუკუნეში საქართველო სამ მილიარდ ტონა ნავთობს აწარმოებდა. ბევრია მაღალდებატიანი საბადოებიც, რომლებიც შეუსწავლელია. აი აფხაზეთს თუ დავიბრუნებთ, ეს მარაგი გაათკეცდება.

— აფხაზეთი რა შუაშია? ვერ მიხვდა გუგა და ძალაუნებურად თვალი კედელზე ჩამოკიდებული ბიძის სურათისკენ გაექცა.

— შავი ზღვის შელფი სადაც დიდი რაოდენობითაა ნავთობი, მთლიანად აფხაზეთის ტერიტორიაზეა. ჩემი ვარაუდით, საქართველოს აქვს თითქმის სამყოფი ნავთობის მარაგი. ენერგომატარებლებით და ნავთობპროდუქტებით ევაჭრება რუსეთი ნახევარ მსოფლიოს, მათ შორის ჩვენც და თავის პოლიტიკას ნავთობპროდუქტებს აბავს. საკუ-



თარი ნავთობის მოპოვების გაზრდით საწვავის ფასებიც დაიწვეს. და რაც გეაკლია მთვარი ერთი დიდი ნავთობგადამამუშავებელი თანამედროვე ევროპული სტანდარტების ქარხანაა. ჯერ კიდევ როტშილდების დროს ფოთში და ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები იყო. ისინი ჰაერზე არაფერს აკეთებდნენ. სულ მცირე საუკუნეზე ჰქონდა მოგება გათვლილი. საჭიროა თანამედროვე გამწმენდი ნაგებობები ფოთში და ბათუმში, რადგან დიდი ტანკერები ტონობით ნავთობს ღვრიან შავ ზღვაში. ამით ნადგურდება შავი ზღვის ფლორა. ალბათ გინახავს ზღვის სანაპიროზე გამორიყული მკვდარი თევზები, ზოგი სახეობა საერთოდ გადაშენდა. როცა ანაკლიის პორტი ამუშავდება, იქ ეს პრობლემები არ იქნება, რადგან თანამედროვე სტანდარტის გამწმენდი ნაგებობებიც ექნება, ძველი პორტებიც განიტვირთება და ეკოლოგიაც გაუნჯობესდება.

— ეჰ ჩემს ბავშვობაში ზღვაში კენჭებს დაითვლიდი.

გუგა გულისყურით უსმენდა პაპას, წელს აბიტურიენტი იყო, სპეციალობის არჩევაში ეკოლოგიისკენ იხრებოდა, თუმცა არჩევანი ჯერ ვერ გაეკეთებინა. პაპასთან საუბრის მერე არჩევანი გეოლოგიურზე შეაჩერა. ახლა პაპას აცნობდა თავის კრეატივებს უსაფრთხო და უნარჩენო წარმოებაზე.

— ამათი საუბრის შემყურე, პენსიონერმა ექიმმა ბებომ გურამის შეახსენა რომ ნავთობპროდუქტისგან მრავალი წამალი მზადდებოდა.

— მე მარტო ვაზელინი ვიცოდი, გაეხუმრა გურამი.

— წუხელ სიზმარში სხვათაშორის სიმენსების და ნობელების შთამომავლები მესიზმრა. შირაქის ველზე რაღაცას ეძებდნენ. ხანდახან სიზმრების ზღვა...